საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება

დავ. დონდუა

საგზეო გეოგრაფია

მისი არსი
და
თემატიკა

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამოცემა
თბილისი 1942

რედაქტორი პროფ. ბ. ნ. ბეხტმანი

შეკვეთა № 2380
ტირაჟი 2000
უგ1397

საქ. ალბ. მრეწვ. სახ. კომ-ის სტამბა, ფურცელაძის ქუჩა № 5.

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვერდ.
ავტორისაგან	5
I. სამხედრო მეცნიერებათა დარგი	
სამხედრო მეცნიერებანი, როგორც ცოდნათა განსაზღვრული დარგი.—სამხედრო ხელოვნება.—სამხედრო სამეცნიერო დისციპლინები.—სამხედრო გეოგრაფია, როგორც სამხედრო ცოდნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი	7—11
II. სამხედრო გეოგრაფიის განვითარების საწყისი პერიოდი	
სამხედრო გეოგრაფია და ჩვეულებრივი მეცნიერული გეოგრაფია.—კარლ ფონ-კლაუზევიცის შეხედულებანი გეოგრაფიულ მონაცემთა ომისათვის მნიშვნელობის შესახებ.—პ. გეისმანის შეხედულებანი ამავე საკითხზე.—სამხედრო თვალსაზრისი გეოგრაფიულ კვლევაში.—სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვა რუსეთში.—ანრი ჟომინი.—პ. იაზიკოვი	12—27
III. სამხედრო გეოგრაფია, როგორც მეცნიერება	
სამხედრო გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება.—დიმიტრი ალექსის-ძე მილუტინი, როგორც სამხედრო გეოგრაფიის ფუძემდებელი.—დ. ა. მილუტინის ცხოვრება და მოღვაწეობა.—დ. ა. მილუტინის სამხედრო-გეოგრაფიული კონცეპცია.—სამხედრო გეოგრაფია და სამხედრო სტატისტიკა .	28—72
IV. სამხედრო გეოგრაფია მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე	
სამხედრო გეოგრაფიის მდგომარეობის განმტკიცება საბჭოთა ხანაში.—ა. სნესარევის სამხედრო-გეოგრაფიული კონცეპცია.—ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის როლი და ადგილი სამხედრო მოქმედებათა შეფასების საქმეში	73—104
V. სამხედრო გეოგრაფიის შედგენილობა და თემატიკა	
სამხედრო ქვეყანათმცოდნეობა.—სამხედრო მოქმედებათა თეატრების გეოგრაფია.—დ. ა. მილუტინის პროგრამული მოსაზრებანი.—ი. ტროიცკის სტატიასთან დართული პროგრამის ნიმუში.—საბჭოთა სამხედრო გეოგრაფიის თემატიკა ერთ-ერთი უახლესი პროგრამის მიხედვით	105—119
ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა . . .	120

ავტორისაგან

დიდი სამამულო ომის პირობებში, როცა ყოველი სამეცნიერო დისციპლინა მოწოდებულია ემსახუროს ქვეყნის თავდაცვის მიზნებსა და ამოცანებს, ბუნებრივია, რომ გეოგრაფთა წინაშეც იდგეს საკითხი გეოგრაფიის როლისა და დანიშნულების შესახებ სამხედრო საქმეში,—საკითხი მეტად აქტუალური და გადაუდებელი, რომლის საპასუხოდ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე თითქმის არაფერი არ მოგვეპოვება.

ამ საერთო საკითხის ერთ-ერთ არსებით მომენტს სამხედრო გეოგრაფიის ისტორიისა და მეთოდოლოგიის გათვალისწინება წარმოადგენს. წინამდებარე ნაშრომი—„სამხედრო გეოგრაფია, მისი არსი და თემატიკა“ სწორედ ასეთ ისტორიულ-მეთოდოლოგიურ სფეროს ეკუთვნის; მისი დანიშნულებაა დაეხმაროს მკითხველს სამხედრო გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, მიზანდასახულებისა და შედგენილობის გარკვევაში და თავისი მხრივაც ხელი შეუწყოს სამხედრო-გეოგრაფიული კვლევის სწორი გეზით წარმართვას ჩვენში.

ნაშრომი შეიცავს ხუთ თავს, რომელთაგან პირველი თავი შესავალის მაგიერია, ხოლო მომდევნო ოთხი—მისი ძირითადი ნაწილები. სამხედრო გეოგრაფთა შორის აქ შედარებით უფრო ვრცლად არიან განხილული რუსეთის სამხედრო გეოგრაფიის მთავარი წარმომადგენლები, სახელდობრ—მილუტინი და სნესარევი, რომელნიც ცნობილი არიან ჩვენში, როგორც ცოდნის ამ დარგის ფუძემდებელნი და მეთოდოლოგნი. ინტერესს ამ ორი სამხედრო მოაზროვნის მიმართ ისიც აძლიერებს, რომ მათი შეხედულებანი სამხედრო გეოგრაფიაზე ყოველთვის იქნება მნიშვნელობის მქონე არა-სამხედრო გეოგრაფიისათვისაც და ამდენად ისინი გარკვეულ ადგილს შეინარჩუნებენ საერთოდ გეოგრაფიული მეცნიერების ისტორიისა და მეთოდოლოგიის დარგში.

ნაშრომი იმ კვლევის შედეგია, რომელსაც ავტორი აწარმოებდა ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიული განყოფილების გეომორფოლოგიის კათედრაზე ამ უკანასკნელის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმის მიხედვით 1941/42 ს. წელს. ნაშრომი წაკითხულ იქნა კათედრის ღია სხდომაზე და აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საჯარო სხდომაზე. იგი რეცენზირებული და განხილული არის საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებული სასწავლო-მეთოდური საბჭოს სამხედრო სექციის მიერ.

დავ. დონდუა.

24 ოქტომბერი, 1942 წ.
თბილისი.

I

სამხედრო მეცნიერებათა დარგი

სამხედრო მეცნიერებანი, როგორც ცოდნათა განსაზღვრული დარგი.—სამხედრო ხელოვნება.—სამხედრო სამეცნიერო დისციპლინები.—სამხედრო გეოგრაფია, როგორც სამხედრო ცოდნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი.

ომის წარმატებით წარმართვა ბევრადაა დამოკიდებული მებრძოლთა კადრის მომზადებასა და დახელოვნებაზე. მებრძოლთა სამხედრო განათლება პირველ რიგში გულისხმობს მებრძოლის გარკვევას სამ ძირითად საკითხში, როგორიცაა: ომის მიზნები, ომის საშუალებანი, ომის მეთოდები. ომის მიზნებს ხელისუფლების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა განსაზღვრავს. ომის საშუალებათა ცოდნა ნიშნავს მეომარი ქვეყნის ბუნების, მოსახლეობის, მეურნეობის ცოდნას, აგრეთვე ყველა გვარეობის ჯარების, საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო ძალების, სიმაგრეების და მისთანათა ორგანიზაციის, მართვა-გამგეობის, შეიარაღების, აღჭურვილობის ცოდნას. ომის მეთოდები კი მოიცავს დასახული მიზნის მისაღწევად ომის საშუალებათა გამოყენებას. ომის მიზნების, ომის საშუალებათა და ომის მეთოდების საკითხებში ჯეროვანად გარკვევა საგრძნობლად ადვილდება სპეციალური სამხედრო განათლების შემწეობით. ხოლო ასეთი განათლების მიღება მოხერხდა მას შემდეგ, როცა იგი ნამდვილ მეცნიერულ საფუძველს დაემყარა, როცა წარმოიშვა ცოდნათა განსაზღვრული დარგი—სამხედრო მეცნიერებათა დარგი.

სამხედრო მეცნიერებათა შექმნას ასზე მეტი წლის ისტორია აქვს. სამხედრო მეცნიერებათა განვითარების კვალდაკვალ ყალიბდებოდა ომის თეორიაც, მოძღვრება ომის შესახებ. მაგრამ ომის როგორც თვით თეორია, ისე სამხედრო ცოდნის ცალკეული დარ-

გები, განვითარების ნამდვილ გზას მხოლოდ მის შემდეგ დაადგნენ, როდესაც მათ მიიღეს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური გაშუქება. ომის თეორიას, მოძღვრებას ომის შესახებ უდიდესი ყურადღებით მოეპყრნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები: მ ა რ ქ ს ი, ე ნ გ ე ლ ს ი, ლ ე ნ ი ნ ი, ს ტ ა ლ ი ნ ი. მათ მოგვცეს ომის მიზნების, ომის არსისა და ხასიათის ერთადერთი მართებული განსაზღვრება. და, როცა გაგებულია ომის მიზეზები, ომის არსი და ხასიათი, ცხადია, ამით ომის თეორიისა და ცალკეულ სამხედრო სამეცნიერო დარგთა საკითხებიც შესაბამისად ნათელი ხდება.

საკითხზე—არის თუ არა საჭირო სამხედრო საქმის ცოდნა ომის წარმატებით წარმოებისათვის, ლ ე ნ ი ნ ი სრული გარკვეულობით ამბობდა შემდეგს: აიღეთ სამხედრო საქმე. არც ერთს ჩვენგანს, რომელიც ცოტათი მაინც გაცნობილია ისტორიასთან, რომელსაც უსწავლია ამ საქმის დიდი მცოდნესგან—ენგელსისაგან, არასოდეს ექვი არ შეუტანია სამხედრო ცოდნათა უდიდეს მნიშვნელობაში (ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ. 1933 წ., „რევოლუციური ჯარი და რევოლუციური მთავრობა“, გვ. 254—255). ამ საკითხს შეეხო ლ ე ნ ი ნ ი თავის სხვა სტატიებშიაც, მოვიგონოთ, მაგალითად, სტატია—„პორტ-არტურის დაცემა“, მოთავსებული ლენინის თხზულებათა VII ტომში, რუსული გამოცემა, გვ. 44—50, და ა. შ. ეს აზრი გააღრმავა და განავითარა დ ი დ მ ა ს ტ ა ლ ი ნ მ ა, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა ჩვენს სოციალისტურ სახელმწიფოში სამხედრო ცოდნათა დანერგვა მოსახლეობის უფართოეს მასაში, ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ორგანიზება და მისი შეიარაღება თანამედროვე საომარი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

უდავოა, რომ არც ცოდნა კმარა. თუ მას არ ახლავს მისი ოსტატურად, დახელოვნებულად გამოყენების უნარი. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ორგვარ შესაძლო გამოთქმას შორის—სამხედრო მეცნიერება თუ სამხედრო ხელოვნება, უპირატესობა ეძლევა მეორეს—სამხედრო ხელოვნებას. მოვიგონოთ ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ კ ა რ ლ მ ა რ ქ ს ი ს ციტირება (მარქსის სტატიიდან „რევოლუცია და კონტრრევოლუცია გერმანიაში“, გერმანული გამოცემა, 1907 წ., გვ. 118), სადაც ნათქვამია, რომ ომი ხელოვნებაა: „აჯანყება არის ხელოვნება, სწორედ ისე, როგორც ომი, როგორც ხელოვნების სხვა სახეები“ (ლ ე ნ ი ნ ი, რჩეული ნაწერები, ტ. III, თბ. 1933 წ., „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალაუფლებას?“, გვ. 550).

სამხედრო ცოდნა და მისი ოსტატურად გამოყენება, როგორც ვთქვით, ომის წარმატებით წარმოების ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა და ბუნებრივია, რომ ჩვენში განვითარების შესაფერ სიმაღლეზე დგანან სამხედრო მეცნიერებათა დარგის ყველა სპეციალური სამხედრო დისციპლინები—ჯარის ამათუიმ გვარეობის შესახებ, მათი საჭურველის შესახებ და ა. შ. და აგრეთვე სამხედრო მიზნებთან და ამოცანებთან შეფარდებული სამეცნიერო დისციპლინებიც, რომელთაც სამხედრო საქმესთან მჭიდრო კავშირის გამო წმინდა სამხედრო განხრა მიუღიათ, სახელდობრ: სამხედრო ისტორია, სამხედრო გეოგრაფია, სამხედრო გეოლოგია, სამხედრო ტოპოგრაფია, სამხედრო ქიმია და მისთანანი.

სამხედრო ისტორია—სამხედრო ცოდნის ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგი მეტად განვითარდა ჩვენში. სამხედრო ისტორია უდიდეს ბიძგს იძლევა სამხედრო აზრის განვითარებისათვის, რადგან ის გვითვალისწინებს სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ხალხის ან სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მიზნით, სხვადასხვა საშუალებით და სხვადასხვა მეთოდით წარმოებული ომების ისტორიას; იგი არ კმაყოფილდება სამხედრო ამბების უბრალო გადმოცემით, შეფასებასაც აძლევს იმ პოლიტიკურ ვითარებას, რამაც გამოიწვია ომი და რაც გავლენას ახდენდა ომის მსვლელობაზე; იგი იძლევა ომის სარბიელის ზუსტ სურათს და მეომარ მხარეთა შეიარაღებული ძალების მდგომარეობას, რამდენადაც ამას გავლენა ექნებოდა სამხედრო მოქმედებაზე; სამხედრო ისტორია აგრეთვე იკვლევს იმ აზრებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ისინი, ვინც განკარგულებებს ახდენდა სამხედრო ოპერაციებისათვის, ასევე იმ გარემოებათ, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ომის წარმატების ან მარცხის მიზეზად. ომის კრიტიკული შეფასება, რასაც სამხედრო ისტორია იძლევა, სამხედრო მეცნიერების ზრდისა და განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

სამხედრო ცოდნის სხვა დარგთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ჩვენგან სამხედრო გეოგრაფია. ცნობილია, რომ იმ პირობებს შორის, რომელთა გათვალისწინებაც გვიხდება საბრძოლო ოპერაციების წარმოებისათვის, ერთ-ერთი საპატიო ადგილი გეოგრაფიულ პირობებსაც ეკუთვნის. გეოგრაფიული პირობები ყოველთვის თავს იჩენს როგორც სტრატეგიულ, ისე ტაქტიკურ ამოცანათა გადაწყვეტის დროს და მათთვის სათანადოდ ანგარიშის გაწევა აუცილებელია.

ამ საკითხში მართებულად გარკვევის მიზნით ზედმეტად არ მიგვაჩნია აქვე განიმარტოს ცნებები—სტრატეგია და ტაქტიკა. ამისათვის შეიძლება მივმართოთ სამხედრო ხელოვნების ცნობილ ბურჟუაზიულ თეორეტიკოსს გენერალ კარლ ფონ-კლაუზევიცს (1780—1831 წ.წ.). სამხედრო ხელოვნება, კლაუზევიცის გაგებით, ესაა ბრძოლაში მოცემულ საშუალებათა გამოყენება, ე. ი. ომის წარმოება, ვიწრო გაგებით. მაგრამ სამხედრო ხელოვნება საქმიანობის სხვა სახეებსაც მოიცავს: სამხედრო ხელოვნება მოიცავს მთელ მუშაობას შეიარაღებულ ძალთა შესაქმნელად—მათი დაკომპლექტება, შეიარაღება, წყობა და განსწავლა—ფართო გაგებით. ომის წარმოება—ესაა ძალთა განლაგება და ბრძოლის წარმოება. ბრძოლა არაა ერთი რამ აქტი, იგი შედგება რამდენიმე ცალკეული, დასრულებული აქტისაგან, ე. წ. კერძო ბრძოლებისაგან. აქედან ჩვენი საქმიანობაც ორგვარი უნდა იყოს: ა) ამ ცალკეული ბრძოლების ორგანიზება და მათი წარმოება და ბ) მათი შერწყმა, დაკავშირება ომის საერთო მიზანთან. პირველს ტ ა ქ ტ ი კ ა ეწოდება, ხოლო მეორეს ს ტ რ ა ტ ე გ ი ა. ამგვარად, ტაქტიკა არის მოძღვრება შეიარაღებულ ძალთა გამოყენების შესახებ ბრძოლაში, ხოლო სტრატეგია—მოძღვრება ბრძოლათა გამოყენების შესახებ ომის მიზნებისათვის. სამხედრო ხელოვნების თეორიის გაყოფა ტაქტიკად და სტრატეგიად დღეს საყოველთაოდ არის გავრცელებული (იხ. Клаузевиц—„О войне“, მეორე გამოცემა, ნაწილი მეორე—Теория войны, თავი I—Деление на части теории военного искусства, გვ. 67). ამგვარად, ს ტ რ ა ტ ე გ ი ა არის ომის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად სამხედრო ოპერაციათა საერთო ხელმძღვანელობა, მოძღვრება ბრძოლათა გამოყენების შესახებ ომის მიზნებისათვის, ცალკეული ბრძოლების შერწყმა, დაკავშირება ომის საერთო მიზანთან, კერძო ბრძოლათა შეერთება ერთ გააზრებულ მთელად, ხოლო ტ ა ქ ტ ი კ ა—მოძღვრება შეიარაღებულ ძალთა გამოყენების შესახებ ბრძოლაში, ომის ცალკეული ბრძოლების ორგანიზება და მათი წარმოება.

გეოგრაფია სამხედრო მიზნებსა და ამოცანებს, სამხედრო ხელოვნების ორსავე დარგს—სტრატეგიასა და ტაქტიკას ორგანულად დაუკავშირდა სამხედრო ხელოვნების თეორიის ჩამოყალიბების პირველსავე ხანებში. ჯერ კიდევ იგივე კლაუზევიცი, არკვევდა-რა ტაქტიკისა და სტრატეგიის მიზნებსა და საშუალებებს, საპატიო ადგილზე აყენებდა გეოგრაფიულ მონაცემებს. ტაქტიკის მიზანია გამარჯვება—ამბობდა კლაუზევიცი,—საშუალებას კი ამისათვის წარმოადგენს განსწავლული შეიარაღებული ძალები, რომელთაც უნდა აწარმოონ

ბრძოლა. საშუალებათა მომარჯვებას თან ახლავს სხვადასხვა გარემოებანი. გარემოებანი, რომელნიც ყოველთვის თან ახლავს ბრძოლას და მეტ-ნაკლებად გავლენას ახდენენ ბრძოლაზე, შემდეგია: ადგილის პირობები, დღეღამური დრო და ამინდი. ადგილის პირობები (აქ იგულისხმება როგორც თვით ადგილი, ისე ნიადაგიც), მკაცრად რომ ვთქვათ, იქნებ ვერც კი მოახდენდა გავლენას, ბრძოლა რომ წარმოებულიყო აბსოლუტურად ბრტყელ, ნაგებობათაგან თავისუფალ ვაკეზე. სტეპურ მხარეებში ეს ასედაცაა, ევროპის დამუშავებულ რაიონებში კი ეს თითქმის ფანტაზიაა. ევროპის ცივილიზებულ ხალხთა შორის ერთი ბრძოლაც კი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მასზე ადგილისა და ნიადაგის გავლენის გარეშე. ამინდი კიდევ უფრო იშვიათად ახდენს გადამწყვეტ გავლენას ბრძოლაზე, უმეტეს შემთხვევაში გარკვეულ როლს ასრულებს ნისლი. დღეა თუ ღამე, ესეც გავლენას ახდენს ბრძოლის მსვლელობაზე. სტრატეგიის მიზანია—ბოლო ინსტანციაში იმ მდგომარეობამდე მიღწევა, რომელმაც უშუალოდ უნდა მიგვიყვანოს ზავის ჩამოგდებისაკენ, სტრატეგიის ძირითად საშუალებას კი წარმოადგენს გამარჯვება, ე. ი. ტაქტიკური წარმატება. სტრატეგიის ამ საშუალებათა მომარჯვებას თან ახლავს გარემოებანი, რომელნიც მასზე მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენენ, ესენია: ადგილი და ნიადაგი (ფართო გაგებით—ქვეყანა და მოსახლეობა ომის მთელი თეატრის ფარგლებში), დღეღამური დრო (ფართოვდება წელიწადის დრომდე), ამინდი (უჩვეულო გამოვლინება—ძლიერი ყინვები და ა. შ.). ამგვარად, ტაქტიკისა და სტრატეგიის საშუალებათა მომარჯვებას, კლაუზევიცის სამართლიანი შენიშვნით, მუდამ თან ახლავს გეოგრაფიული გარემოებანი, რომელნიც მეტნაკლებად გავლენას ახდენენ ბრძოლაზე და ომზე საერთოდ (იხ. ციტირ. ნაშრომი, ნაწილი მეორე—Теория войны, თავი II—Теория войны, პარაგრაფები—29, 30, 31, 32, 33, 34 და 35, გვ. 83—84).

ჩვენ შორსა ვართ იმ განზრახვისაგან, რომ გეოგრაფიულ ფაქტორებს გადამწყვეტი როლი მივაკუთვნოთ სამხედრო ოპერაციათა წარმატებით წარმოებაში. საქმის ამ მხარეზე შესავალ თავში აღარ შევჩერდებით, რადგან იგი მომდევნო თავებში გვაქვს გაშუქებული, ისიც, რა თქმა უნდა, იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანდასახულება გვაძლევს.

ჩვენი პირდაპირი მიზანია—ნათელვყოთ საკითხი, რომ სამხედრო გეოგრაფია სამხედრო ცოდნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს და, აქედან გამომდინარე, ჩვენი ამოცანაა—გავარკვიოთ სამხედრო გეოგრაფიის არსი, მისი შედგენილობა და თემატიკა.

II

სამხედრო გეოგრაფიის განვითარების საწყისი პერიოდი

სამხედრო გეოგრაფია და ჩვეულებრივი მეცნიერული გეოგრაფია.— კარლ ფონ-კლაუზევიცის შეხედულებანი გეოგრაფიულ მონაცემთა ომისათვის ცნიშვნელობის შესახებ.— პ. გეისმანის შეხედულებანი ამავე საკითხზე.—სამხედრო თვალსაზრისი გეოგრაფიულ კვლევაში.— სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვა რუსეთში.—ანრი ჟომინი.— პ. იაზიკოვი.

სამხედრო გეოგრაფია ჩვეულებრივი მეცნიერული გეოგრაფიისაგან მხოლოდ თვალსაზრისით განსხვავდება და არა კვლევის ობიექტით, ამდენად მისი არსი ძირითადად იგივეა, რაც საერთოდ მეცნიერული გეოგრაფიისა: განიხილოს დედამიწის ზედაპირის განსაზღვრული მონაკვეთების—ქვეყანათა და სახელმწიფოთა, ან მცირეოდენი სივრცის უბნებისა და ადგილგარემოთა ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, შეისწავლოს ადგილის დამახასიათებელი ცალკეული ბუნებრივი და ეკონომიური ფაქტორები, აგრეთვე ადგილები ბუნებრივ და ეკონომიურ მოვლენათა კომპლექსების სახით.

სამხედრო თვალსაზრისი გეოგრაფიულ კვლევაში თავს იჩენს ყველგან, სადაც კი დაისმება საკითხი: რა დადებითი თუ უარყოფითი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას, ამ ფაქტორს ომის წარმატებით წარმოებისათვის. ცალკეული ბუნებრივი და ეკონომიური ფაქტორების სამხედრო თვალსაზრისით განხილვა არ ხდება მათი დაცილებით ზედაპირის განსაზღვრული მონაკვეთისაგან, პირიქით, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიასთან. თითოეული ფაქტორის ზოგადად განხილვას აუცილებლად მოჰყვება მისი გათვალისწინება მოცემული ადგილის კონკრეტულ ფარგლებში და სწორედ ამ შემთხვევაში გამოვლინდება განსაკუთრებული სიმკვეთრით სამხედრო თვალსაზრისიც, ფაქტორთა ზოგადად გაანა-

ლიზება კი ხდება საკვლევით და მთლიანად ჩვეულებრივი მეცნიერული გეოგრაფიის საფუძველზე.

ამგვარად, სამხედრო გეოგრაფიის ყველა ფესვი ჩვეულებრივი მეცნიერული გეოგრაფიის ნიადაგშია გადგმული, იგი ამ ნიადაგიდან მიღებული სასიცოცხლო წვენით საზრდოობს.

მაინც რაში მდგომარეობს კონკრეტულად სამხედრო თვალსაზრისი გეოგრაფიაში? ქვეყნის გეოგრაფიული აღწერა ჩვეულებრივ გულისხმობს მთავარი გეოგრაფიული ელემენტების განხილვას, როგორიცაა, მაგალითად, მდებარეობა, რელიეფი, მდინარეები, ტბები, ჭაობ, ნიადაგები, მცენარეები, ცხოველები, აგრეთვე შეიცავს ცნობებს მოსახლეობისა და მისი სამეურნეო საქმიანობის შესახებ და ა. შ. სამხედრო გეოგრაფიაც ამავე გეოგრაფიულ ელემენტებს განიხილავს, მაგრამ, როგორც ვთქვით, სამხედრო თვალსაზრისით. ავიღოთ რომელიც გნებავთ სამხედრო-გეოგრაფიული ნაშრომი, აი, თუნდაც მ. ლიტვინოვის სამხედრო-გეოგრაფიული ნარკვევი კავკასიის შესახებ (იხ. М. Литвинов—Окраины России, военно-географические очерки, I—Кавказ, გამოცემა მე-2, ს.-პ. 1884 წ.). ამ წიგნში, რომელიც ავტორს გამოუცია იმ მიზნით, რომ რუსეთის სამხედრო გეოგრაფიის შესწავლისათვის სახელმძღვანელოთა სრული უქონლობის პირობებში გაეადვილებინა სამხედრო პირთათვის საშუალო სკოლაში მიღებული გეოგრაფიული ცოდნის შევსება, მოცემულია მოკლედ კავკასიის სამხედრო გეოგრაფია. საკმარისია გადაიკითხოთ ეს წიგნი, რომ საკმაოდ ნათელი წარმოდგენა შეიმუშაოთ იმ თვალსაზრისზე, რომელსაც ატარებს სამხედრო გეოგრაფი ქვეყნის სამხედრო-გეოგრაფიულ აღწერაში. მოვიყვანოთ რამდენიმე დამახასიათებელი მაგალითი. კავკასიის რ ე ლ ი ე ფ ი ს განხილვის დროს ავტორს დასახელებული აქვს ქედები, მთები, ვაკეები, დაბლობები, ცალკეული მწვერვალები, ხეობები, უღელტეხილები და მისთანანი და ყოველივე ეს ისე, რომ მკითხველს შეუძლია გაითვალისწინოს ზედაპირის ამ ფორმებით შექმნილი ხელშემწყობი თუ ხელშემშლელი პირობები მათზე და მათ შორის მოძრაობისათვის, მიმოსვლისათვის: ციცაბი თუ დამრეცი კალთები, ტერასები, კონტრფორსები, ღია და დახშული ტაფობები, მაღლობთა და გადასავალთა აბსოლუტური სიმაღლე და მისადგომობა, მთებსა და ქედებს შორის გასასვლელი ადგილები, მდინარეთა და ხევ-ხეობათა წყალგამყოფები, ქედების მიმართულება და მათი გავრცელება; არც ერთ შესაძლო შემთხვევაში მხედველობიდან არაა გაშვებული სამიმოსვლო გზა. ავტორი ყველგან ცდილობს სამხედრო შეფასება მისცეს რე-

ლიეფის პირობებს, მაგალითად, ერთ ადგილას ის ამბობს: კავკასიონის საერთო მიმოხილვის შემდეგ არ შეიძლება ასეთი დასკვნა არ გამოიყვანოთ, რომ იგი სამხედრო თვალსაზრისით სერიოზულ დაბრკოლებას ჰქმნის ამიერ-კავკასიასთან ურთიერთობისათვის. ამიერ-კავკასია გამოყოფილია რუსეთის დანარჩენი ტერიტორიისაგან და ამის გამო საჭიროა მეტად უზრუნველვყოთ იგი, რაც უნდა გამოიხატოს იმაში, რომ ჯარების დიდი რაოდენობა უნდა ვიყოლიოთ იქ (გვ. 7). მ დ ი ნ ა რ ე ე ბ ი ს განხილვის დროს ავტორი უთვალისწინებს მკითხველს მდინარის სათავეს, შესართავს, შენაკადებს, მიმართულებას, წყლის მასას, წყლის დენის სისწრაფეს, ნაოსნობის პირობებს, მდინარის ფონს, სადაც მისი გადალახვა ხერხდება; ყოველივე ამას მოსდევს ავტორის ცდა—მისცეს მოვლენებს სამხედრო შეფასება. მაგალითად, ის ამბობს: მტკვრის აუზის მიმოხილვიდან ჩანს, რომ მისი უდიდესი ნაწილი სამხედრო ოპერაციათა წარმოებისათვის მეტად საძნელო ადგილებს წარმოადგენს (გვ. 16). ჰ ა ვ ი ს ა და მ ც ე ნ ა რ ე ე ულ ო ბ ი ს პირობების შესახებ ავტორი ამბობს: მაღალი ტემპერატურა, დიდი სინესტე, მდინარის შლამი აპირობებენ ტყეების არაჩვეულებრივ სიუხვეს რიონის დაბლობზე, აგრეთვე მის გაგრძელებაზე ენგურის, ხობის და სხვა მდინარეების ქვემო დინებებში, მაგრამ ჭაობიანი ნიადაგის გამო ჰავა არაა საღი. ეს თვისებები მნიშვნელოვნად აძნელებენ სამხედრო მოქმედებათა წარმოებას ამიერ-კავკასიის ამ ნაწილში (გვ. 17). ს ა ფ ა ბ რ ი კ ო - ს ა ქ ა რ ხ ნ ო მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ი ს შესახებ ავტორი შენიშნავს, რომ კავკასიის არმია ყველა საჭირო საფაბრიკო-საქარხნო ნაწარმოების მხრივ დამოკიდებულია ევროპულ რუსეთზე, რაც ომის პერიოდებში ცუდ შედეგებს იწვევს (გვ. 37) და ა. შ. აღარ შევჩერდებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა საზღვრების და სამიმოსვლო გზების დახასიათება, მოცემული მ. ლიტვინოვის მიერ, რადგან მათი სამხედრო თვალსაზრისით განხილვა თავისთავადაც ადვილი წარმოსადგენია. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენი მსჯელობის საგანს არ შეადგენს—რამდენად სრული და უნაკლოა მ. ლიტვინოვის კავკასიის სამხედრო-გეოგრაფიული ნარკვევი. 52-გვერდიან წიგნს ამ მხრივ რა დიდი მოთხოვნილება უნდა წავუყენოთ. ჩვენ დაგვაინტერესა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისმა, რომლის გატარებას შეეცადა ავტორი აღნიშნულ წიგნში.

სამხედრო თვალსაზრისი იგრძნობა ბევრჯერ ზოგიერთ ისეთ გეოგრაფიულ ნაშრომშიაც, რომელსაც ავტორი სამხედრო გეოგრაფიად არ სთვლის. ეს ხდება მეტადრე ისტორიის ისეთ ხანებში,

როცა სამხედრო მოქმედება, ომიანობა ხშირია და ხანგრძლივ ხასიათს ღებულობს. ამ მხრივ, ცხადია, უკვალოდ არ ჩაუვლია კავკასიის ომს, რომელიც რუსეთისა და კავკასიის ხალხების ისტორიაში ცნობილია, როგორც 65-წლიანი განუწყვეტელი ომი, წარმოებული კავკასიის დასაპყრობად 1800 წლიდან 1864 წლამდე. კავკასიის ომის წარმატებით წარმოებისათვის რუსეთს სჭირდებოდა კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების სრული და ყოველმხრივი შესწავლა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ უმთავრესად ამ გარემოებამ მისცა უდიდესი ბიძგი კავკასიის შესახებ საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ლიტერატურის შექმნას რუსულ ენაზე. ამ დროის არა თუ გეოგრაფიული, არამედ ისტორიული, ეთნოგრაფიული და სხვა ნაშრომებიც კავკასიის შესახებ სამხედრო თვალსაზრისს დიდ ანგარიშს უწევენ. გადაფურცლეთ, მაგალითად, ნ. დუბროვინის ნაშრომი „კავკასიაში რუსთა ომისა და ბატონობის ისტორია“ („История войны и владычества русских на Кавказе“, ტომი I, სამ წიგნად, ს.-პ., 1871 წ.) და გაეცანით მასში იმ თავებს, სადაც მოცემულია ჩრდილო და ამიერ-კავკასიის გეოგრაფიული აღწერა. აქ ზედაპირის ფორმების და მეტადრე მდინარეების აღწერას მუდამ თან სდევს მათი გადალახვის სიძნელე-სიადვილის გათვალისწინება, ან ჰაერის განხილვის დროს ავტორს მუდამ ახსოვს მისი მეტი თუ ნაკლები სისაღე, მისი გავლენა ჯანმრთელობაზე და ა. შ. აი, მაგალითებიც: მთიანი ქვეყანა ავარია შეიცავს ზეგნებს, რომელთაც მოსდევს ისევ ზეგნები ავარიის-ყოისუსა და ყარა-ყოისუს შორის. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია გუნიბის ზეგანი, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა სამხედრო ისტორიაში, მისი აბსოლუტური სიმაღლე 7742 ფუტს უდრის. გუნიბის ზეგანი ყარა-ყოისუს ღრმა ხეობით გამოიყოფა 7905 ფუტის აბსოლუტური სიმაღლის ბრტყელი მაღლობისაგან, რომელზედაც, სწორედ ანდალიალურ სოფელ ჩოხის თავზე, მდებარეობს მთა ტურჩი-დაღი. ტურჩი-დაღის ტერასა ცნობილია, როგორც დიდებული საზაფხულო საბანაკო ადგილი ჩვენი ჯარებისათვის. ამ ზეგნების უფრეტესი ნაწილი გარემოცულია ყოველი მხრიდან ქარაფებით და დაკავშირებულია ერთმანეთთან წყალგამყოფი ყელებით (გვ. 12—13). კიდევ: მდინარე ყუბანი თავისი ზემო დინებიდან თანდათან ეშვება დაბლობზე და უკვე ყარაჩაის ქვევით მასზე იშვიათად გვხვდება ფონები. თუმცაღა წელიწადის უმეტეს დროს შეიძლება გამოძებნო გადასასვლელი ადგილი ყუბანზე, განსაკუთრებით სივრცეზე მისი სათავეებიდან იმ ადგილამდე, სადაც მას მდ. ურუფი ერთვის; იქით კი გადასვლა შესაძლებელი ხდება მხო-

ლოდ ხიდებისა ან ბოგირების საშუალებით, მეტადრე წყლის მოვატების დროს. ამას მოჰყვება ყუბანის დახასიათება სხვა მხრივაც— წყალდიდობა და მისი შედეგები. გაყინულობის დაწყება და დამთავრება, ყუბანის გადალახვის პირობები მისი გაყინვის დროს, საიდან სადამდეა ყუბანი სანაოსნოდ ან სატივოდ გამოსადეგი, ყუბანის, როგორც მთის მდინარის, თვისებები და ა. შ. (გვ. 18—19). ან კიდევ: დაღისტანში ყოველგვარი ჰავის ნიმუშებს ნახავთ, ისიც მეტად მოკლე მანძილზე. ასე, მაგალითად, იმ ადგილას, სადაც ჩვენი სიმაგრე ნიზოვოე იყო, მთელი ზაფხულის განმავლობაში ავსნებიანი მალარია მძვინვარებდა, სამ ვერსზე კი აღმოსავლეთით, პეტრეს სიმაგრის ადგილას, ჰაეა საესებით საღია და იქ გაგზავნილი ავადმყოფები ძლიერ ჩქარა იკურნებოდნენ (გვ. 37).

საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა სამხედრო-გეოგრაფიულ თვალსაზრისზე ცნობილი სამხედრო მოაზროვნის კარლ ფონ-კლაუზევიცის მსჯელობა გეოგრაფიულ მონაცემთა ომისათვის მნიშვნელობის შესახებ. კლაუზევიცმა ამ საკითხს სპეციალური თავები დაუთმო, როგორიცაა თავდაცვა მთებში, მდინარეთა დაცვა, ჭაობების დაცვა, შეტბორვა, ტყეების დაცვა. ეს მასალა გაშლილია მის ნაშრომში „ომის შესახებ", მეექვსე ნაწილის XV—XXI თავებში, 362-დან 402 გვერდამდე. საკმარისია მოვიგონოთ მოკლედ მისი შეხედულებანი. მთები—კლაუზევიცის აზრით—მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენს ომის წარმოებაზე. მთების საკითხი სამხედრო ხელოვნების თეორიისათვის მეტად მნიშვნელოვანია. მთების გავლენას შემკავებელი საწყისი შეაქვს სამხედრო მოქმედებაში, ამიტომ იგი უწინარეს ყოვლისა თავდაცვას მიეკუთვნება. დაუსრულებელი სიძნელეები ახლავს დიდი კოლონების მოძრაობას მთის გზებში. უჩვეულო ძალას იძენს უმნიშვნელო რაოდენობის რაზმიც კი, როცა იგი მოფარებულია ფრონტიდან ციცაბი ფერდობით, მარჯვნიდან და მარცხნიდან კი ხეობებით. ეს ორი გარემოება, რომელსაც შეიძლება დაემყაროს რაზმი, უდავოდ ანიჭებს მთებს ძალას და ქმედუნარიანობას, მხოლოდ შეიარაღებისა და ტაქტიკის თავისებურებანი გარკვეულ პერიოდებში იწვევდა მას, რომ შეიარაღებულ ძალთა დიდი მასები თავს არიდებდნენ მათ. რამდენიმე ასეულ კაცს ძალუძს უკუაქციოს მთებში მთელი ლაშქარი. ორწოხებში, ღელე-ღრანტეებში, სადაც კოლონა კუს ნაბიჯით მოძრაობს დაკლაკნილ გზაზე და სადაც საკმარისია ორთვალას გაფუჭება, რომ მისი შეკეთების დროს უკან ყველა გაჩერდეს, ერთი მუჭა ხალხი მთელი არმიის შეკავებას ახერხებს. მაგრამ ერთია სალა-

შკრო მოძრაობა და სულ სხვაა შეტევა. ოცდაათწლიან ომამდე, როცა საბრძოლო წესს სიღრმე ახასიათებდა, როცა კავალერია მრავალრიცხოვანი იყო, ცეცხლმსროლელი იარაღი არამაღალხარისხიანი და სხვ., რელიეფით შექმნილ დაბრკოლებებს ვერ იყენებდნენ, ნამდვილი თავდაცვა კი მთებში, რეგულარული ჯარებით, თითქმის შეუძლებელ საქმედ ითვლებოდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბრძოლო წესმა უფრო გაშლილი ხასიათი მიიღო და წინა პლანზე გამოვიდა ფეხოსანი და ცეცხლმსროლელი იარაღი, უკვე ყურადღება მიაქციეს მთებსა და ხეობებს. მაგრამ სამხედრო ხელოვნებამ მთები მაინც კიდევ 100 წლის შემდეგ აითვისა, ეს მოხდა XVIII საუკუნის შუა ხანაში. მცირეოდენი რაზმი, როგორც ვთქვით, უჩვეულო ძალას იძენს მოხერხებულად არჩეულ პოზიციაზე მთებში, ოღონდ ერთი პირობით—ფრონტი არ გაიშალოს, რაზმს უკან არ მოექცეს მტერი. მთებში თავდაცვა ხელს უშლის მას, რომ ნაწილები მოძრავი იყოს. მთიანი გარემო კარგია ფარდობითი წინააღმდეგობისათვის, ხოლო აბსოლუტური თავდაცვისათვის მთა იმდენად ხელსაყრელი არაა. მთა ნაკლებად შველის თავდამცველებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის, შემტევს კი იგი დიდად უწყობს ხელს. მთა ბრძანებლობს გარემო ადგილებზე. გაბედულ პარტიზანთა მცირე ჯგუფები თავს აფარებენ მთებს დევნის დროს და დაუსჯელად გამოჩნდებიან ხოლმე ახალახალ ადგილებში. ძლიერი კოლონებიც კი შეიძლება მიუახლოვდეს დამხვდურ ჯარს, თუ ისინი მთებს იქნებიან მოფარებული. შორს უნდა იმყოფებოდე, რომ არ მოექცე მთების გავლენის ქვეშ. როცა უკან დასახევი გზა მხოლოდ ერთი გაქვს, ვერ ჩაებმები გადამწყვეტ ბრძოლაში. მთები მოწინააღმდეგის ძალებს თიშავს, როგორც ბარიერი (მდინარესავით). მთებში კომუნიკაციის ხაზის გადაჭრის საფრთხე იქმნება. მთიანი ადგილებისათვის მისადგომებია ხეობები. მაღალი მთების დასაცავად აუცილებელი ხდება ძალების გაფანტვა (გვ. 362—360).

მდინარეების შესახებ კლაუზევიცი ასეთი აზრისაა: დიდი და საშუალო სიდიდის მდინარეები მთების მსგავსად სტრატეგიულ ბარიერებს წარმოადგენენ. აქ მხედველობაშია მისაღები: მდინარის გადალახვის პირობები და საშუალებანი, მდინარის სიგრძე, სიგანე, სიდიდე, წყლის მასის რაოდენობა, ნაპირების ხასიათი (ქარაფიანი, ჭაობიანი), მდინარის ზემო, შუა და ქვემო დინების ხასიათი, მდინარის ხეობის ხასიათი (სიღრმე), მდინარის დენის ხასიათი (სწორხაზოვანი, მეტისმეტად მიმოხვეული), მდინარის თვისებები სხვადასხვა სეზონის მიხედვით, მდინარის დენის მიმართულება (საზღვრის

პარალელურად, საზღვრისადმი პერპენდიკულარულად), ნაოსნობის პირობები მდინარეზე და ა. შ. (გვ. 380—396); ჭაობებიც თავდაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. ჭაობების შესწავლის დროს უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები: რა ფართობი უკავია ჭაობს, გაუვალია თუ არა იგი, რა საშუალებებით შეიძლება მისი გადალახვა, რა მანძილზე იქნება საჭირო მისი გადალახვა, პატარა მდინარე ხომ არ მიედინება ჭაობის შუა ზოლში, ბევრ ადგილას ხომ არ ჭერხდება ჭაობზე გადასვლა, ხანგრძლივი დრო ხომ არაა საჭირო ჭაობის ერთი ნაპირიდან მეორემდე გადასვლისათვის (გვ. 396—397). შეტბორვა (მიწის ზედაპირის წყლით დაფარვა) დიდ ჭაობებს მოგვაგონებს. შეტბორვის მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ შემდეგნაირად: რა მიზეზით შეიძლება გამოწვეულ იქნას შეტბორვა (მდინარის მიერ თავისი ნაპირების გადმოლახვა, ჯებირების გარღვევა, დიდი წვიმები ან ლანქერი), შეტბორილი წყლის სიღრმე, ფონების არსებობა მასზე, რუები ხომ არაა შეტბორილი წყლის ქვეშ და თუ არის—რა ხასიათის: რაოდენობა, სიღრმე, მიმართულება (გვ. 398—401). ტყეების შესახებ საჭიროა გათვალისწინებულ იქნას შემდეგი: რა ხასიათისაა ტყე (ხმირი, უდაბური, გაუვალი, მხვიარა მცენარეებით გადახლართული), ბილიკები და გზები ხომ არ ჰკვეთს მას, როგორია გარსახედველი ტყეში და ტყის პირას, რა ადგილასაა ტყე—მთაში თუ ვაკეზე (გვ. 401—402). ყველა ამ გეოგრაფიულ მონაცემს ითვალისწინებს კლაუზევიცი სტრატეგიულ მიმართებაში, ფაქტებს იგი სამხედრო ისტორიიდან კრებს ამა თუ იმ ომის კონკრეტული ვითარების მიხედვით.

კლაუზევიცის ეს შეხედულებანი დღემდე ინარჩუნებენ თავის აზრს და მნიშვნელობას, თუმცა მათი გამოქვეყნების შემდეგ ასზე მეტმა წელმა განვლო (კლაუზევიცის ნაშრომი „ომის შესახებ“ იწერებოდა 1818—1830 წლებში, პირველად გამოიცა ბერლინში 1832—1833—1834 წლებში სამი ნაწილი, რუსულ ენაზე ითარგმნა და პირველი გამოცემა გამოქვეყნდა 1902 წელს კ. ვოიდეს თარგმანი, იგი ხუთ ნაწილს შეიცავს, მისი სათაურია—Война (Теория стратегии), ტ. I, 1—342 გვ., ჩვენს დროში პირველი რუსული გამოცემა გამოქვეყნდა 1932 წელს, ხოლო მეორე, სრული ტექსტი, 1934 წელს, ა. კ. რაჩინსკის თარგმანი, წიგნი შეიცავს რვა ნაწილს, 13—682 გვ.).

შედარებით უფრო ახალ ნაშრომებშიაც სამხედრო ხელოვნების შესახებ გეოგრაფიულ მონაცემებს ჯეროვანი ყურადღება ექცევა. დამსახურებული პროფესორის გენერალ-ლეიტენანტის პ. გეი-

ᲡᲛᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚ ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲨᲘ—„ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲙᲣᲠᲡᲘ—ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘ, VI—XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ 1893 ᲓᲐ 1894 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ (1893 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ—ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘ, 1894 ᲬᲔᲚᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ—ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘ), ᲛᲔᲝᲠᲔᲓ ᲙᲘ 1907 ᲬᲔᲚᲡ, ᲗᲐᲕᲘ VIII ᲔᲮᲔᲑᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲡ, ᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲡ 1756 ᲓᲐ 1757 ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲨᲥᲠᲝᲑᲔᲑᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ—ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲩᲔᲕᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲐᲡ, ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ, ᲛᲘᲡ ᲠᲔᲚᲘᲔᲤᲡ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲡ. ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲥ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ: ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲥᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲠᲡ ᲔᲙᲕᲠᲘᲡ ᲩᲔᲮᲔᲗ-ᲛᲝᲠᲐᲕᲘᲘᲡ ᲝᲚᲥᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ, ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲓ. ᲖᲐᲐᲚᲔᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲝᲓᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲔᲑᲐᲛᲓᲔ (ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲔᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲔᲓᲔᲑᲘ, ᲜᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲐ ᲛᲐᲗ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲗᲐ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲔᲑᲘ). ᲔᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲖᲝᲚᲘ, ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲗ 500-ᲛᲓᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲗ 20-ᲓᲐᲜ 50 ᲕᲔᲠᲡᲐᲛᲓᲔ, ᲬᲐᲠᲩᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲡ, ᲛᲘᲡᲐᲓᲒᲝᲛᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ (ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲒᲖᲐᲗᲐ ᲛᲐᲠᲨᲠᲣᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ). ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲖᲐ ᲔᲚᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲗ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲨᲘ. ᲔᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲮᲐᲖᲘ ᲛᲔᲢ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲚᲝᲑᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝ ᲙᲐᲚᲗᲔᲑᲡ, Ე. Ი. ᲞᲠᲣᲡᲘᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲘᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲡᲘᲚᲔᲖᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲐᲓ ᲡᲐᲥᲡᲝᲜᲘᲐᲨᲘ, ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲣ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲐᲡᲬᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲔᲚᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲖᲔ ᲐᲓᲠᲔ ᲩᲐᲘᲒᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲮᲔᲚᲗ ᲐᲛ ᲝᲚᲥᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲐᲡᲘᲐᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲔᲮᲔᲗ-ᲛᲝᲠᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲗᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲢᲔᲠᲐᲡᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲬᲧᲐᲚᲒᲐᲛᲧᲝᲤᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲓᲐᲛᲠᲔᲪᲘ ᲢᲝᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲰᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲨᲘᲓᲐ ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲢᲝᲢᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ, ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲢᲧᲔ (ᲑᲔᲛᲔᲠᲕᲐᲚᲓᲔ), ᲛᲘᲡᲘ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲦᲠᲛᲐᲓᲐᲐ ᲨᲔᲣᲠᲩᲚᲘᲚᲘ ᲩᲔᲮᲔᲗᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲰᲥᲛᲜᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲡ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲐᲓ—ᲓᲐᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ—ᲩᲔᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲝᲗᲮᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲐᲛᲝᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲓᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲔᲑᲘᲗ; ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲠᲐᲕᲘᲐᲡᲐᲪ; ᲮᲝᲚᲝ ᲝᲚᲥᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔᲝᲑᲔᲜ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲗᲐ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ

ზოლის ჩრდილო მხარეზე, ჰკარგავენ ამ ხასიათს ახლო მანძილზე წყალგამყოფიდან. ეს შესაძლებლობას აძლევდა პრუსიელებს უფრო მაღე მოეყარათ თავი საჭირო რაოდენობის ჯარისათვის მოცემული მიმართულებით, ვიდრე ავსტრიელებს. მდინარეების შესახებ ავტორს მოჰყავს ასეთი ცნობები. მდინარეთაგან მნიშვნელობა ჰქონდათ: ელბას მარცხენა შენაკადებით, ვლტავითა და ეგერით (ელბის მარჯვენა შენაკადთაგან შეიძლება დავასახელოთ იზერი, რომლის თავდაცვითი თვისებები ისეთივეა, როგორც ზემო ელბისა), და ზაალესა და ოდერს. შემდეგ დახასიათებულია მდინარეები შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: მდინარის რომელი ნაწილი, რა ადგილას, როგორ ხეობაში მიედინება (გაშლილი, დავიწროებული), მისი ნაპირები როგორია (მთიანია, ღია სივრცის მქონე), როგორი სიგანისაა მდინარე სხვადასხვა ნაწილში, როდის იწყება მდინარეზე წყალდიდობა და რას აღწევს ამ დროს მდინარის განი. ამრიგად— დაასკვნის ავტორი—ელბის ამ ნაწილს (ჩეხეთის ფარგლებში) შეეძლო ჰქონოდა სერიოზული თავდაცვითი ხაზის მნიშვნელობა მხოლოდ წყალდიდობის პერიოდებში; დანარჩენ დროს კი ის წარმოადგენდა დაბრკოლებას უმთავრესად ტაქტიკური მხრივ. ელბის ამ ნაწილის მნიშვნელობა ძლიერდებოდა ციხე-სიმაგრეებით (დასახელებულია ორი). მთების ჩრდილო მხარეზე ელბა სერიოზულ გადამღობს წარმოადგენდა და ჰკვეთდა გზებს, რომელთაც მივყავართ მაინის ხეობიდან ბერლინისაკენ. ვლტავა—განაგრძობს ავტორი— თავისი თვისებებით ელბას ჰგავს. შემდეგ ახასიათებს მას: რა ადგილას როგორი სიგანისაა, როდის იცის წყალდიდობა. ვლტავა— დაასკვნის ავტორი—ელბაზე უფრო მეტად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, აუცილებელს იმისათვის, რომ სცნო იგი სერიოზულ დაბრკოლებად სტრატეგიული თვალსაზრისით, და ამ მხრივ მას ჩეხეთის მდინარეებს შორის პირველი ადგილი უკავია. ეგერი თავისი თვისებებით ვლტავისა და ელბის შემდეგ უნდა დაგვეყენებინა, მაგრამ, რადგან საზღვარს თითქმის გასწვრივ გასდევს, ელბასთან ერთად, შეიძლება იგი ვცნოთ ავსტრიელთა თავდაცვის მეორე ხაზად. არსებითი ნაკლი ეგერს ისა აქვს, რომ ის თავის დასავლეთ ნაწილში საზღვართან ახლოსაა. ასევე დახასიათებულია მდ. ზაალე და ოდერი. მაშასადამე, გეისმანიც საკმაოდ დაწვრილებით და გულდასმით განიხილავს გეოგრაფიულ მონაცემთა როლს და მნიშვნელობას ამა თუ იმ ომის პირობებში. ჩვენ განგებ შევჩერდით კლაუზევიცისა და გეისმანის შეხედულებებზე, რომელნიც, თუმცა სამხედრო ხელოვნების თეორეტიკოსები არიან და არა სამხედრო გეო-

გრაფები, მაგრამ მაინც სათანადოდ აფასებენ გეოგრაფიულ მონაცემთა მნიშვნელობას ომისათვის.

როგორც ვხედავთ, სამხედრო გეოგრაფებსა და ომის თეორეტიკოსებში ყოველი გეოგრაფიული ფაქტი და მოვლენა ინტერესს იწვევს არა როგორც თავისთავადი რამ, არა როგორც თვითმიზანი—მისი წარმოშობისა და განვითარების გასათვალისწინებლად, არამედ მხოლოდ როგორც საშუალება სამხედრო მოქმედებისათვის, როგორც ჯარების მოძრაობის, დაბანაკების, საბრძოლო ოპერაციების და ამასთან დაკავშირებულ ყველა სხვა სამხედრო მოვლენის სარბიელი. სამხედრო გეოგრაფი გეოგრაფიაში მის წმინდა გამოყენებითი მხარეს ეხება, იგი გეოგრაფიულ გარემოს სარგებლიანობის თვალსაზრისით იკვლევს. აქვე უნდა დაესძინოთ სამხედრო გეოგრაფიის ერთი თავისებურებაც—მისი თვალსაზრისის არამუდმივობა და ცვალებადობა: სამხედრო მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების განვითარებასთან ერთად ყოველთვის ერთნაირად ვერ შეფასდება თუნდაც ერთი და იმავე ადგილის სარგებლიანობა, სამხედრო თვალსაზრისი სხვადასხვა დროსა და გარემოებაში გადაფასებას განიცდის.

სამხედრო გეოგრაფიის არსის განსაზღვრასთან დაკავშირებით მოვიგონოთ რამდენიმე მთავარი მომენტი სამხედრო გეოგრაფიის საკმაოდ მდიდარი წარსულიდან.

ბუნებრივია, რომ ყოველი დროის ყველა ხალხს სამხედრო საქმიანობაში სჭირდებოდა ცნობების დაგროვება ქვეყნის ტერიტორიის, მოსახლეობისა და ეკონომიკის შესახებ და, მაშასადამე, ყოველ სამხედრო მოღვაწეს მოეთხოვებოდა გეოგრაფიის საფუძვლიანი ცოდნა. მაგრამ მე-19 საუკუნემდე სამხედრო მიზნებისათვის გამოსადეგ გეოგრაფიულ ცნობათა დაგროვება უსისტემოდ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ხდებოდა. ნაპოლეონის დროის ომების შემდეგ განსაკუთრებით ცხადი შეიქნა, რომ ომის წარმატებით წარმოებისათვის აუცილებელია სამხედრო მოქმედებათა თეატრების საფუძვლიანი შესწავლა. გაჩნდა ბეჭდვითი ნაშრომები, რომლებშიაც სახელმწიფო სამხედრო თვალსაზრისით განიხილებოდა. სამხედრო გეოგრაფიის სახელწოდებით გამოქვეყნდა თხზულებანი, მიძღვნილი ქვეყნის ზედაპირის სამხედრო თვალსაზრისით შესწავლისადმი. ხოლო ცნობები სახელმწიფოს სამხედრო ძალთა შესახებ, უმთავრესად ციფრობლივი მონაცემები სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო ფლოტის შესახებ, ქვეყნდებოდა სამხედრო სტატისტიკის სახელწოდებით. სამხედრო გეოგრაფია ჩვეულებრივი გეოგრაფიის წიაღში წარმო-

იშვა. გეოგრაფიული კვლევა ძველი დროის ომების დიდ მნიშვნელობასთან დაკავშირებით ხშირად სამხედრო განხრას ღებულობდა, ამ შემთხვევაში გეოგრაფიული კვლევა კონკრეტულ სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში კი შესაძლებელი შეიქნა დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი სამხედრო-გეოგრაფიული ხასიათის მასალების უკვე სისტემაში მოყვანა, რის შედეგადაც სამხედრო გეოგრაფია სამხედრო ცოდნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგად იქცა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში ბევრ ქვეყანაში დაარსებულ იქნა სამხედრო გეოგრაფიის კათედრები უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში. სამხედრო გეოგრაფთა წინამორბედებად მიჩნეული არიან სამხედრო ხელოვნების ცნობილი თეორეტიკოსნი მე-18 საუკუნის დამლევსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, მათ შორის ანრი ჟომინი, რომელმაც თავის სტრატეგიულ მოსაზრებებს საფუძვლად გეოგრაფიული მონაცემები დაუდო. ანრი ჟომინის დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსული სამხედრო გეოგრაფიის წინაშე. მისი წინადადებით დაარსდა რუსეთში პირველი სამხედრო აკადემია, სადაც პირველი წლებიდანვე დაწესდა სამხედრო გეოგრაფიის კათედრა.

ანრი ჟომინი, წარმოშობით შვეიცარიელი, დაიბადა 1779 წელს, 6 მარტს. სამხედრო საქმემ ბავშვობიდანვე გაიტაცა ჟომინი. ჟომინმ სამხედრო სამსახური 1798 წლიდან დაიწყო. იგი შვეიცარული ნაციონალური მილიციის ერთ-ერთი ორგანიზატორია. აქტიურად მონაწილეობს ბევრ ლაშქრობაში: მასენის, ნაპოლეონის მომავალი მარშალის, შვეიცარულ ლაშქრობებში, ომში ავსტრიის წინააღმდეგ მარშალ ნეისთან ერთად, პირადი სიმამაცის ჯილდოდ მარშალი ნეი გზავნის მას ნაპოლეონთან ცნობის მისაწოდებლად ოპერაციების შესახებ. 1806—1807 წლებში მარშალ ნეისთან ერთად მონაწილეობს ლაშქრობაში პრუსიისა და რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ჯარების საუკეთესო ხელმძღვანელს, მას ნიშნავენ მარშალ ნეის შტაბის უფროსად და ანიჭებენ ბარონის ტიტულს. შტაბის უფროსად ყოფნის დროს 1808 წელს მოაწყო ლაშქრობა ესპანეთის წინააღმდეგ. მარშალ ნეის საბრძოლო წარმატებათა მოშურნეებმა დაარხიეს ხმები, რომ ნეის წარმატებანი ჟომინის უნდა მიეწეროსო. ნეი ამ ხმებმა განაწყენა და ჟომინი მოხსნეს სამხედრო სამსახურიდან. ჟომინმ, ნეისაგან შეურაცხყოფილმა, ალექსანდრე I-ს მიმართა თხოვნით—მიეღოთ იგი რუსულ სამხედრო სამსახურში. ალექსანდრე I-მა თანხმობა განუცხადა. ნაპოლეონმა, რა გაიგო ეს ამბავი, სამხედრო მინისტრის პირით წინადადება მისცა ჟომინის—ისევ

დაბრუნებულიყო საფრანგეთის არმიაში გენერლის ჩინით, არა და დაპატიმრებით ემუქრებოდა. ჟომინი დაბრუნდა საფრანგეთის არმიის რიგებში და დაინიშნა გენერალ ბერტიეს შტაბში. 1812 წელს, ნაპოლეონის რუსეთზე თავდასხმის დროს, ჟომინი იყო ვილნოს კომენდანტი, შემდეგ კი სმოლენსკის გუბერნატორი. გუბერნატორად ყოფნის დროს მან შექმნა მომარაგების დიდი ბაზები. აგრეთვე შეისწავლა ადგილგარემო, განსაკუთრებით მდინარეები და მათი გადასასვლელები. მოსკოვიდან ნაპოლეონის უკან დახევის დროს ჟომინის ამ ცნობებმა ხელი შეუწყო მდინარე ბერეზინაზე გადასასვლელის შერჩევის საქმეს. ჟომინი შეურიგდა მარშალ ნეის და ნაპოლეონის თანხმობით ისევ დაინიშნა მისი შტაბის უფროსად. ამ დროს მან მონაწილეობა მიიღო ლაშქრობაში ბაუცენთან. მარშალმა ნეიმ ბაუცენთან ბრძოლებში დამსახურებისათვის წარადგინა იგი დივიზიის გენერლის ხარისხზე. მაგრამ მარშალმა ბერტიემ, ჟომინის მიერ დაშვებული უმნიშვნელო წინდაუხედაობის გამო, არა თუ უარი უთხრა მას წარმატებაზე, არამედ საყვედურიც კი გამოუცხადა. ბერტიეს მოქცევით შეურაცხყოფილი ჟომინი, 14 აგვისტოს 1813 წელს პერშევიცთან დროებითი ზავის დროს, გამოცხადდა კოალიციის ბანაკში პრაღაში და ხელახლა შესთავაზა მან თავისი სამსახური ალექსანდრე I-ს. ალექსანდრე I-მა ჟომინი თავის გენერალ-ადიუტანტად დანიშნა და უბოძა მას გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი. 1815 წელს ჟომინი თან ახლდა ალექსანდრე I-ს პარიზში და მასთან ერთად მონაწილეობდა აახენისა და ვერონის კონგრესებზე. ჟომინიმ მუდმივი ცხოვრება რუსეთში 1822 წლიდან დაიწყო. იგი მონაწილეობდა თურქეთის წინააღმდეგ ოპერაციების გეგმების დამუშავებაში და პირადად მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომში 1828—1829 წლებში. ჯანმრთელობის მდგომარეობამ აიძულა ჟომინი დაეტოვებინა რუსეთი და გადასულიყო ბრიუსელში. მაგრამ აღმოსავლეთის ომის დროს (1853—1856 წლებში), ნიკოლოზ I-ის მოწვევით, ისევ დაბრუნდა რუსეთში და მონაწილეობდა სამხედრო თათბირებში. 1855 წელს ჟომინიმ, გენერალ-ანშეფის ხარისხით, საბოლოოდ დასტოვა რუსეთი და დასახლდა ჯერ ბელგიაში, შემდეგ პარიზის ახლოს პასში, სადაც გარდაიცვალა 1869 წელს, 90 წლისა.

ჟომინი დიდად ნაყოფიერი სამხედრო მწერალიც იყო. მან პირველმა გამოიკვლია და აღწერა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისა და ნაპოლეონ I-ის ომები, მან განაზოგადა და სისტემაში მოიყვანა ომების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ფაქტები და

დასკვნები და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა XVIII და XIX საუკუნეთა პერიოდის სამხედრო ხელოვნების თეორია. ჟომინის ნაშრომი— „უმაღლესი ტაქტიკის თეორიული და პრაქტიკული კურსი“, ტ. I, გამოქვეყნდა 1803 წელს. 1805 წელს მან ნაპოლეონს თავისი ახალი ნაშრომი წარუდგინა—„ტრაქტატი დიდი სამხედრო ოპერაციების შესახებ“. 1807 წელს გამოაქვეყნა ამ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ტრაქტატის დასკვნითი თავი—„სამხედრო ხელოვნების მთავარი პრინციპების შესახებ“. ამ ნაშრომმა დიდი გავლენა მოახდინა სამხედრო აზრზე და სამხედრო თეორიის მიმართ ინტერესი გამოიწვია როგორც თვით საფრანგეთში, ისე საზღვარგარეთაც. 1811—1812 წლებში იგი განაგრძობდა მუშაობას, რომ დაემთავრებინა ნაშრომი „ტრაქტატი დიდი სამხედრო ოპერაციების შესახებ“ და ნაპოლეონის პირადი დავალებით დასწერა მის იტალიურ ლაშქრობათა ისტორია. 1829 წელს გამოსცა „მთავარი სამხედრო კომბინაციების ანალიზური მიმოხილვა“ ორი სტატიის დართვით სახელმწიფოთა სამხედრო პოლიტიკის შესახებ. 1836 წელს მან გადაამუშავა, შეავსო და დასრულებული ნაშრომის სახე მისცა თავის „ტრაქტატს დიდი სამხედრო ოპერაციების შესახებ“, და გამოსცა ჯერ ძველი სახელწოდებით, შემდეგ კი ახალი დასათაურება მისცა—„სამხედრო ხელოვნების ნარკვევები“. 1837 წელს უკვე მზად იყო ამ „ნარკვევების“ მეორე გამოცემა. „ნარკვევების“ საბოლოო დამუშავება გამოიწვია იმ გარემოებამაც, რომ ჟომინი 1837 წელს დაინიშნა მეფის წულის მასწავლებლად სტრატეგიაში და ავტორმა გადასწყვიტა გადაექცია ეს ნაშრომი ისეთ წიგნად, რომელიც დასასწავლად გამოდგებოდა. 1837 წელს გადამუშავებული ეს „ნარკვევები“ 1840 წელს გამოიცა. ჟომინის „ნარკვევებს“, რომელიც საუკუნეზე მეტია, რაც გამოქვეყნებულია, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. ფრ. ენგელსი ჟომინის კლაუზევიცთან ერთად მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ სანიმუშო ავტორად სთვლის (იხ. Г. Жомини—„Очерки военного искусства“, ტ. I, თარგმნილი 1855 წლის ფრანგული გამოცემიდან, მოსკოვი, 1939 წ., გვ. 3—11).

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ჟომინის დიდი დამსახურება მიუძღვის რუსული სამხედრო გეოგრაფიის დარგში. ჟომინი ნიკოლოზ I-ის დროს მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ხასიათის სამხედრო პროექტების დამუშავებაში, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა პროექტი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის შექმნის შესახებ გენერალური შტაბის ოფიცერთა მოსამზა-

დებლად. მართლაც, მისი წინადადებით 1832 წელს დაარსებულ იქნა რუსეთის პირველი სამხედრო აკადემია (საიმპერატორო, მას 1855 წლიდან ეწოდა გენერალური შტაბის ნიკოლოზის სახელობის სამხედრო აკადემია). ეს აკადემია ერთ-ერთ თავის მიზნად იმასაც ისახავდა, რომ ხელი შეეწყო სამხედრო მეცნიერების განვითარებისათვის რუსეთში. და ბუნებრივია, რომ აქ ჩაეყარა საფუძველი სამხედრო გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, განვითარებას რუსეთში.

თავის „სამხედრო ხელოვნების ნარკვევებში“ ჟომინი სამხედრო გეოგრაფიის შესახებ ამბობს, რომ იგი „მდგომარეობს ომის თეატრის ტოპოგრაფიულ და სტრატეგიულ აღწერაში ყველა იმ დაბრკოლებათა აღნიშვნით, რომელნიც შეიძლება დაუპირისპიროს ჩვენს შემართებას ხელოვნებამ და ბუნებამ, და საზღვრით ან ქვეყნის მთელი სივრცით შექმნილ მუდმივ გადამწყვეტ პუნქტთა გამოკვლევაში. არა თუ სამინისტრო, არმიის სარდალიც და გენერალური შტაბიც უნდა იყოს ამ ცნობების კურსში. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა მათი ვარაუდი მეტად მცდარი იქნება, როგორც ეს ხშირად გვემართება ჩვენს დროშიაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზებულმა ხალხებმა დიდ პროგრესს მიაღწიეს სტატისტიკურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ სამეცნიერო დარგებში“ (იხ. ჟომინის „ნარკვევები“, ტ. I, თავი II, სტატია XI, გვ. 57—58). სამხედრო გეოგრაფიის გარდა ჟომინის საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე სამხედრო სტატისტიკის ცოდნაც, ე. ი. მისი განმარტებით, მოწინააღმდეგის სიძლიერის ყველა ელემენტის და ყველა სამხედრო საშუალების ცოდნა. „ამ მეცნიერებათ ჯერ კიდევ სჭირდებათ განვითარება“—ამბობს ჟომინი,—„სამხედრო გეოგრაფია და სამხედრო სტატისტიკა ჯერ კიდევ არ ისწავლება საყოველთაოდ, მაგრამ ევროპის სახელმწიფოთა გენერალური შტაბების არქივებში უნდა მოიპოვებოდეს მრავალი ძვირფასი დოკუმენტი, რომელთა მიხედვითაც მოხერხდებოდა ამ მეცნიერებათა შესწავლა გენერალური შტაბებისათვის დაარსებულ სპეციალურ სკოლებში მაინც“. ჟომინი გამოთქვამს იმედს, რომ ოდესმე რომელიმე ცოდნისმოყვარე სამხედრო პირი ისარგებლებს გამოქვეყნებული და გამოუქვეყნებელი დოკუმენტებით და შეჰქმნის საერთო ინტერესებისათვის კარგ სამხედრო და სტრატეგიულ გეოგრაფიას (იქვე, გვ. 59).

ჟომინის „ნარკვევებში“ სამხედრო ოპერაციების განხილვისა და სტრატეგიულ მოსაზრებათა გაშუქების დროს მრავლადაა მომარჯვებული გეოგრაფიული მონაცემები. გეოგრაფიულ მონაცემთა

ასე უხვად წარმოდგენა და მათი გაანალიზება სტრატეგიულ მიმართებაში ხელს უწყობდა სამხედრო გეოგრაფიის ჩამოყალიბებას ცალკე სამეცნიერო დისციპლინის სახით. ჟომინის „ნარკვევების“ ორსავე ტომში (იხ. Жомини—„Очерки военного искусства“, ტ. I და ტ. II, მ. 1939 წ.) გეოგრაფიული მონაცემები წინა პლანზეა წამოწეული იმდენად, რომ ამით დაჩრდილულია სოციალ-პოლიტიკური ფაქტორები.

ჟომინის დროს რუსეთში იწყო ჩამოყალიბება ორიგინალურმა რუსულმა სამხედრო გეოგრაფიამ. პირველ რუს სამხედრო გეოგრაფად შეიძლება მივიჩნიოთ პოდპოლკოვნიკი პ. იაზიკოვი, რომელიც ჟომინის შემდეგ მუშაობდა აკადემიაში სამხედრო გეოგრაფიის კათედრაზე. იაზიკოვმა 1838 წელს გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი თხზულება სამხედრო გეოგრაფიის თეორიის შესახებ (იხ. „Опыт теории военной географии“, сочинение Подполковника П. Языкова, ნაწილი I და ნაწილი II, ს.-პ. 1838 წ.), რომელშიაც მიზნად დაისახა „დაემტკიცებინა გეოგრაფიული ელემენტის ცალკე გამოკვლევის შესაძლებლობა სტრატეგიულ მოსაზრებათა მიმართებაში; აეხსნა ამ გამოკვლევის პრაქტიკული სარგებლიანობა, ე. ი. დაემტკიცებინა გამოკვლეულ ჭეშმარიტებათა გამოყენების შესაძლებლობა მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად“ (იხ. დასახელებული ნაშრომი, ნაწილი II, გვ. 198). იაზიკოვი სამხედრო გეოგრაფიის თეორიის თავისი პირველი ცდის შესახებ თვითონვე ამბობს, რომ ეს თეორია ახლა იქმნება, მან ვერ მიაღწია ჯერ კიდევ სრულ განვითარებას, ისახება შესაძლებლობა სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტის ცალკე გამოკვლევისა, შაგრამ დადგება დრო, როცა ეს მეცნიერება თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწევს (იქვე, გვ. 199) და ის გახდება სტრატეგიული მეცნიერების ერთი ყველაზე უფრო სასარგებლო დარგი (იქვე, გვ. 200). იაზიკოვმა გეოგრაფიული მონაცემები—ქვეყნის ადგილმდებარეობა, გეოგრაფიული შედგენილობა და ზეღაპირის მოყვანილობა საფუძვლად დაუდო ციხე-სიმაგრეთა განლაგების სისტემების ახსნას. არ უარყოფს-რა, რომ ციხე-სიმაგრეთა განლაგებაზე პოლიტიკური მიზეზებიც ახდენს გავლენას (იხ. მისი ნაშრომი, ნაწილი II, გვ. 9), ის მაინც გეოგრაფიულ ფაქტორებს აძლევს უპირატესობას. ამგვარად, იაზიკოვი არკვევს საკითხს—რა მონაცემებს უნდა დაემყაროს მოსაზრება ციხე-სიმაგრეთა ასაგებად გამოსადეგი პუნქტების შერჩევის დროს. იაზიკოვი ასაბუთებს უამრავი მაგალითის მოყვანით, რომ ციხე-სი-

მაგრის აგება მიზანშეწონილია მხოლოდ ისეთ პუნქტებში, რომელთა აღება საგრძნობ გავლენას მოახდენს სამხედრო მოქმედებაზე, მაშასადამე, ეს პუნქტები სტრატეგიული მნიშვნელობის უნდა იყოს. ამავე დროს იაზიკოვს ისიც კარგად ესმის, რომ ამ პუნქტების სტრატეგიული მნიშვნელობაც ყოველთვის ერთნაირი არ არის (იქვე, გვ. 3—11).

3. იაზიკოვი არ იზიარებდა გერმანელ სამხედრო გეოგრაფთა შეხედულებებს სამხედრო გეოგრაფიაზე. იგი შენიშნავს, რომ 1832 წლიდან აკადემიაში სამხედრო გეოგრაფია ისწავლებოდა გერმანელ სამხედრო გეოგრაფთა სისტემით, მაგრამ გენერალმა სუხოზანეტმა (აკადემიის პირველმა დირექტორმა) ეს სისტემა ;არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და ბრძანა, რომ სამხედრო გეოგრაფიის ნიმუშებად აეღოთ იტალიის სამხედრო-გეოგრაფიული მიმოხილვა, შესრულებული მონტოლონის მიერ, და ომის თეატრის აღწერა, შედგენილი ერცჰერცოგ კარლის მიერ. იაზიკოვმაც აირჩია ამ სისტემით მუშაობა, რომელიც, მისი აზრით, გერმანული სისტემისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ გერმანელთა თხზულებებში გადმოცემული იყო ერთი მხოლოდ აღწერა გეოგრაფიულ საგანთა მაშინ, როდესაც მონტოლონისა და ერცჰერცოგ კარლის მიხედვით აღწერას ერთვის გამოკვლევა და გეოგრაფიულ საგანთა მნიშვნელობის ახსნა სამხედრო თვალსაზრისით. იაზიკოვის კვლევის წესს ცალკე გავეცნობით (იხ. წინამდებარე ნაშრომის 50—51 გვ.). აქ კი აღვნიშნავთ შემდეგს: იაზიკოვს აფიქრებს ის გარემოება, რომ ასეთი მეცნიერება არ შეიძლება იყოს „უცვლელი", რადგან ბუნებრივი გეოგრაფიული საგნების გარდა, როგორიცაა ზღვები, ქედები, მდინარეები, მას აქვს ხელოვნური გეოგრაფიული საგნებიც—ნავსადგურები, არხები, გზები, ქალაქები, რის გამოც მისი დასკვნები მართებული იქნება მხოლოდ მოცემული ისტორიული ხანისათვის. იაზიკოვი ცდილობს, რომ სამხედრო გეოგრაფია იყოს არა აღწერილობითი, არამედ კვლევა-ძიებითი მეცნიერება, იქცეს სტრატეგიის დარგად, რომელიც შეიცავს ზუსტ მეცნიერებათათვის დამახასიათებელ ცხად შეშმარიტებებს. იაზიკოვის შეხედულებით სამხედრო გეოგრაფია არის დედამიწის ზედაპირის გამოკვლევა სტრატეგიული მხრივ თანამედროვე ხანაში და სამხედრო გეოგრაფიის თეორია არის გეოგრაფიული ელემენტის ზოგადი გამოკვლევა სტრატეგიული თვალსაზრისით (იხ. А. Снесарев—„Введение в военную географию", მ. 1924 წ., გვ. 306—308).

III

სამხედრო გეოგრაფია, როგორც მეცნიერება

სამხედრო გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება.— დიმიტრი ალექსის-ძე მილუტინი, როგორც სამხედრო გეოგრაფიის ფუძემდებელი.— დ. ა. მილუტინის ცხოვრება და მოღვაწეობა.— დ. ა. მილუტინის სამხედრო-გეოგრაფიული კონცეპცია.— სამხედრო გეოგრაფია და სამხედრო სტატისტიკა.

სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვას რუსეთში, ცხადია, შედეგად უნდა მოჰყოლოდა მისი, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებაც. სამხედრო გეოგრაფიას, როგორც მეცნიერებას, მტკიცე საფუძველი ჩაუყარა დიმიტრი ალექსის-ძე მილუტინმა. დ. ა. მილუტინი, სრულიად სამართლიანად, სამხედრო გეოგრაფიის ფუძემდებლად არის მიჩნეული. ამიტომაც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენში მისი გაცნობა, რასაც შედარებით მეტი დრო და ადგილი ეთმობა წინამდებარე ნაშრომში.

ვიდრე გავეცნობოდეთ დ. ა. მილუტინს, როგორც სამხედრო გეოგრაფს, საჭიროა თუნდაც ზოგადად გადავავლოთ თვალი მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ეს ხელს შეგვიწყობს გამოვავლინოთ მილუტინის ადგილი და როლი რუსულ მეცნიერებაში საერთოდ და კერძოდ სამხედრო-გეოგრაფიული აზროვნების სფეროში. დ. ა. მილუტინის შესახებ მდიდარ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაწვდიან პროფ. ა. პ. ლიდოვი და პოდპოლკოვნიკი ნ. პ. ჟერვეაი, მთავარი შტრიხები მილუტინის ცხოვრება-მოღვაწეობიდან.

დ. ა. მილუტინი დაიბადა 1816 წელს. 23 წლის ჭაბუკმა მილუტინმა სამხედრო აკადემია დაამთავრა (1839 წელს) და ამ დროიდან იგი 5 წლის განმავლობაში მსახურობდა კავკასიის ჯარებში (1839—1844 წლებში). 1839 წელს მან მონაწილეობა მიიღო დაღისტანში შამილის წინააღმდეგ ბრძოლებში, 1844 წ. ისევ ჩაჩნეთსა და დაღისტანში იმყოფებოდა. 1845 წლიდან მილუტინი დაინიშნა სამ-

ხედრო აკადემიის პროფესორად სამხედრო გეოგრაფიის კათედრაზე (იაზიკოვის შემდეგ) და აქ მან 11 წელი დაჰყო. 1856 წლიდან გენერალ ალექსანდრე ივანეს-ძე ბარიატინსკის სურვილით დაინიშნა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსად. გენერალი ბარიატინსკი სწორედ 1856 წლიდან ჩაუდგა სათავეში კავკასიას, როგორც მეფის ნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი, და მის დროს მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დასრულდა აღმოსავლეთ კავკასიის—დაღისტანისა და ჩაჩნეთის სრული დაპყრობა (1859 წ.), რამაც გადაწყვიტა კავკასიის 65-წლიანი ომის დასრულებაც, რაც ხუთიოდე წლის შემდეგ მოხდა (1864 წ.). ამ დიდი სამხედრო ოპერაციებისათვის მას, ცხადია, მოუხდებოდა კავკასიის არმიის სათანადოდ მომზადება, მარჯვე სტრატეგიულ ღონისძიებათა დასახვა და შესაფერი ტაქტიკის გამომუშავება მაღალმთიან, ბუნებით მიუდგომელ და უგზო კავკასიონზე ბრძოლების წარმატებით ჩასატარებლად. ამისათვის საჭირო იყო გამოცდილი თანამებრძოლის გამონახვა. და ბარიატინსკის არჩევანი მილუტინზე შეჩერდა. ამის შესახებ სამხედრო ისტორიკოსი ბ. ს. ესაძე თავის „საქართველოს მატიანეში“ სწერს: „კარგად იცნობდა-რა კავკასიას, მან (ბარიატინსკიმ—დ. დ.) დააწესა პოსტი ჯარების სარდალთა, რომელნიც აღჭურვილნი იყვნენ საკორპუსო სარდლის უფლებებით, და აირჩია თავის თანაშემწედ გენერალი მილუტინი, რომელმაც განავითარა მხარეში, ბარიატინსკის იდეის მიხედვით, სამხედრო მართველობის სისტემა (იხ. Б. С. Эсадзе—„Летопись Грузии“, თბილისი 1913 წ., სტატია —„Окончание войны с кавказскими горцами“, გვ. 230). მილუტინი 1859 წელს მონაწილეობდა გუნიბის აღებაში, სადაც ტყვედ იქნა შეპყრობილი ცნობილი შამილი. 1860 წელს მილუტინი დაინიშნა სამხედრო მინისტრის ამხანაგად, მომდევნო 1861 წელს კი სამხედრო მინისტრად და ამ პოსტზე დარჩა ოც წელიწადს (1861—1881 წლებში). 1878 წელს მას მიანიჭეს გრაფის წოდება ომის დროს გაწეული შრომისათვის, ხოლო 1898 წელს გენერალ-ფელდმარშალის უმაღლესი სამხედრო წოდება მიიღო. მილუტინი იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, საპატიო პრეზიდენტი გენერალური შტაბის აკადემიისა და სამხედრო-იურიდიული აკადემიისა, საპატიო წევრი მეცნიერებათა აკადემიისა და საარტილერიო, საინჟენერო და სამედიცინო-ქირურგიული აკადემიებისა, მოსკოვისა და ხარკოვის უნივერსიტეტებისა, დაავადებულ და დაჭრილ მეომართა მზრუნველი საზოგადოებისა. რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოებისა. რუსეთის სამხედრო-ისტორიული საიმპერატორო საზო-

გადოებისა, რუსეთის ისტორიისა და სიძველეთა ოდესის საზ-ბისა. 1866 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა რუსეთის ისტორიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი honoris causa.

მილუტინი იმპერატორ ალექსანდრე II-ის ერთ-ერთი უახლოესი, უაღრესად ენერგიული და დამსახურებული თანამშრომელი იყო. ადმინისტრაციული მოღვაწეობის დაწყებიდანვე და სამხედრო მინისტრად ყოფნის დროს რუსეთის განახლების მედგარ, დარწმუნებულ მებრძოლად არის მიჩნეული. იგი ახლო კავშირში იყო საკმაოდ ფართო სამეცნიერო-სალიტერატურო წრეებთან, საზოგადოების გამოჩენილ წარმომადგენლებთან. სამხედრო სამინისტროს ამოცანები მის დროს მეტად რთული იყო: უნდა მომხდარიყო არმიის მთელი წყობისა და მართვა-გამგეობის რეორგანიზაცია, სამხედრო ყოფის ყველა მხარე გარდაქმნას მოითხოვდა, რადგან იგი ცხოვრების მოთხოვნილებებისაგან კაი ხანია ბევრად იყო ჩამორჩენილი. ხალხისათვის მეტად სამძიმო სარეკრუტო ვალდებულების ძირითადი რეფორმის მოლოდინში, მან გამოითხოვა უმაღლესი ბრძანებულება სამხედრო სამსახურის ვადის შესამცირებლად—25 წლიდან 16 წლამდე-და სხვა შეღავათები, ხოლო რეფორმის შემდეგ სამსახურის ვადა ძალზე შეამცირა: ხმელეთის ჯარში ნამდვილი სამსახურისათვის დაწესდა ვადა 6 წელი, მარქაფში 9 წელი, ფლოტში კი შესაბამისად 7 და 3 წელი.

სამხედრო სამსახურის ვადების შემცირებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხრივ ერთ უაღრესად გონივრულ და სამართლიან ღონისძიებას, რომელიც მილუტინმა რუსეთის სამხედრო ცხოვრებაში გაატარა: მან 1874 წლიდან შემოიღო საყოველთაო სამხედრო ბეგარა. საზოგადოების მაღალი კლასები, აღზრდილნი პრივილეგიებზე, ამ რეფორმით ძლიერ უკმაყოფილო დარჩნენ. ვაჭრები, მაგალითად, აცხადებდნენ—ოღონდ სამხედრო ბეგარისაგან გაგვათავისუფლეთ და მზად ვართ ჩვენს ხარჯზე შევინახოთ ინვალიდებიო.

მილუტინმა მთელი რიგი ზომები მიიღო ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა არა მარტო ჯარისკაცთა უზრუნველყოფისათვის კვებისა და შემოსვის მხრივ, არამედ, რაც მთავარია, ჯარისკაცის პიროვნების დასაცავად მისთვის დამამცირებელ დამოკიდებულებათაგან. მან აკრძალა ჯარისკაცის ხელით შეხება. მისი გავლენით გამოიცა

1863 წლის 17 აპრილის კანონი, რომლითაც აიკრძალა მკაცრი სისხლის სამართლის სასჯელი—შპიცრუტენები (შპიცრუტენი მოქნილი წკეპლაა, სიგრძით 2 მეტრამდე; მსჯავრდადებულს, თოფზე მიბმულს, ნელი ნაბიჯით—ან თუ ძალღონე გამოელეოდა, ერთგვარ მარსილზე დადებულს—გაატარებდნენ ორპირად გაკეკრილებულ ჯარისკაცთა რიგებში, რომელთაგან თითოეულს ევალებოდა სახრესავით გადაეცემა მისთვის წკეპლა და დაერტყა გაშიშვლებულ ზურგზე ან მკერდზე. დარტყმის რაოდენობა განისაზღვრებოდა რამდენიმე ასეულიდან 12000-მდე. 3000-ზე ნეტ დარტყმას, როგორც წესი, მოსდევდა დასჯილის აუცილებელი სიკვდილი. ამგვარად, შპიცრუტენით დასჯა ხშირად სიკვდილით დასჯის შენიღბვას წარმოადგენდა. შპიცრუტენით დასჯა გადმოღებულ იქნა რუსეთში პრუსიიდან 1701 წელს. ამ წესით ისჯებოდა ჯარისკაცი სამხედრო, რელიგიური და პოლიტიკური დანაშაულისათვის, მეტადრე ჯარისკაცთა, გლეხთა და მუშათა მღელვარებაში მონაწილეობისათვის. დასჯის ეს მხეცური, პრუსიული წესი 1863 წლამდე არსებობდა რუსეთში). აიკრძალა აგრეთვე ჯარისკაცის გამათრახება, როზგები, დადაღვა, ეტლზე მიბმულის თრევა და მისთანანი. მილუტინი ჯარისკაცის ჰუმანური აღზრდის მომხრე იყო.

ეს კიდევ არაფერი. მილუტინი რუსეთის განახლების საქმეს მჭიდროდ აკავშირებდა სწავლა-განათლების გავრცელების საქმესთან. აღსანიშნავია, რომ იგი გულუხვად აძლევდა შეღავათებს იმ სამხედრო ვალდებულთ, რომელნიც სწავლა-განათლების ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი. შეღავათის ხანგრძლივობა მატულობდა განათლების ხარისხთან ერთად და ნამდვილი სამსახურის ვადა განისაზღვრებოდა 4 წლიდან 6 თვემდე (ნაცვლად 6—7 წლისა). მოსწავლეთათვის შეღავათების მიცემის საკითხში მილუტინის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო თვით სახალხო განათლების მინისტრი გრაფი დიმიტრი ანდრიას-ძე ტოლსტოი (1823—1889 წლებში), რომლის წინადადებით უდიდესი შეღავათი 1 წლით უნდა განსაზღვრულიყო (ეს ის ტოლსტოია, რომელმაც სახალხო განათლების დარგში თავი ისახელა თავისი კონსერვატიულობით და რეაქციონერობით და ისტორიაში რეაქციის ერთ-ერთი დედაბოძის სახელი დაიმსახურა). მაგრამ მილუტინმა ტოლსტოის წინააღმდეგობა სძლია და თავისი თვალსაზრისი გაატარა შეღავათების დაწესების საქმეში.

მილუტინმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია განათლების გავრცელების საკითხს სამხედრო წესდებაშიაც. მის დროს პირველი ნოთხოვნით დაიწყო რუსეთში პირველად წერა-კითხვის სწავლება ჯარის-

კაცთათვის. ცნობილია, რომ მაშინ სამსახურში შესულ რეკრუტთა საერთო რიცხვიდან მხოლოდ 10% იყო წერა-კითხვის მცოდნე, ჯარისკაცს წერა-კითხვას არ ასწავლიდნენ, მისი გონებრივი განვითარება ყოველმხრივ იზღუდებოდა. თვით ოფიცერთა შედგენილობაშიაც ცოტა როდი იყო ისეთი, რომელსაც ძლივს-ძლივობით შეეძლო მხოლოდ თავისი სახელისა და გვარის მოწერა ქაღალდზე. მილუტინის ინიციატივით დაიწყო საკითხავი წიგნებისა და ჟურნალების გამოცემა ჯარისკაცთათვის. სამხედრო სწავლებაც დიდად განვითარდა მის დროს. გაფართოვდა სამხედრო სკოლების ქსელი, გადახალისდა საშუალო და უმაღლესი სამხედრო სკოლები, გარდაიქმნა სწავლების მოძველებული პედაგოგიური ხერხები. პირველად მილუტინმა შემოიღო სამხედრო სტატისტიკა აკადემიის კურსში (ე. ი. დისციპლინა, რომელიც, მისი გაგებით, შეისწავლის სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სხეულის, რთული ორგანიზმის ნაირგვაროვან მოვლენებს, მის ძალებსა და საშუალებებს სამხედრო თვალსაზრისით, აქ მილუტინი გეოგრაფიულ მონაცემებსაც გულისხმობს). მილუტინმა გააფართოვა სამხედრო სკოლებში ზოგადი განათლების პროგრამა, იგი ათავისუფლებდა სამხედრო სკოლებს ნაადრევი სამხედრო სპეციალიზაციის დანერგვისაგან. ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებამ აამაღლა რუსი ოფიცრობის გონებრივი დონე, ოფიცრად განწესებისათვის მათ გაცილებით მეტი მოთხოვნილება წაუყენეს ახლა მეცნიერული მომზადების მხრივ.

საუკეთესო მოგონებები აქვს მილუტინის დროის სამხედრო გიმნაზიების შესახებ ჩვენს მწერალს დავით კლდიაშვილს. მისი აზრი ამ საკითხზე მეტად საყურადღებოა, რადგან, როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილმა თვითონ გაატარა თავისი ბავშვობა და სიყრმე ერთ-ერთ ასეთ სამხედრო გიმნაზიაში—მან სწავლა-აღზრდა კიევის სამხედრო გიმნაზიაში მიიღო, სადაც იგი მიაბარეს 9 წლის ბავშვი 1872 წელს. აი, რას ამბობს იგი თავის მემუარებში: „კორპუსი, ძველი სალდათური კორპუსი, ის იყო მოშალეს, გადააკეთეს სხვანაირად, დაარქვეს სამხედრო გიმნაზია; ჩამოაცალეს ყოველი ეხედრული, გარდა ტანისამოსის ფორმისა; სწავლა იყო რეალურ სასწავლებლის პროგრამის, შვიდკლასიანი, ახალი ენებით, ნაცვლად ლათინური და ბერძნულისა. აღმზრდელები უმეტეს ნაწილად შტატსკენი იყვნენ, უმაღლეს სწავლა მიღებულნი. მასწავლებელთა შორის ბევრი იყვნენ კიევის უნივერსიტეტის პროფესორები. ეს იყო ცნობილი, ევრეთწოდებული მილუტინის სამხედრო გიმნაზია... კარგ დროს მოვხვდი ჩემდა იღბლად კიევის გიმნაზიაში; ყველაფერი . ლიბერალურ

გეგმაზე იყო მოგზართული: სამხედრო მინისტრმა მილუტინმა სულ გადაასხვაფერა წინანდელი კორპუსები, სწავლა მაღლა დააყენა და კაზარმობა გამოდენა... ჩვენი მასწავლებლები კიევის საუკეთესო პედაგოგები იყვნენ, მოწინავე ჯგუფისა; ბევრი მათგანი პროფესორებიც იყვნენ უნივერსიტეტიდან... მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის დიდი ნდობა და კეთილი განწყობილება სუფევდა. ბავშვებს გვასწავლიდნენ მუსიკას, დურგლობას, წიგნის აკინძვას, ყდის კეთებას, ხარატობას, ჩუქურთმას. ყოველ კლასს ჰქონდა თავისი სიმებიანი ორკესტრი—და ვუკრავდით სხვადასხვა ოპერიდან.... მოქცევა-მოპყრობა ნამდვილი კეთილშობილური იყო. არავითარ შეურაცხყოფას მოსწავლისას ადგილი არ ჰქონია; ყველაფერი მიმართული იყო იმისაკენ, რომ ბავშვს მიეღო ნამდვილი განვითარება. ამ გიმნაზიებმა დიდხანს ვერ გასტანეს. ალექსანდრე მესამის მეფობის მესამე წელიწადსვე გადააკეთეს ძველებურ ყაიდაზე, კორპუსებად; შემოიღეს სამხედრო წყობილება, არამხედრობაში მოსამსახურეს ადგილი არ ჰქონდა, ბავშვები იყვნენ ეფრეიტორები, უნტერ-ოფიცრები, ფელდფებელები და ამგვარები. თუთხმეტი წელიწადი არსებობდა „მილუტინის სამხედრო გიმნაზიები", მაგრამ თავისი კვალი ძლიერ დააჩინა რუსეთის სამხედრო ოფიცერთა შემადგენლობას. რაც მოწინავე და ლიბერალური შეხედულების აფიცრობა იყო—ეს ამ გიმნაზიებიდან გამოსულები იყვნენ" (იხ. დავით კლდიაშვილი— „მემუარები", თბ. 1932 წ. გვ. 23, 28, 29, 30).

დ. ა. მილუტინი არა-სამხედრო ხაზითაც პროგრესიულად მოაზროვნე მოღვაწე იყო. მაგალითად, იგი მოითხოვდა, რომ ერობებს (ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს) მეტი უფლებები და მეტი დამოუკიდებლობა მისცემოდათ. მხარს არ უჭერდა ბმოსნების (ქალაქის სათათბიროს წევრების) წოდებრივობის მიხედვით არჩევის შემოღებას და აზნაურთა ელემენტის გადამეტებას არჩეულებში, დაჟინებით მოითხოვდა, რომ თვით საერობო, სამაზრო და საგუბერნიო კრებას აერჩია თავისი თავმჯდომარეები. სასამართლოს წესდებათა განხილვის დროს ყოველმხრივ უჭერდა მხარს რაციონალური მოსამართლეობის საფუძვლების გატარებას. 1865 წლის ბეჭდვითი კანონი მკაცრად გააკრიტიკა,—უხერხულად სცნობდა, რომ ერთ დროულად არსებობდნენ ორი რიგის გამოცემები: ერთი ისეთი, რომელსაც ეხებოდა წინასწარი ცენზურა, მეორე ისეთი, რომელიც ამ ცენზურისაგან გათავისუფლებული იყო. წინააღუდგა იმ ღონისძიების გატარებას, რომ ბეჭდვითი საქმე შინაგან საქმეთა მინისტრს დაუმორჩილეს, და მოითხოვდა, რომ ბეჭდვითი საქმის საკითხე-

ბი დაკისრებოდა კოლეგიალურ და სავსებით დამოუკიდებელ დაწესებულებას.

საერთოდ დ. ა. მილუტინის მოღვაწეობა დაემთხვა რუსეთში 50-იანი წლების რევოლუციურ მოძრაობას და რევოლუციური სიტუაციის მომწიფების ხანას, ყირიმის ომის მარცხით დამთავრებას, რომელმაც საოცარი სიცხადით გამოამჟღავნა რუსეთის ტექნიკურ-ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობა და ააღორძინა გლეხობა და საზოგადოებრივი აზრი ბატონყმური მონარქიის წინააღმდეგ, პრივილეგიური საზოგადოების წრეებში ლიბერალური მიმართულების ჩასახვას, რომელიც ბატონყმობას ებრძოდა. მაგრამ რევოლუციას, მასების მოძრაობას უფრთხოდა და მხარს უჭერდა მონარქიას, მემამულეთა ხელისუფლებას, სურდა „გაეთავისუფლებინა“ რუსეთი „ზემოდან“ და ამით გადაერჩინა დაშლისაგან მეფის მონარქია, ალექსანდრე II-ის დროის რეფორმების გატარებას, 1861 წლის გლეხთა რეფორმას, 60-იანი წლების რევოლუციურ მოძრაობას, იშუტინელი დ. ვ. კარაკოზოვის მოუხერხებელ თავდასხმას ალექსანდე II-ზე და „თეთრი ტერორის“ გაბატონებას, პოლონეთის აჯანყებას, 1863—1874 წლების რეფორმების მომზადებასა და გატარებას, რომლის მიზანიც იყო შეეხამებინა რუსეთის თვითმპყრობელურ-პოლიციური წყობილება კაპიტალისტური განვითარებისათვის, მისი აზნაურულ-მემამულური არსის შენარჩუნებით. ამ მრავალმხრივ საყურადღებო ხანაში დ. ა. მილუტინი და მისი ძმა ნიკოლოზ ალექსის-ძე მილუტინი (1818—1872 წ.წ.)—ფართო განათლებისა და დიდი ენერგიის მქონე მოღვაწე, რომელსაც ღრმად სწამდა რუსეთის სოციალ-პოლიტიკური წყობილების შეხამების აუცილებლობა ბურჟუაზიული განვითარების მოთხოვნილებებთან, სამეურნეო სტატისტიკის დარგში თვალსაჩინო სპეციალისტი, გლეხთა რეფორმის მომზადებისა და გატარების ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა,—რუსეთის ისტორიის ფონზე გვესახებიან, როგორც ლიბერალი მოაზროვნენი [1] (იხ. ამის შესახებ დაწვრილებით—„История СССР“, ტომი II, რუსეთი

---

[1] დ. ა. მილუტინის უმცროსი ძმა ვლადიმერ ალექსის-ძე, რომელსაც აქ, ამ თემასთან უშუალო კავშირში, ვერ ვეცნობით, დიდი ნიჭით დაჯილდოვებული სწავლული ეკონომისტი და მწერალი იყო (1826—1855 წ.წ.). მას დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების წინაშე. ამ საზ-ბის ნამდვილი წევრი გახდა იგი 1846 წლიდან, მისი მდივანი 1852 წლიდან, მუშაობდა საზ-ბის სტატისტიკის განყოფილებაში, შემდეგ საზ-ბის „მოამბის“ რედაქტორიც იყო. მის ხელში „მოამბის“ პროგრამა გაფართოვდა და გაშინაარ-

XIX საუკუნეში, პროფ. ნეჩკინას რედაქციით, მ. 1940 წ., თავები XXI—XXV, გვ. 383—481).

აი, რა საგულისხმო სტრიქონებს ვკითხულობთ ისტორიაში დ. ა. მილუტინის შესახებ: „ალექსანდრე II-ის მეფობის მეორე ნახევრის რეაქცია ყველაზე უფრო ნაკლებ შეეხო სამხედრო სკოლას. ყირიმის ომის გამოცდილებამ დაგვანახა ოფიცერთა კადრის მომზადების სრული უვარგისობა და გამოიწვია სამხედრო განათლების ძირითადი გარდაქმნა... ლიბერალური სამხედრო მინისტრის ხელმძღვანელობით განვითარებაში მყოფი სამხედრო გიმნაზიები ბევრი სიკეთით გამოირჩეოდნენ ტოლსტოის მიერ დამახინჯებული კლასიკური გიმნაზიებისა და რეალური სასწავლებლებისაგან, როგორც თავისი სასწავლო გეგმით, ისე სწავლების დაყენებით, რომელიც თავისუფალი იყო აზრის ჩამკვლელი რეგლამენტაციისაგან. ეს გარემოება იზიდავდა მათკენ საუკეთესო პედაგოგიურ ძალებს და ხდიდა მათ პროგრესიული პედაგოგიური აზრის ცენტრებად“ („История СССР“, ტ. II, გვ. 478—479). მართლაც, სამხედრო გიმნაზიების სახით მილუტინმა რეალური განათლების მთელი სისტემა შექმნა, წინააღმდეგ „კლასიციზმისა“, რომელსაც მაშინ ტოლსტოი ნერგავდა (ნ. პ. ჟერვე). მილუტინი დიდი შრომისმოყვარე იყო. მას ეკუთვნის შემდეგი საგულისხმო აზრი შრომასა და დასვენებაზე: „სულ არაა საჭირო ისვენებდე უსაქმოდ. საჭიროა მხოლოდ სამუშაოს შეცვლა, და ეს საკმარისია. ძველს შეწყვეტილ სამუშაოს დაუბრუნდები განახლებული ძალებით“. ინტერეს მოკლებული არ იქნება მოვიგონოთ ბისმარკის აზრი მის შესახებ: „ხელმძღვანელ მინისტრად, რამდენადაც ასეთი შეიძლება ჰყავდეს ახლა რუსეთს, გახდა მილუტინი“ (ჟერვე). მილუტინს საშინაო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ დაწყებული რეაქციის პირობებში ყველა ამ რეფორმის პროექტი არქივს ჩაბარდა. 1881 წლიდან მილუტინს მოუხდა პოლიტიკური მოღვაწეობისაგან ჩამოშორება.

მილუტინის დახასიათებას გვინდა დავუმატოთ ერთი შტრიხიც, რომელიც ნათელ სხივად ეფინება მის, როგორც მხედრის, ხასიათს:

სიანდა, იქ თავსდებოდა მასალა არა მარტო რუსეთის შესახებ, არამედ ჰოლი დედამიწისმცოდნეობის შესახებაც.

საერთოდ სამივე აქ დასახელებული ძმა გეოგრაფიული საზოგადოების აქტიური წევრები იყვნენ. მილუტინის მესამე ძმაც—ბორის ალექსეს-ძე (1831—1886), რომელიც სამხედრო იურისტი და მწერალი იყო და მოღვაწეობდა აღმოსავლეთ ციმბირში, თანამშრომლობდა გეოგრაფიული საზოგადოების „ბიულეტენში“ (1876 წ., ტ. XII).

მილუტინის აზრით „ომი გარდუვალი ბოროტებაა, რომელიც საჭიროველია, იყოს რამდენადაც შეიძლება ნაკლებად მკაცრი კაცობრიობისათვის, და ამიტომ არაა აუცილებელი შემოვიღოთ ისეთი მოპაკიდინებელი საშუალებანი, რომელნიც მხოლოდ აძლიერებენ ადამიანთა უბედურებას და სატანჯველს და სრულიად უსარგებლონი არიან ომის პირდაპირი მიზნისათვის", ან კიდევ: „იარაღი ხმარებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ მტრის არმია დავასუსტოთ. სრულიად საკმარისია, თუ ხალხის დიდი რაოდენობა მტერს მწყობრიდან გამოუვა; მაგრამ ველურობა იქნებოდა გაგვეძლიერებინა დაჭრილთა ტანჯვა, რომელნიც მწყობრიდან გამოდიან. მებრძოლმა ნხარეებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან იმაზე მეტი ბოროტება, რამდენიც საჭიროა მიზნის მისაღწევად. ყოველი ტანჯვა და ყოველი ზარალი, რომელნიც არ ასუსტებენ მოწინააღმდეგეს, უსარგებლოა და არც უნდა იქნას დაშვებული" (იხ. С. Кузмин—„Война в мнениях передовых людей", ს.-პ. 1904 წ., გვ. 39 და 260).

სამხედრო-საბრძოლო, საპროფესორო-სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გარდა დ. ა. მილუტინი ნაყოფიერი მწერალიც იყო.

დ. ა. მილუტინს ბევრგვარი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული სამხედრო გეოგრაფიიდან და სამხედრო ისტორიიდან, სახელდობრ: 1) სახელმძღვანელო ადგილის აგეგმვისათვის, რომელიც მან ჯერ კიდევ 16 წლისამ შეადგინა და გამოსცა (1832 წელს); 2) სტატიები სამხედრო და მათემატიკური დარგებიდან, მოთავსებული ა. ა. ბლუშარის ენციკლოპედიურ ლექსიკონში და ზედელერის სამხედრო-ენციკლოპედიურ ლექსიკონში; 3) გუვიონ სენ-სირის წერილები, თარგმნილი ფრანგულიდან; 4) სტატია—სუვოროვი, როგორც სარდალი; 5) ლექციები—როგორ დავიკავოთ, დავიცვათ და შეტევით ავიღოთ ტყეები, ნაგებობანი, სოფლები და სხვა ადგილობრივი საგნები; 6) სამხედრო გეოგრაფიისა და სტატისტიკის ენციკლოპედიის კრიტიკული ნაკლოვანებანი; 7) პირველი ცდანი სამხედრო სტატისტიკისა—2 ტომად, რომლისათვისაც ნას მეცნიერებათა აკადემიამ დენიდოვის პრემია მიუსაჯა; 8) ჩრდ. დაღისტანში 1839 წელს წარმოებულ სამხედრო მოქმედებათა აღწერა,—ეს ნაშრომი ითარგმნა გერმანულ ენაზე; 9) სუვოროვის იტალიური ლაშქრობის შესახებ; 10) იმპერატორ პავლე I-ის ზეფობის დროს 1799 წლის რუსეთსა და საფრანგეთს შორის წარმოებული ომის ისტორია—5 ტომად,—ეს ნაშრომი რამდენიმე წლის შემდეგ მეორეჯერაც გამოიცა. ამ ნაშრომისათვის

მეცნიერებათა აკადემიამ მას დამიდოვის სრული პრემია მიუსაჯა და აირჩია აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; შემდეგ კი აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს იგი. ეს ნაშრომი ფრანგულ და გერმანულ ენასედაც ითარგმნა.

დ. ა. მილუტინი გარდაიცვალა ღრმა მოხუცებულობაში—96 წლისა, 1912 წელს, 26 იანვარს, დაკრძალულ იქნა მოსკოვს, ნოვოდევიჩის მონასტერში, 1 თებერვალს.

მილუტინის ცხოვრება-მოღვაწეობის ეს ზოგადი ცნობებიც ნათლად მოწმობს, რომ დ. ა. მილუტინი არა მარტო თანამდებობრივი მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობით, არამედ სამწერლო დარგშიაც სამხედრო სფეროს ეკუთვნის, და, რადგან მისი მუშაობის პერიოდი სამხედრო სარბიელზე დაემთხვა უდიდეს ძვრათა ხანას სამხედრო და სამოქალაქო ცხოვრებაში, ამიტომ მისი მოღვაწეობაც მრავალსახრივობითა და მაღალნაყოფიერებით ხასიათდება. მაგრამ ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებოა საქმის ის მხარე, რომ მილუტინი საღი პროგრესიული მოაზროვნეა. აქ გვაგონდება, ერთი შეხედვით უბრალო, მაგრამ საქმეში ჩაბედული პირისათვის მეტად არსებითი ფაქტი, რომ მილუტინის ძირითად მეთოდოლოგიურ ნაშრომში „სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ“ გამოძახილი ჰპოვა გენერალ კარლ ფონ-კლაუზევიცის საღმა ფილოსოფიურმა შეხედულებებმა ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ. კლაუზევიცი—ბურჟუაზიული სამხედრო თეორიის მწვერვალი, როგორც მას სამართლიანად უწოდებენ, თავის შესანიშნავ ფილოსოფიურ ნაშრომში „ომის შესახებ“ სხვა ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთაგან განსხვავებულ აზრებს ნერგავდა ომის შესახებ და იძლეოდა ომის ახლებურ ფილოსოფიურ გაგებას. ამ ნაშრომზე ფრ. ენგელსი 1868 წელს სწერდა—„მე ვკითხულობ ახლა კლაუზევიცის ნაშრომს ომის შესახებ, ფილოსოფიური მსჯელობის თავისებური ხერხია, მაგრამ არსებითად მეტად კარგია“. რადგან ჩვენ მხედველობაში გვაქვს კლაუზევიცის მილუტინზე გავლენის სწორედ ეს მხარე, ზედმეტი არ იქნება განვმარტოთ ეს საკითხი. ცნობილია, რომ ბურჟუაზიული თეორეტიკოსების აზრით ომი ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა, ამდენად იგი მარადიულია და გარდუვალი, ომები იქნება მანამ, სანამ არსებობს სამყარო. აი, მაგალითად, მოვუსმინოთ კანტს: „ომი არ საჭიროებს არავითარ განსაკუთრებულ გამომწვევ მიზეზს. იგი გამომდინარეობს უთუოდ თვით ადამიანის ბუნებისაგან“. ტომას

ჰობსი ამბობდა: „ბუნება მიერეკება ყველა ცოცხალ არსებას განუწყვეტელ ბრძოლისაკენ. ბოროტნი ესხმიან, კეთილნი თავს იცავენო“. პრუდონის აზრით „ომი არის კაცობრიობის განუყრელი თვისება და იარსებებს მანამ, სანამ არსებობს კაცობრიობა“. დრაგომიროვის აზრით „ბუნებაში ყოველივე ბრძოლაზეა დაფუძნებული, ადამიანს კი არ ძალუძს ბუნების რომელიმე კანონს გადააბიჯოს“. ტრეიჩკე კიდევ უფრო შორს მიდის: „ომის უკუგდების მოთხოვნა ნიშნავს ადამიანის უწმინდესი გრძნობების ხელყოფას და ადამიანის ბუნების დამახინჯებას“ (იხ. С. Кузмин—„Война в мнениях передовых людей“, ს.-პ. 1904 წ., გვ. 47, 49, 76, 78 და 80). ამგვარად, გამოდის, რომ ომი არავითარ კავშირში არ იმყოფება საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასთან, სახელმწიფოს პოლიტიკურ ვითარებასთან და ამდენად უაზროც არის ბრძოლა ომების წინააღმდეგ. მაშ, დაჩაგრული კლასები მორჩილებით უნდა ჩაებან ყოველთვის კაპიტალის ინტერესებისათვის წარმოებული ომის ფერხულში. ასეთი შეხედულება ომზე მიუღებელია მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით. კლაუზევიცი პირველი იყო, რომელმაც თეორიას ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ სწორი კალაპოტი მიუჩინა, თუმცა საკითხის ჭეშმარიტი გადაწყვეტა მან მაინც ვერ მოგვცა, როგორც ჰეგელის იდეალიზმისა და ჰეგელისავე დიალექტიკის მიმდევარმა მოაზროვნემ. მას, როგორც დიალექტიკოსს, არ სწამს, რომ ომი თითქოს თავისთავადი რამ მოვლენა იყოს. მისი აზრით (და აქაა სწორედ მისი სიდიადე), ომი საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაკუთრებული გამოვლინებაა. კლაუზევიცის შეხედულებით: ომი სხვა არა არის რა, თუ არა განგრძობა სახელმწიფო პოლიტიკისა სხვა საშუალებათა ჩარევით; არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვიდგინოთ ომი, როგორც დამოუკიდებელი რამ, იგი უნდა იქნას წარმოდგენილი, როგორც პოლიტიკის იარაღი; ომი ყოველთვის პოლიტიკური ვითარებიდან მომდინარეობს, იგი მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივებითაა გამოწვეული; ომი პოლიტიკამ წარმოშვა; პოლიტიკა გონებაა, ომი კი მხოლოდ იარაღი, და არა პირიქით, მაშასადამე რჩება მხოლოდ დავუქვემდებაროთ სამხედრო თვალსაზრისი პოლიტიკურს; ომი არის პოლიტიკა, რომელმაც კალამი ხმალზე შესცვალა; „ომი არა მარტო პოლიტიკური აქტია, არამედ პოლიტიკის ნამდვილი იარაღიც, განგრძობა პოლიტიკურ ურთიერთობათა, მათი გატარება სხვა საშუალებებით (იხ. კლაუზევიცის „О войне“ მეორე გამოცემა, ნაწილი პირველი—ომის ბუნება, თავი I—რა არის ომი? პარაგრაფი 24-ე—ომი არის გან-

გრძობა პოლიტიკისა, მხოლოდ სხვა საშუალებებით, გვ. 27, და იქვე ნაწილი მერვე—ომის გეგმა, თავი VI, ბ—ომი არის პოლიტიკის იარაღი, გვ. 559—566). საკითხი სავსებით მართებულად გადაიჭრებოდა, რომ კლაუზევიცის დიალექტიკა მატერიალისტური ყოფილიყო. უდავო სიმართლეა, რომ ომი პოლიტიკის შედეგია. მაგრამ არაა სწორი კლაუზევიცის მიერ თვით პოლიტიკის გაგება. სამართლიანად შენიშნავენ, რომ მისი თეორიის ძირითადი შეცოდება მდგომარეობდა თვით პოლიტიკის იდეალისტურ გაგებაში: მისი აზრით პოლიტიკა არის საზოგადოების, როგორც მთელის, ყველა ინტერესების გამოხატულება, სახელმწიფოს კონცენტრირებული გონიერება. იდეალისტი კლაუზევიცი ვერ ხედავს კლასებს და კლასობრივ ბრძოლას, მის წინ ყოველთვის უსახო „ხალხია“, საზოგადოებრივ ურთიერთობათა და ხალხის „სულის“ შეცვლა მისთვის აუხსნელ საიდუმლოებას შეადგენს, „სული“ მიუჩნევია მას საზოგადოებრივ ურთიერთობათა და თვით ომების მოძრაობისა და განვითარების უკანასკნელ ძირითად ზამბარად. მაგრამ მარტო ის ერთი გარემოება, რომ კლაუზევიცმა ომი პოლიტიკას დაუკავშირა და კიდევ მეტიც—მას დაუქვემდებარა, უკვე უდიდეს მონაპოვარად უნდა ჩათვლილიყო ბურჟუაზიულ სამხედრო მეცნიერებისათვის იმ ხანაში, როცა ომების წარმოშობის საკითხში ბატონობდა ბიოლოგიური, რასიული, ფსიქოლოგიური და სხვა მიუღებელი თეორიები. და, მართლაც, კლაუზევიცი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თავის დროზე მარქსიზმის კლასიკოსებს—ენგელსს, ლენინს. ლ ე ნ ი ნ მ ა კლაუზევიცის ეს ძირითადი აზრი მიიჩნია „უეჭველ შენაძენად ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის“ და მოგვცა კლაუზევიცის მოძღვრებისაგან პრინციპიალურად განსხვავებული ერთადერთი მეცნიერული გაგება ომისა, როგორც „განგრძობა სხვადასხვა კლასის პოლიტიკისა მოცემულ დროში“. ლენინი კლაუზევიცს სთვლის ერთ-ერთ ყველაზე მეტად ღრმა მოაზროვნე მწერლად სამხედრო საკითხებზე (იხ. ამის შესახებ დაწვრილებით კლაუზევიცის „О войне“, მეორე გამოცემა, წინასიტყვაობა გამომცემლობისაგან VIII—XIV გვ., ლენინი—თხზულებათა კრებული, ტ. XVIII, მე-3 რუსული გამოცემა, გვ. 197 და 248—249, ტ. XXX, გვ. 333 და 336 და Ленинский Сборник. ტ. XII, მე-2 გამოცემა—ლენინის ამონაწერები და შენიშვნები კლაუზევიცის წიგნზე „ომისა და ომის წარმოების შესახებ“, გვ. 431—441).

დ. ა. მილუტინის მეთოდოლოგიურ სტატიაშიც, [illegible] ზემოთ მოვიხსენიეთ, სავსებით იგივე აზრია [illegible]

გამომწვევი მიზეზების შესახებ. მილუტინიც კლაუზევიცის მსგავსად ომის გამომწვევ მიზეზად პოლიტიკას სთვლის, იგი ამბობს: „ომი არის სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინებაო“ (იხ. მილუტინის „Первые опыты военной статистики“ ს.-პ., 1847 წ., წიგნი I, გვ. 55), მაგრამ კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ მილუტინიც იმნაირადვე სდუმს, როგორც კლაუზევიცი.

ომაის ფილოსოფოსის—კლაუზევიცის მოწინავე იდეათა მილუტინის მიერ გაზიარება უეჭველად სდის მილუტინის პროგრესიულობას სამხედრო აზროვნებაში. ეს, რა თქმა უნდა, თავის კეთილისმყოფელ გავლენას მოახდენდა სამხედრო აზრის შემდგომ განვითარებაზე რუსეთში, რაკი ძირითადი იდეა ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ საღ საწყისებს დაემყარა იმთავითვე, როცა ერთის მხრივ ყალიბდებოდა ომის თეორია, მოძღვრება ომის შესახებ, და მეორე მხრივ საფუძველი ეყრებოდა სამხედრო გეოგრაფიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას.

აქვე უნდა ითქვას, რომ მილუტინმა თავის ცნობილ ნაშრომში „Первые опыты военной статистики“, რომლის I ტომში მოცემულია „გერმანიის კავშირის პოლიტიკური და სამხედრო სისტემის საფუძვლები“, ყველა სამხედრო საკითხი და მათ შორის სამხედრო-გეოგრაფიულიც, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან ჭიდრო კავშირში განიხილა, რაც მისასალმებელია, მაგრამ, პოლიტიკური ამოცანებით გატაცებულმა, ჯოხი ისე ძლიერ გადაღუნა პოლიტიკური ფაქტორებისაკენ, რომ ბუნებრივი, გეოგრაფიული ფაქტორები მიჩქმალული დაურჩა, რასაც თავის ადგილზე გავეცნობით.

გავეცნოთ დ. ა. მილუტინს, როგორც სამხედრო გეოგრაფს.

დ. ა. მილუტინის შეხედულებანი სამხედრო გეოგრაფიაზე მოცემულია მის შესანიშნავ ნაშრომში—„კრიტიკული გამოკვლევა სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ“, რომელიც პირველად ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნებულა 1846 წელს, ხოლო შემდეგ (1847 წელს) შესავალის სახით წაუმძღვარებია ავტორს თავისი კაპიტალური ნაშრომისათვის —„პირველი ცდანი სამხედრო სტატისტიკისა“ (იხ. „Первые опыты военной статистики“ Д. Милютина“, წიგნი I. ს.-პ. 1847 წ. ეს წიგნი შეიცავს ხსენებულ შესავალს და თვით თხზულებას—„გერმანიის კავშირის პოლიტიკური და სამხედრო სისტემის საფუძვლები“, გვ. 73—236, ორი ფერადი რუკით და პატარა სტატიით ერთ-ერთი რუკის განსამარტავად).

ამ ნაშრომის შესავალი ნაწილი, როგორც მეთოდოლოგიური ნარკვევი სამხედრო გეოგრაფიის შესახებ (გვ. 1—70), აგრეთვე თვით თხზულების პირველი თავი—„გერმანიის ზოგადი მიმოხილვა სამხედრო მხრივ, მისი ძირითადი ძალები" (შემდეგი ქვეთემებით: ქვეყანა ანუ ტერიტორია, ტოპოგრაფიული ხასიათი, წყალსავალი და სახმელეთო გზები, რკინიგზები, ნიადაგის ნაყოფიერება და მისი დამუშავებულობა, მჯარის ადგილობრივი საბსრები, დასახლებულობა, მოსახლეობის მდგომარეობა,—გვ. 81—113), მეხუთე თავი —„საერთო დასკვნები გერმანიის სტრატეგიული მდგომარეობის შესახებ" (ქვეთემებით: რამდენად მიაღწია გერმანიამ მთლიანობას თავის სამხედრო სისტემაში, სხვადასხვა ნაწილის სტრატეგიული მნიშვნელობა, გაყოფა ომის ორ ზოგად თეატრად—გვ. 226—236), ბოლოს ფერადებით შესრულებული „ევროპის შუა ნაწილის რუკა" (თავისი შემდეგი მონაცემებით: ალპური ხასიათის მთავორიანი ადგილები, მეორეხარისხოვანი მთები, ტალღებრივი ადგილები, ღია, დასახლებული და დამუშავებული ვაკეები, ღია, მაგრამ მცირედ დასახლებული და დაუმუშავებელი ვაკეები, დასახლებული, მაგრამ ძლიერ დასერილი ვაკეები, ტყიანი, ტბებითა და ჭაობიანი მდინარეებით დასერილი ვაკეები, ჭაობიანი ქვეყნები, დამთავრებული რკინიგზები, მშენებარე რკინიგზები, ციხე-სიმაგრეები, სატარიფო ქალაქები) და პატარა სტატია „ევროპის შუა ნაწილის რუკის განმარტება" (გვ. 237—248)—განსაკუთრებით საყურადღებონი არიან ჩვენთვის დ. ა. მილუტინის მეთოდოლოგიურ შეხედულებათა გასაცნობად გეოგრაფიაზე საერთოდ და სამხედრო გეოგრაფიაზე კერძოდ.

დ. ა. მილუტინის აღნიშნული ნაშრომი გამოქვეყნდა იმ დროს, როცა მეცნიერული გეოგრაფიის საფუძვლები მხოლოდ ვლინდებოდა და ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული გარკვეული აზრი გეოგრაფიის არსისა და პრინციპების შესახებ. მილუტინს კარგად ესმოდა თავისი დროის აბალი მოთხოვნილება, რომ არ კმარა ფაქტების დაგროვება. საჭიროა მათი გაანალიზება და ზოგად იდეათა და დასკვნათა ჯამომუშავება. სწორედ ამ აზრს ავითარებდნენ მაშინ გეოგრაფიის ხაზით მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებელნი—ალექსანდრე ჰუმბოლდტი და კარლ რიტერი. „ჩვენი საუკუნე—სამართლიანად შენიშნავს მილუტინი—არ კმაყოფილდება მარტოოდენ ფაქტიური ცნობებით, იგი მოითხოვს ყოველი საგნის კრიტიკულ გამოკვლევას, სხვადასხვა მონაცემის ერთმანეთთან დაპირისპირებას და მათზე მსჯელობას ზოგად იდეათა და დასკვნათა გამოსაყვანად,

ამიტომ ცოდნათა ყველა დარგმა მიიღო სისტემატიკურ მეცნიერებათა ფორმა" (გვ. 3—4). შემდეგ მილუტინი ეხება ქვეყანათა და სახელმწიფოთა სამხედრო თვალსაზრისით მეცნიერული შესწავლის საკითხს და ამბობს: „ქვეყნებისა და სახელმწიფოების სამხედრო მხრივ სპეციალურმა შესწავლამ მიიღო სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის სახელწოდება: პირველი ამათგანი გულისხმობს უმთავრესად ქვეყანათა ან დედამიწის ზედაპირის ნაწილთა სამხედრო მხრივ შესწავლას, მეორე კი სახელმწიფოების სამხედრო ძალთა და საშუალებათა შესწავლას. მაგრამ, სიმართლე ითქვას, არც სამხედრო გეოგრაფიას, არც სამხედრო სტატისტიკას არ მიუღიათ დღემდე გარკვეული საფუძვლები და ისინი მეცნიერების ყველა მოთხოვნილებას როდი აკმაყოფილებენ. მასალა უკვე მდიდარი მარაგისა გვაქვს, მაგრამ, ამ მასალისაგან რომ აიგოს მოხდენილი შენობა, შეკავშირდეს ყველა ცალკეული ფაქტიური ცნობა კრიტიკული კვლევის საერთო ლოგიკური ძაფით,—აი, რა გვრჩება კიდევ გასაკეთებელი ამ დარგში" (გვ. 4). ამ პირობებში გასაგები ხდება ის გარემოება, რომ მილუტინი დიდ დროსა და ადგილს უთმობს თავის ნაშრომში ჩვენთვის დღეს უდავოდ ცნობილი საკითხის გარკვევას—არის თუ არა სამხედრო გეოგრაფია მეცნიერება. მილუტინის აზრით სამხედრო გეოგრაფია მეცნიერებად ვერ ჩაითვლება, რადგან თვით გეოგრაფია, რომლის სპეციალურ დარგსაც იგი წარმოადგენს, არ არის მეცნიერება. რით ასაბუთებს მილუტინი ამ თავის შეხედულებას? იმით, რომ გეოგრაფია თვით სახელის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით დედამიწის აღწერაა, სოლო აღწერა ფაქტების აღნუსხვას გულისხმობს და არა მათს კრიტიკულ გამოკვლევას. მილუტინის დროინდელი გეოგრაფიის განვითარების ეტაპი მართლაც ამას ათქმევინებდა მოაზროვნეს, რადგან გეოგრაფია მთელი თავისი წარსული ტრადიციის მიხედვით მე-19 საუკუნემდე უმთავრესად აღწერილობითი ხასიათს ატარებდა, იგი უფრო მეტად ფაქტებისა და მოვლენების აღნუსხვას, რეგისტრაციას აწარმოებდა, ვიდრე მათს გაანალიზებას და ზოგად იდეათა და დასკვნათა გამოყვანას. ჰუმბოლდტ-რიტერის ახალი შეხედულებანი კი ჯერ კიდევ არ იყო საკმარისად დამკვიდრებული და ხორცშესხმული. „გეოგრაფია—ამბობს მილუტინი—დიდხანს რჩებოდა თავისი სახელის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ერთგული: იგი იყო მხოლოდ **აღწერა დედამიწის ზედაპირისა** და ძველადანვე იყოფოდა მათემატიკურ, ფიზიკურ და პოლიტიკურ გეოგრაფიად. ამ სამ სახეობაში დღემდეც სწარმოებს მისი გადმოცემა სახელმძღვანელო-

ებში და მეტად ფართო კომპილაციებშიაც კი. აქ გვხვდება განმარტებაც ასტრონომიული ტერმინებისა, ახსნაც დედამიწის ქერქის ფიზიკური თვისებებისა, აღწერაც ხალხებისა, ქალაქებისა, მთავროების დაწესებულებათა და სხვ. და სხვ. ყველა ეს, ცხადია, წარმოადგენს ბევრი სხვა მეცნიერების სპეციალურ საგანს; მაგრამ გეოგრაფია არ იკვლევს ღრმად არც ერთ ამ საგანს; იგი არ განიხილავს მათ რაიმე თავისი განსაზღვრული მიზნით, არამედ მხოლოდ კმაყოფილდება ფაქტიურ ცნობათა შეგროვებით და ხდება თითქოს რეზერვუარი, რომელშიაც თითქმის ყოველი მეცნიერება პოულობს თავის მონაცემებს. მაგრამ მარტოოდენ მონაცემთა აღრიცხვა, რაგინდ სისტემატური წესით დალაგდეს ისინი, ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მეცნიერების შექმნას. ალ. ჰუმბოლდტის აზრით „მეცნიერება იწყება მხოლოდ იქ, სადაც სული ეუფლება მატერიას, სადაც უამრავი ცდა, დაკვირვება, მონაცემი ვცდილობთ დავუმორჩილოთ გონივრულ განსჯას“ ცოტად თუ ბევრად ზოგად კანონთა და ჭეშმარიტებათა გამოსაყვანად, მოვლენათა ნათესაობისა და კავშირის ასახსნელად, მიზეზთა და შედეგთა გამოსავლინებლად. ერთი სიტყვით, მეცნიერებას ჰქმნის არა მარტო ერთი აღწერა მონაცემთა ან მოვლენათა, არამედ ის ლოგიკური ანალიზი, რომლითაც ეს კერძო მონაცემები ან მოვლენები შეირწყმებიან იდეათა ერთ მოხდენილ მთლიანობად. ამგვარად, ცხადია, რომ გეოგრაფია, რჩებოდა-რა თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ერთგული, ვერც ახერხებდა შეექმნა მეცნიერება ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით“ (გვ. 34—35). მილუტინის ეს მოსაზრებანი, რომელნიც, უნდა ითქვას, მასზე ბევრად ადრე ჰუმბოლდტსა და რიტერს უკვე ჰქონდათ გამოთქმული, და რომელნიც სადავოს არაფერს არ შეიცავენ, სადავო ხდებიან მაშინ, როცა იწყება მათი გავრცელება გეოგრაფიის განვითარების შემდგომ ეტაპებზედაც. მილუტინი ხედავს, რომ „დადგა დრო, როცა საბუნებისმეტყველო და პოლიტიკურ მეცნიერებათა წარმატებამ დედამიწის ზედაპირის შესწავლასაც მისცა სრულიად ახალი მიმართულება. სწავლული მოგზაურნი, არ კმაყოფილდებიან-რა ქვეყნების უბრალო აღწერით, შეუდგნენ დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა მოვლენის ერთმანეთთან შედარებას და გაანალიზებას; ამ შედარებათაგან იწყეს ზოგად კანონთა გამოყვანა დედამიწის ქერქის აგებულების შესახებ და ამგვარად, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წრეში წარმოიშვა ახალი განშტოება“ (გვ. 35), მაგრამ მილუტინი ვერ ურიგდება იმ მდგომარეობას, რომ ახალ განშტოებას ისევ ძველი სახელი მიაკუთვნეს—

ფიზიკური გეოგრაფია, ი. სახელი, რომელიც როგორც ეტიმოლოგიური მნიშვნელობით, ისე უკვე დამკვიდრებული გაგებით, ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ დედამიწის ზედაპირის აღწერას" (გვ. 35). ასეთი სახელი, მილუტინის აზრით, შეუფერებელია იმ ახალი „განსაკუთრებული მეცნიერებისათვის, რომელიც იკვლევს დედამიწის ზედაპირის ფიზიკურ მოვლენათა თვით კანონებს და რომელიც გარდუვალად ერთ მთელს შეადგენს გეოლოგიასა და გეოგნოზიასთან" (გვ. 35—36). მილუტინი გეოგრაფიის არც მეორე და მესამე განყოფილებას—მათემატიკურსა და პოლიტიკურს—მიიჩნევს ცალკე მეცნიერებად: მათემატიკური გეოგრაფიის საკითხები—დედამიწის სფეროს, როგორც მათემატიკური სხეულის ანუ ცთომილის, შესწავლა, ცხადია, ეკუთვნისო კოსმოგრაფიას, ასტრონომიას, ნაწილობრივ გეოდეზიას, ხოლო პოლიტიკური ვეოგრაფია შეიცავს მასალას როგორც ეთნოგრაფიისა, ისე სტატისტიკისათვის; საზღვრების, ქალაქების, გზების ჩამოთვლა შეადგენდა გეოგრაფიული რუკის ერთგვარ დამატებას ან განმარტებას და მოკლებული იყო შინაგან კავშირს საგანთა შორის, იგი არ წარმოადგენდა არაფერს ისეთს, რასაც შეეძლო მეცნიერების შექმნა. უახლეს გეოგრაფიულ კრებულებშიაც ვანაგრძობენ იმავე ნაირგვაროვან საგანთა ნუსხის მოთავსებას, თუმცა უკვე არა პოლიტიკური გეოგრაფიის სახელით. ამ ნაწილს ეაარქვეს ახალი, ნაგრამ უფრო ნაკლებად სწორი სახელი—ტოპოგრაფია, თითქოს სწორედ იმისათვის, რომ კიდევ უფრო აერიოვ-დაერიოვნათ ყველა სახელწოდებანი და ცნებანი (გვ. 36). მილუტინი ეხება რიტერის ახალი სკოლის მიმართულებას გეოგრაფიაში და ამბობს: „ჩვენს დროში ბერლინის პროფესორის რიტერის და მის ზოგიერთ სხვა შესანიშნავ მიმდევართა მეცნიერული და ერცელი ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ გეოგრაფიაში, სრულიად ახალი ფინანი დაუსახეს გეოგრაფიას, და, შეიძლება ითქვას,—ახალი ფინანსრსიც: ახალი სკოლის შეხედულებით მან უნდა შექმნას განსაკუთრებული, თვითმყოფი მეცნიერება, რომლის მიზანი უნდა იყოს დედამიწის ზედაპირის, როგორც ადამიანის საცხოვრებელ გარემოს, გამოკვლევა, ე. ი. მის თვისებათა გაელენის მიხედვით ხალხთა და საბელმწიფოთა სვეზედზე. ამგვარად, გეოგრაფიას აყენებენ თითქოს საბუნებისმეტყველო და პოლიტიკურ მეცნიერებათა შემბებ ხაზზე: ამბობენ, მან უნდა დააკავშიროსო ბუნების შესწავლა ადამიანის შესწავლასთან" (გვ. 36—37). მილუტინს რიტერის სკოლის ეს შეხედულება ნიღლებლად მიაჩნია. მართალია, ის არ უარყოფს, რომ „დედამიწის ზედაპირის თვისებებს ჰქონდათ და მუდამ აქვთ მეტად

საგრძნობი გავლენა ხალხთა და სახელმწიფოთა სვებედზე, არავის ფიქრადაც არ მოუვა უარყოს ასეთი აქსიომა, ვერავინ ვერ დაეჭვდება მსგავს გამოკვლევათა საბიროებაში" (გვ. 37), მაგრამ ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ხდება „საბელწოდებათა ბოროტად გამოყენება და აღრევა, საზიანოდ მეცნიერებათათვის" (გვ. 37). ის დარწმუნებულია, რომ „სამეცნიერო კაბათისა და გაუგებრობათა მეტი ნაწილი გამომდინარეობს საგანთათვის არა-საკუთარი, უცხო ან არა-ზუსტი სახელის ნებისმიერად დარქმეეიდან" (გვ. 37). ის გამოთქვამს საყვედურს: „რათ უნდა ვუწოდოთ ახალ მეცნიერებას ძველი სახელი, რომლითაც ძველადანვე უკვე შევეჩვიეთ გვესმოდეს ის, რასაც გამოხატავს სიტყვის თვით ეტიმოლოგია" (გვ. 37). მილუტინი დაჟინებით მოითხოვს, რომ „გეოგრაფიის საგანი უნდა იყოს მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ თვით დედამიწის ზედაპირი. ხოლო, თუ ჩვენ დავისახავთ მიზნად გამოვიკვლიოთ დედამიწის ზედაპირის გავლენა ადამიანის სვებედზე, ამით შესწავლის სფეროში შეგვაქვს უკვე სრულიად ახალი რიგის მოვლენები: ა დ ა მ ი ა ნ ი უკვე თვითონვე ხდება მეცნიერების მთავარი საგანი და მიზანი" (გვ. 37). მილუტინის ამ არასწორ მოსაზრებას ერთვის ერთი სავსებით მართებული აზრი ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, იგი იძლევა უაღრესად საყურადღებო კითხვას: „განა მარტოოდენ ქვეყნის ადგილობრივი თვისებები აპირობებენ ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებას?" და ამაზე იქვე იძლევა სწორ პასუხს: „ადამიანი რომ მიიჩნიო მხოლოდ და მხოლოდ ბუნების ზეგავლენისაგან დამოკიდებულ არსებად, ეს იქნებოდა მისი დამცირება და დაყვანა მარტოოდენ ინსტინქტით მომქმედი ცხოველის დონემდე; ამიტომაც ადამიანზე ადგილის გავლენის გამოკვლევა, ცხადია, კაცობრიობის სვებედის შესწავლის ერთ-ერთი მხარეა, ერთი იმ ელემენტთაგანის შესწავლაა, რომელთაგანაც ყალიბდება სახალხო და სახელმწიფოებრივი ყოფაცხოვრების ფორმები. მაშასადამე, თუ გეოგრაფი დაისახავს ამ მიზანს, მაშინ მას მოუხდება გამოიკვლიოს უკვე არა მარტო დედამიწის ზედაპირი საკუთრივ, არამედ თ ვ ი თ ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა ბ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა ბ ო ვ ა ნ ა დ ო ე ბ ა შ ი, — ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო შ ი" (გვ. 37—38). მილუტინი საბოლოოდ ისევ თავის არასწორ დასკვნას უბრუნდება, რომ გეოგრაფიას არ შეიძლება მიეცეს ასეთი შინაარსი, ეს იქნებოდა მისი შეპრა გამოკვლევათა იმ სფეროში, რომელიც, მისი აზრით, სტატისტიკას ეკუთვნის. დარჩა გეოგრაფია, მილუტინის შემეცნებაში, როგორც დედამიწის ზედაპირის აღმწერი ცოდნის დარგი, რომელიც თითქოს მხოლოდ თავს უყრიდეს სხვა-

დასხვა მეცნიერების კუთვნილ ნაირგვაროვან საგნებსა და მოვლენებს და ამის გამო დამოუკიდებელ, ცალკე მეცნიერებას არ წარმოადგენდეს. მილუტინი თავის აოასწორ მსჯელობაში მივიდა იმ უცნაურ დასკვნამდე, რომ დღეს სასელი გეოგრაფია, მისი აზრით, შეიძლება იხმარებოდეს მხოლოდ საგვარეო, შემკრებლობითი გაგებით: „გეოგრაფიული ცნობები ან მეცნიერებანი ეწოდება საზოგადოდ თავისი მიზნებით ნაირგვაროვან მეცნიერებათა ყველა იმ ნაწილს, რომელთაც ყველას ერთად მივჯავართ ჩვენი ცოდნილის გარეგანი ზედაპირის შემეცნებისაკენ,—მაგრამ რომელთა შეერთებას აოავითარი ზოგადი, ერთგვაროვანი და ვანუყოფელი მთელის, მეცნიერების თვალსაზრისით, შექმნა არ ძალუძს“ (გვ. 39).

მაშ, ასე, თუ გეოგრაფია მეცნიერება არაა და არც შეიძლება იგი ასეთად გახდეს, ვერც მისი სახეობა—სამხედრო გეოგრაფია ჩაითვლება მეცნიერებად. „ყოველი მეცნიერება შეიძლება—ამბობს მილუტინი—გადმოცემულ იქნას რაიმე სპეციალური სახეობით, მივუყენებთ-რა კურსის გეგმასა და მოცულობას რომელიმე კერძო დანიშნულებას, მკითხველთა ან მოსწავლეთა გარკვეულ გვარეობას; მაგრამ განა შეიძლება ამან ახალი მეცნიერება შეადგინოს? ნუ თუ ყოველი მეცნიერების კურსი, დაწერილი სპეციალურად სამხედრო მკითხველთათვის, უნდა ადგენდეს სამხედრო მეცნიერებათა ცალკე დარგს?“ (გვ. 13—14). ამ აზრის მატარებელ მილუტინს მით უფრო არ უნდა შეეძლოს სამხედრო გეოგრაფიის მიჩნევა მეცნიერებად. მართლაც, ის ამბობს: „გეოგრაფიას ყველა სხვა საგანზე უფრო ნაკლებად შეუძლია რაიმე სპეციალური მეცნიერების შექმნა; ვინაიდან თვითონ მას არა აქვს ერთი გარკვეული მნიშვნელობა, არამედ შესდგება სულ სხვადასხვაგვარი მონაცემებისაგან, რომელნიც ცოდნათა ყველა დარგს ეხება. გეოგრაფია არის მონაცემთა უზარმაზარი მარაგი, რომელიც გამოყენებულია მასალად ყველა მეცნიერებისათვის; თვითონ კი მას არამცდაარამც ცალკე მეცნიერების შექმნა არ ძალუძს“ (გვ. 14).

ამგვარად, მილუტინი თავისი მსჯელობის დროს, როცა არკვევდა საკითხს—არის თუ არა გეოგრაფია მეცნიერება, ან შეიძლება თუ არა იგი ასეთად გახდეს, გამოდიოდა არა მარტო გეოგრაფიის არსებული მდგომარეობიდან მისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე, როცა მართლაც ფერხდებოდა გეოგრაფიის ასვლა ნამდვილი მეცნიერების სიმაღლეზე, თუმცა ჰუმბოლდტ-რიტერის ნაშრომთა გამოქვეყ-

ნების შემდეგ გეოგრაფიის მეცნიერული საფუძველი საკმაოდ განმტკიცდა, არამედ ავრეთვე და თითქმის უპირატესად სიტყვა გეოგრაფიის ეტიმოლოგიური გაგებიდან, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. ცნებისაგან გადაჭარბებული, ვიტყოდი, მკაცრი მხედრული, სიზუსტის მოთხოვნამ ლამის მსხვერპლად შეიწირა გეოგრაფია მილუტინის ნაშრომში და წარმოგვიდგინა იგი არა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად, არამედ გეოგრაფიის სფეროში უუფლებო და უტრადიციო სტატისტიკის მორჩილ დარგად. გეოგრაფიის სტატისტიკისათვის დაქვემდებარებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ, მილუტინის შეხედულებით, არ იქნებოდა სწორი სახელმწიფოსა და ხალხთა ცხოვრების განხილვისას მარტოოდენ გეოგრაფიულ მონაცემებს დავმყარებოდით და უგულებელგვეყო სოციალ-პოლიტიკური ფაქტორები, მეორე მხრივ არც ის იქნებოდა სწორი, რომ ადამიანი გეოგრაფიის განხილვის საგნად მიჩნეულიყო. საფიქრებელია, რომ ამ აზრმაც გახადა იგი იძულებული დაკავშირებოდა გეოგრაფიის ნაცვლად სტატისტიკას, როგორც ვითომდა ისეთ სამეცნიერო დარგს, რომელიც სახელმწიფოს განხილვის დროს საშუალებას მისცემდა ავტორს თავის შესაფერ ადგილზე გამოეყენებინა როგორც გეოგრაფიული, ისე სოციალ-პოლიტიკური მონაცემები. მილუტინმა სამხედრო გეოგრაფია დასტოვა გეოგრაფიულ ცნობათა აღმნუსხველ და აღმწერ დარგად, გეოგრაფიული მოვლენების კვლევა კი და აგრეთვე გეოგრაფიულ მონაცემთა შეფასება სტრატეგიული თვალსაზრისით სამხედრო გეოგრაფიას ვერ დააკისრა, ოადგან, ვიმეორებთ, გეოგრაფიისათვის შეუფერებლად მიიჩნია კვლევა, გაანალიზება, შეფასება, ზოგად იდეათა შემუშავება, ზოგად დასკვნათა გამოყვანა. სიტყვამ მოიტანა და არ შეიძლება არ შევნიშნოთ ა. სუდაკოვს, რომელმაც თავის სტატიაში „რა არის სამხედრო გეოგრაფია“ მილუტინის ნაბიჯი, სამხედრო სტატისტიკის წინა პლანზე წამოწევა და მისთვის სამხედრო გეოგრაფიის დამორჩილება, მარტივად ახსნა: „მილუტინმა მოუხერხებლად უწოდა თავის მეცნიერებას არა სამხედრო გეოგრაფია (როგორც უწოდებდნენ მას მის დრომდე აკადემიაში), არამედ სამხედრო სტატისტიკა და მისცა მას ძლიერი სტატისტიკური განხრაო“ და ეს იმით აიხსნებაო, რომ სტატისტიკა იმ დროს უკვე ჩამოყალიბებულ მეცნიერებად ითვლებოდა, ხოლო გეოგრაფია მხოლოდ კომპლექსურ სასწავლო საგნად იყო მიჩნეულიო (იხ. А. Судаков—„Что такое военная география“, სტატია, მოთავსებული ჟურნ. „География в школе“-ში, 1940 წ., № 5, გვ. 54). მკითხველი ჩვენი მსჯელობის შემდეგ ადვილად მიხვდება, რომ

აქ სახელწოდების მოუხერხებელ შერჩევასთან კი არა გვაქვს საქმე, არაწესად საკითხის თავისებურ სიბრტყეში დასმასთან. მილუტინი გაემიჯნა სამხედრო გეოგრაფიას და ომის თეატრის ან მთელ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართებაში კრიტიკული გამოკვლევის უფლება სამხედრო სტატისტიკას მიანიჭა.

მილუტინი კარგად იცნობს ყველა მის წინამორბედს და თანამედროვეს სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის დარგში და, გვაცნობს-რა მათს შეხედულებებს სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ, იძლევა თავის განსაკუთრებულ ხაზს და კონცეპციას. სამხედრო გეოგრაფია და სამხედრო სტატისტიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მის დროს ისახება და იწყებს ჩამოყალიბებას. საყურადღებოა, რომ მილუტინი გაუკრიტიკებლად არ სტოვებს არც ერთ მიმდინარეობას, რაც მანამდე და მის დროს ცნობილი იყო გეოგრაფიისა და სტატისტიკის სფეროში, და ამ დარგების დასავლეთ ევროპელ ფუძემდებელთა გაცნობის დროს ინარჩუნებს თავის ორიგინალურ შეხედულებას მათ-ულ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

შევჩერდეთ უმთავრესად პირველ სამხედრო გეოგრაფთა შეხედულებებზე, რომელთა შესახებ საკმაო მასალას გვაწვდის თვით მილუტინის ზემოხსენებული ნაშრომი.

სამხედრო გეოგრაფიის სახელწოდებით პირველი თხზულებანი იყვნენ პრუსიის კაპიტანის ჰ ო მ ე ი ე რ ი ს ნაშრომი—შვეიცარიის აღწერა და ვ ე ნ ტ უ რ ი ნ ი ს ნაშრომი—აღმოსავლეთ რაინლანდის სამხედრო გეოგრაფიის სახელმძღვანელო; ორივე ეს ნაშრომი გამოქვეყნდა მე-19 საუკუნის პირველსავე წლებში. ამათი მომდევნო ნაშრომები გამოიცა 1820 და 1839 წლებს შორის. შინაარსის მიხედვით მათი უმეტესი ნაწილი, მილუტინის აზრით, ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს: ერთნი ქვეყნების დაწვრილებითი ტოპოგრაფიულ აღწერად შეიძლება ჩაითვალოს, მეორენი—ზოგადი ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიიდან ამოღებული ცნობების კრებულად. პირველი რიგის ავტორთა აზრით სამხედრო გეოგრაფია მდგომარეობს ქვეყნის დაწვრილებით ტოპოგრაფიულ აღწერაში ყველა იმ ძერძო ნოვლენათა გათვალისწინებით, რომელთაც შეიძლება რაიმე გავლენა ექნეთ სამხედრო მოქმედებაზე, თუნდაც ტაქტიკურის ქვრივ. ეს ნაშრომები და აგრეთვე პრუსიის არტილერიის კაპიტანის ა ფ ო ლ ფ ი ს ნაშრომი—ევროპის სამხედრო გეოგრაფიის სახელმძღვანელო, რომლის პირველი ტომი შეიცავს ზოგად წინასწარ ცნობებს მათემატიკური და ფიზიკური გეოგრაფიიდან და ცნობებს

თვით ბუნებისმეტყველებიდანაც კი (1829 წ.), ხოლო მეორე ტომი პირენეს ნახევარკუნძულის დაწერილებით ტოპოგრაფიულ აღწერას (1831 წ.), არსებითად ერთიმეორის მსგავსნი არიან. მეორე რიგის ავტორთა აზრით სამხედრო გეოგრაფია უნდა შეიცავდეს ზოგადი გეოგრაფიიდან ამოკრებილ ყველა იმ ცნობას, რომელთაც შეიძლება დამოკიდებულება ექნეთ სამხედრო მოსაზრებებთან, ან რომელნიც სამხედრო პირის ცნობიერების სფეროში უნდა შედიოდნენ. ჰ ა ნ ც ო-გ ი, მაგდებურგის სკოლის პასტორი, რომელმაც პირველმა გამოსცა ევროპის სამხედრო გეოგრაფიის სახელმძღვანელო ორ პატარა ტომად (1820 და 1823 წ.), წინასიტყვაობაში შეეხო გეოგრაფიული მონაცემების გავლენას სტრატეგიულ მოსაზრებებზე, ხოლო ტოპოგრაფიულისა ტაქტიკურზე და ფიქრობდა, რომ სამხედრო გეოგრაფია შეიძლება იყოს ან ზ ო გ ა დ ი, ან კ ე რ ძ ო. მის კვალს გაჰყვნენ მ ა ი ნ ე კ ე, მ ა ლ ხ უ ს ი, ა ნ დ რ ე, რ უ დ ტ ო რ ფ ე რ ი. რუდტორფერის აზრით, სამხედრო გეოგრაფია უნდა შეიცავდეს ყოველივე მას, რაც ზოგადი გეოგრაფიიდან და სტატისტიკიდან შეიძლება ნასესხები იქნას ყველაზე უფრო სასარგებლო და საინტერესო სამხედრო პირისათვის. ეს ცნობები, ამოკრებილი ზოგადი ფიზიკური და პოლიტიკური გეოგრაფიიდან, რუდტორფერს გადმოცემული აქვს ტაბულების სახით. რუდტორფერი ავითარებდა ე რ ც ჰ ე რ ც ო გ კ ა რ ლ ი ს აზრს, რომ სამხედრო მოქმედებათა მსვლელობა დამოკიდებულია ადგილგარემოს პირობებზე, მთების მდებარეობა და მდინარეთა დენა უ ც ვ ლ ე ლ ი ა და განსაზღვრავენ იმ პუნქტებს, რომლებზედაც არმიები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ყოველგვარ გარემოებასა და ყოველგვარ ვითარებაში. ბ ე ნ ი კ ე ნ ი თავისი ნაშრომის—ევროპის სამხედრო გეოგრაფიის ელემენტები—წინასიტყვაობაში ამბობს: სამხედრო გეოგრაფია გვაცნობს სახელმწიფოს და მის მიერ დაკავებულ დედამიწის ზედაპირს იმ მიზნით, რომ გავარკვიოთ სახელმწიფოთა ფარდობითი ძალები და საშუალებანი ომის ერთმანეთთან საწარმოებლად. თავის წიგნში მას წარმოდგენილი აქვს ცნობები თითოეულ სახელმწიფოზე, ამოღებული ზოგადი გეოგრაფიიდან, რასაც ემატება მოკლე სტატიები საზღვარზე მდებარე სიმაგრეთა და ბუნებრივ მიჯნათა შესახებ, აქვეა მოცემული შიდა სიმაგრეები, თავდაცვითი ხაზები, შეიარაღებულ ძალთა შედგენილობა და სამხედრო ისტორიის თვალსაზრისით შესანიშნავი პუნქტები. ორიგინალური იდეა დაუდო საფუძვლად თავის აზრს სამხედრო გეოგრაფიაზე სენ-სირის სამხედრო სკოლის მასწავლებელმა თ ე ო ფ ი ლ ლ ა ვ ა ლ ე მ: დედამიწაზე ზოგიერთი მნიშვნელოვანი

ბუნებრივი მიჯნაა, რომლებიც ოდესღაც ხალხთა შორის საზღვრებად იყო გამოყენებული. მაგრამ დროთა განმავლობაში ეს ბუნებრივი მიჯნები კაცის ნებით განუწყვეტლივ ირღვეოდა და ახლაც ირღვევა. დედამიწის ზედაპირი ისე უნდა იქნას შესწავლილი, რომ დავეწყაროთ იმ უცვლელ ბუნებრივ მიჯნებს, დაიყოს ისინი მდინარეთა აუზებისა და ქედების მიხედვით, ხოლო შემდეგ თითოეულ ამ დანაყოფში შევნიშნოთ ისტორიული ცვლილებები და ახლანდელი მდგომარეობა სხვა, ცვალებადი გეოგრაფიული საგნებისა. რადგან აღნიშნული ცვლილებები დედამიწის ზედაპირზე უფრო მეტად ომების გამოისობით ხდებოდა, გეოგრაფიის შესწავლა ამ სისტემით ძლიერ სანტერესო მომარჯვება იქნება ამ მეცნიერებისა სამხედრო ხელოვნებაში. ამ გზით ადგილის შესწავლა გასაღებს მოგვცემს სტრატეგიულ მოქმედებაში გასარკვევად. გენერალ ჟომინის აზრით სამხედრო გეოგრაფია შედგება ომის თეატრის ტოპოგრაფიული და სტრატეგიული აღწერისაგან, ყველა იმ ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებათა აღნიშვნით, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს საომარ შემართებაში, მუდმივ, გადამწყვეტ პუნქტთა გამოკვლევით როგორც საზღვარზე, ისე მხარის მთელ სივრცეზე. პოლკოვნიკი იაზიკოვი თავის ნაშრომში—„ცდა სამხედრო გეოგრაფიის თეორიისა“ (1838 წ.), უარყოფს-რა გერმანელ მწერალთა აზრებს, რომლებიც სამხედრო გეოგრაფიას სავსებით აიგივეებენ ზოგად გეოგრაფიასთან, ამბობს: დედამიწის ზედაპირის გარკვეული მიზნით შესასწავლად, როგორც, მაგალითად, იმისათვის, რომ ვამოძრაოთ მასზე შეიარაღებული ძალები რაც შეიძლება ხელსაყრელ პირობებში, არ კმარა მხოლოდ აღიწეროს ეს ზედაპირი. აუცილებლად უნდა გამოვიკვლიოთ მისი მნიშვნელობა შესწავლის სპეციალური მიზნის მიმართებაში, ე. ი. სტრატეგიული ღირსება მთელ სივრცეთა, რომელთაც ვთვლით დედამიწის ზედაპირზე ბუნებრივ და პოლიტიკურ მიჯნებად, გეოგრაფიულ-სტრატეგიული პუნქტები და ხაზები, რომელთაც ეს სივრცეები შეიცავენ. ასე რომ იქნებოდეს გამოკვლეული დედამიწის ზედაპირის ყველა ადგილი, რომელთა გამოკვლევა გვმართებს სტრატეგიული თვალსაზრისით, მაშინ ჩამოყალიბდებოდა ცალკე მეცნიერება, რომლისათვისაც სრული უფლება გვექნებოდა დაგვერქმია სამხედრო გეოგრაფია. სამხედრო გეოგრაფია არ უნდა იფარგლებოდეს ადგილობრივ მონაცემთა სტრატეგიული მნიშვნელობის გამოკვლევით მხოლოდ ერთ ეპოქაში, იგი აუცილებლად კრიტიკულად უნდა იხილავდეს ყველა შემთხვევასა და გარემოებას, რომელშიაც მჟღავნდებოდა სხვადა-

სხვა ეპოქაში გეოგრაფიულ მონაცემთა ესა თუ ის მნიშვნელობა: მიზანი კი ამ განხილვისა უნდა მდგომარეობდეს მასში, რომ მისგან გამოყვანილ იქნას ზოგადი, გონებით განსაკვრეტი ჭეშმარიტებანი გეოგრაფიულ მონაცემთა თითოეული გვარეობის მუდმივ მნიშვნელობაზე განსაზღვრულ ვითარებაში. სამხედრო გეოგრაფია თეორიული მეცნიერებაა, დარგი ან ნაწილი თვით სტრატეგიის თეორიისა. როონის მიხედვით სამხედრო გეოგრაფიაში ყოველი ქვეყანა ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ გამოიხატოს მისი ფიზიონომიის ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაგანაც დამოკიდებულია თვით მნიშვნელობა მთელი ქვეყნისა სამხედრო მხრივ, ე. ი. ხელსაყრელობა თუ დაბრკოლებანი არმიის განლაგებისათვის, მოძრაობისათვის, მოქმედებისათვის, კვებისათვის, მომარაგებისათვის და სხვ. და სხვ. ტოპოგრაფიული წვრილმანების გამოდევნება კი როონს საჭიროდ არ მიაჩნია.

თავისი საკუთარი შეხედულება აქვს სამხედრო გეოგრაფიაზე დ. ა. მილუტინს.

მილუტინის შეხედულებით გეოგრაფიის ცოდნა, გეოგრაფიულ საგანთა და მოვლენათა გათვალისწინება აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოს შესწავლის დროს. კერძოდ, როცა გვინდა გამოვარკვიოთ სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების დონე, გვინდა შევისწავლოთ მისი სამხედრო ძალები და საშუალებანი, შესწავლის ობიექტებში აუცილებლად გეოგრაფიული მონაცემებიც უნდა იგულისხმებოდეს. მაგრამ მილუტინს თავისებურად ესმის თვით სახელმწიფოს შესწავლის საკითხი. იგი სახელმწიფოს შემსწავლელ დისციპლინად გეოგრაფიას კი არ მიიჩნევს, არამედ სტატისტიკას და აქედან სახელმწიფოს სამხედრო მხრივ შესწავლაც, მისი ღრმა რწმენით, სამხედრო სტატისტიკამ უნდა აწარმოოს და არა სამხედრო გეოგრაფიამ. ამ თავის შეხედულებას, რომელსაც, აქვე ვიტყვით, დღეს არავინ არ იზიარებს, მილუტინი, როგორც ვიცით, შემდეგი მოსაზრებებით ასაბუთებს: გეოგრაფია ცოდნის ისეთი დარგია, რომელიც ყველა სხვა მეცნიერებისათვის გამოსადეგ ცნობათა დაგროვებას, აღნუსხვას, აღწერას აწარმოებს, ის არც ერთ საკითხს არ იკვლევს, მას არა აქვს კვლევისათვის საჭირო გარკვეული თვალსაზრისი, ზოგად იდეასა და დასკვნას არ იძლევა, ამდენად არც მეცნიერებაა იგი; გეოგრაფიის საგანს არ შეიძლება შეადგენდეს ადამიანის, საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკური ვითარების შესწავლა; გეოგრაფია მუდამ იყო და მომავალშიაც უნდა დარჩეს თავისი სახელის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის ერთგული და, მაშასადამე, დედა-

მიწის ზედაპირის აღმწერი ცოდნის დარგი; სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური სხეულის, შესწავლა სტატისტიკის საქმეა; სტატისტიკა პოლიტიკური მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს ცხოვრების ყველა მხარეს მოცემულ მომენტში, დროის ერთ განსაზღვრულ მონაკვეთში; სტატისტიკამ სახელმწიფოს შესწავლის დროს უნდა გამოიყენოს გეოგრაფიული მონაცემებიც; გეოგრაფია ამ შემთხვევაში სტატისტიკას უნდა დაექვემდებაროს; რა ურთიერთობაცაა გეოგრაფიასა და სტატისტიკას შორის სახელმწიფოს შესწავლის საქმეში, იგივე ურთიერთობაა სამხედრო გეოგრაფიასა და სამხედრო სტატისტიკას შორისაც სახელმწიფოს სამხედრო მხრივ შესწავლის საქმეში. ამ შეხედულებათა მქონე მილუტინი, ბუნებრივია, რომ არ ეთანხმებოდეს აქ აღნიშნულ სამხედრო გეოგრაფებს მათს მოსაზრებებში სამხედრო გეოგრაფიის არსის შესახებ.

დ. ა. მილუტინის აზრით არც ერთი ზემოხსენებული სამხედრო გეოგრაფი სწორ პოზიციაზე არ დგას. მას უსარგებლო თხზულებებად მიაჩნია ისეთი ნაშრომები, სადაც მოცემულია მხარის დაწვრილებითი ტოპოგრაფია ყველა იმ კერძო მოვლენით, რომლებიც ჩვეულებრივ გეოგრაფიულ ნაწერებში გვხვდება, როგორიცაა: ყველა ნაკადული, ყველა გზა, ყველა თუნდაც პატარა ხიდი, ჭაობი, ტყე და სხვ., რადგან ფიქრობს, რომ, თუმცა აუცილებლად საჭიროა გვქონდეს ცნობები ყველა ამ ადგილობრივ მონაცემზე ომის საწარმოებლად ტაქტიკურ მოქმედებათა მხრივ იმდენადვე, რამდენადაც დაწვრილებითი ტოპოგრაფიული რუკები, მარშრუტები, აღწერილობანი მხარის შესანიშნავი პუნქტებისა და ნაწილებისა, მაგრამ ყველა მსგავსი ცნობა, გულმოდგინედ შეკრებილი მშვიდობიანობის და ომიანობის დროს და შენახული გენერალური შტაბის არქივებში, არ შეიძლება შესწავლილ იქნას დასახსომებლად და არც შეიძლება შეადგენდეს განსაკუთრებულ თხზულებათა საგანს—ეს მშრალი ნომენკლატურა არაფერს არ მოგვცენს, თუ განუწყვეტლივ არ იწარმოებს მისი შევსება და შესწორება ახალი ცნობებით, ვინაიდან ყველა აღნიშნული ადგილობრივი მონაცემი დაუსრულებლად იცვლება: გაჰყავთ ახალი გზები, მუშავდება ახალი მიწები, იჩეხება ტყეები, აშრობენ ჭაობებს, ტბორებად აგუბებენ ნაკადულებს და ა. შ. რას მოგვცემდა ყველა ამ წვრილმანი ცნობის გულდასმით შესწავლა? და რომელი ადამიანური მეხსიერება დაიტევდა ამგვარ უნაყოფო სწავლას? ამავე დროს თვით ყველაზე უფრო დაწვრილებითი კრებულებიც კი მოკლებულია იმ სისრულეს, რომელიც დააკმაყოფილებდა სამხედრო მოქმედებათა ყველა მოთხოვნილებას; რაოდენ გულმოდგინედ ცდილობენ მთავ-

რობები მშვიდობიან დროს შეკრიბონ მსგავსი ცნობები მეზობელი ქვეყნების შესახებ, მაგრამ სამხედრო მოქმედებათა დაწყების წინ და მათი მსვლელობის დროს აუცილებელი ხდება კიდევ რეკოგნოსცირება, ადგილზე დათვალიერება, შედგენა პოზიციების მარშრუტებისა, გეგმებისა და ა. შ. ამაში მდგომარეობს ერთი უმთავრეს მიზანთაგანი ყველა არმიაში გენერალური შტაბის დაარსებისა. მილუტინი არც იმ სამხედრო გეოგრაფთა აზრს იზიარებს, რომელთა შეხედულებით სამხედრო გეოგრაფიაში აღწერილი უნდა იყოს არა მარტო ადგილის ყოველი წვრილმანი მოვლენა, არამედ ამასთანავე აუცილებელია განვიხილოთ ისინი თვით სამხედრო მოქმედებათა თვალსაზრისითაც. მილუტინს შეუძლებლად მიაჩნია ყველა შემთხვევის წინასწარ გათვალისწინება. მისი აზრით ერთი და იგივე ადგილობრივი საგანი ორ სხვადასხვა შემთხვევაში სრულიად ერთი მეორის საწინააღმდეგო მნიშვნელობის შეიძლება აღმოჩნდეს და მივიღებთ უსასრულო სხვადასხვაობას. წინასწარ განსაზღვრა ყველა გზისა კოლონის მოძრაობისათვის, ბრძოლის პოზიციებისა და საბანაკო ადგილებისა, ეს იქნებოდა გამოვდევნებოდით ქიმერას. მილუტინი ეთანხმება როონის მოსაზრებას, რომ სამხედრო გეოგრაფიაში ყოველი ქვეყანა ისე უნდა იყოს აღწერილი, რომ გამოიხატოს მისი ფიზიონომიის ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთაგან, დამოკიდებულია თვით მნიშვნელობა მთელი ქვეყნისა სამხედრო მხრივ, ტოპოგრაფიულ წვრილმანებში შეჭრა კი როონს საჭიროდ არ მიაჩნია. მაგრამ მილუტინი შენიშნავს, რომ როონის ნაშრომი სწორედ ასეთ წვრილმანებს შეიცავს, რომელთა დასწავლა შეუძლებელია. ჰანცოგის, მაინეკეს, მალხუსის, ანდრეს და რუდტორფერის ნაშრომების შესახებ მილუტინი ამბობს, რომ ისინი გეოგრაფიულ და სტატისტიკურ ცნობათა კარგი კრებულებია, რომელთაც სამხედრო გეოგრაფია ეწოდებათ იმიტომ, რომ შეკრებილი ცნობები ავტორებს მიაჩნიათ სასარგებლოდ უპირატესად სამხედროთათვის ან სამხედრო მოქმედებათა შესახები მოსაზრებებისათვის. თუ სამხედრო გეოგრაფია, დასძენს მილუტინი, იქნება ზოგად გეოგრაფიულ თხზულებათაგან ამოკრებილი ფაქტების კრებული, დანიშნული საკუთრივ საცნობაროდ სამხედრო მკითხველთათვის, სამხედრო გეოგრაფიის ასეთი განსაზღვრების შეწყნარება უკვე აღარ იძლევა საშუალებას ითვლებოდეს იგი სამხედრო მეცნიერებათა განსაკუთრებულ დარგად, ვინაიდან ფაქტიურ ცნობათა ყოველი კრებული, რაგინდ კარგად იყოს იგი შედგენილი, შესწავლის განცალკევებულ, თვითმყოფ საგანს ვერ შეადგენს. თუ გეოგრაფია გადმოცემულია სისტემატი-

კურ სახელმძღვანელოებში და ისწავლება სკოლებში,—ეს მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარული საგნის ოდენობითა და მნიშვნელობით, რომლის შესწავლა აუცილებლად სჭირდება ყოველ განათლებულ ადამიანს. მაშასადამე, თუ სამხედრო გეოგრაფიაც უნდა შედგებოდეს ზოგადი გეოგრაფიიდან ამოკრებილი მხოლოდ ფაქტიური ცნობებისაგან, ამ შემთხვევაში ისიც შეიძლებოდა აგრეთვე ყოფილიყო მხოლოდ ელემენტარული სახელმძღვანელო, შეფარდებული სამხედრო სკოლებისათვის, ან უბრალოდ საცნობარო საკითხების კრებული, მსგავსად სიტყვარებისა. მილუტინი ეხება ზოგიერთი ავტორის ცდას ააშორონ სამხედრო გეოგრაფიას ელემენტარული სახელმძღვანელოს ან მშრალი საცნობარო ხასიათის კრებულის დანიშნულება და მისცენ მას ერთგვარი სპეციალური და დამოუკიდებელი ხასიათი. რუდტორფერის შეხედულება, რომ გეოგრაფიული პირობები განსაზღვრავენ იმ პუნქტებს, რომლებზედაც არმიები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს გარემოებათა მიუხედავად, ყოველგვარ ვითარებაში, მილუტინს არა სწორად მიაჩნია და ამბობს: ამით სამხედრო გეოგრაფიას ეძლევა სამხედრო ისტორიის გაგების წყაროს მნიშვნელობა და გამოდის, რომ ყოველ ეპოქაში არმიები უნდა შეხვდნენ ერთმანეთს აუცილებლად ერთსა და იმავე პუნქტზე „გარემოებათა მიუხედავად". თითქმის არც ღირს შეუდგე იმის მტკიცებას,—შენიშნავს მილუტინი,—რომ სამხედრო მოქმედებათა მსვლელობა მარტოოდენ ადგილგარემოს პირობებზე არ არის დამოკიდებული, ვინაიდან ყოველ ომს თან სდევს თავისი სრულიად განსაკუთრებული გარემოებანი, მიზნები და მისწრაფებანი და ამიტომ ყოველი ადგილობრივი საგანი იცვლის თავის მნიშვნელობას სხვადასხვა ეპოქაში. ომის თეატრის სახეც იცვლება სხვადასხვა ეპოქაში. ახალი გზების გაყვანის, ახალი ხიდებისა თუ სიმაგრეების აგების, საზღვრების შეცვლისა და სხვა მიზეზების გამო. მილუტინს შედარებით უფრო მოსწონს ბენიკენის აზრი, მაგრამ შენიშნავს, რომ თვით შესრულება ამ აზრისა ავტორის განზრახვას არ ეფარდება. მისი სტატიები შეიცავს მშრალ ნომენკლატურას, ეს ნომენკლატურა არ არის შეკავშირებული არავითარი იდეით, არც მოსაზრებებით, მაშასადამე, არ გვაძლევს არავითარ წარმოდგენას სახელმწიფოს ძალებსა და საშუალებებზე, საცნობარო წიგნადაც ვერ გამოდგება იგი. ლავალეს შეხედულების შესახებ მილუტინი ამბობს: ეს აზრი მეტად ორიგინალურია, მაგრამ სამწუხაროდ სრულიად გამოუყენებელი. დედამიწის ზედაპირის მსგავსი შესწავლა მეტისმეტად ტვირთავს მეხსიერებას და მას არავითარ დასკვნებამდე არ მივყავართ. სხვა-

დასხვა ეპოქაში გეოგრაფიული საგნების მნიშვნელობა სამხედრო და პოლიტიკური მხრივ იცვლება. თვით უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი მიჯნებიც კი ჰკარგავენ ხშირად ყოველგვარ მნიშვნელობას, რადგან ადამიანის ძალა ყოველ ნაბიჯზე სძლევს ბუნებას და იმორჩილებს მას თავისი მიზნებისა და მოსაზრებებისათვის. იაზიკოვის იდეას—დაესახა სამხედრო გეოგრაფია თეორიულ მეცნიერებად, თვით სტრატეგიის თეორიის დარგად, მილუტინი განუხორციელებელ იდეად სთვლის და ამბობს: გეოგრაფია, რა სპეციალური მიზნითაც იყოს შედგენილი, ყოველთვის უნდა დარჩეს დ ე დ ა მ ი წ ი ს ზ ე დ ა პ ი რ ი ს ა ღ წ ე რ ა დ, ამა თუ იმ მიმართებაში. გეოგრაფიული ცნობები აუცილებლად უნდა ეხებოდეს ერთ განსაზღვრულ მომენტს. თუ ისინი, მსგავსად ისტორიული ფაქტებისა, შეიძლება გამოკვლეულ იქნას კრიტიკულად, თეორიის ზოგადი კანონების საფუძველზე, ასეთი გამოკვლევა მაინც ვერ შექმნის თვითონ თეორიას. რა თქმა უნდა, თეორია ემყარება მონაცემთა განხილვას და მათ ერთმანეთთან დაპირისპირებას, ზოგადი კანონებისა და ძირითადი საწყისების გამოსაყვანად. მაგრამ სწორედ ამის გამო თვით შესწავლა მონაცემთა, თუნდაც კრიტიკული, მხოლოდ მასალას წარმოადგენს თეორიისათვის. ასე, სამხედრო ისტორიაში, ყოველი ლაშქრობა შეიძლება განხილულ იქნას კრიტიკულად, მაგრამ ეს განხილვა ჯერ კიდევ შორს დგას სტრატეგიის თეორიისაგან. მით უფრო ნაკლებად მოხერხდება, რომ რაიმე ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ მონაცემთა გამოკვლევა, მხოლოდ და მხოლოდ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ მ ო მ ე ნ ტ შ ი, იქცეს ამ თეორიის ნაწილად. ომის თეატრების აღწერილობანი, გეოგრაფიულ მონაცემთა სტრატეგიული მნიშვნელობის კრიტიკული გამოკვლევით, გარდუვალად ეხებიან მხოლოდ ერთ ეპოქას, მეორე ეპოქისათვის კი ისინი გამოუსადეგარი არიან. ეს ადასტურებს, რომ ომის თეატრის სტრატეგიული გამოკვლევის დროს შეუძლებელია შემოვიფარგლოთ მარტოოდენ გეოგრაფიული მონაცემებით და უგულებელვყოთ ყველა სხვა მოსაზრებანი, როგორც, მაგალითად, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვ. და სხვ. ცალმხრივი იქნება ის სტრატეგიული თეორიები, რომლებიც დაემყარება მარტოოდენ ერთი გვარეობის მოსაზრებებს. შეიძლება თუ არა სამხედრო გეოგრაფიას მივცეთ ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ მ ო ნ ა ც ე მ თ ა კ რ ი ტ ი კ უ ლ ი გამოკვლევის მნიშვნელობა ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ მ ი მ ა რ თ ე ბ ა შ ი?—ამაზე მილუტინი უარყოფითად უპასუხებს. იგი ამბობს: თუ სიტყვის ეტიმოლოგიურ და საყოველთაოდ მიღებულ მნიშვნელობას მივხედავთ, სამხედრო გეოგრაფია

უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ იმ მონაცემებით, რომლებიც ეხება დედამიწის ზედაპირის მოყვანილობას, ამიტომ, ცხადია, იგი ვერ მოჰკიდებს ხელს სტრატეგიულ გამოკვლევებს, არამედ იძულებულია დარჩეს ფაქტიურ ცნობათა უბრალო კრებულად, ამ შემთხვევაში იგი, რასაკვირველია, ვერ იქცევა შესწავლის ცალკე, დამოუკიდებელ საგნად. ხოლო, თუ ჩვენი მიზანი იქნება არა მარტოოდენ ფაქტიური ცნობების შეძენა, არამედ ომის თეატრის ან მთელ სახელმწიფოთა კრიტიკულად გამოკვლევა, სტრატეგიულ მიმართებაში, მაშინ აუცილებელია მნიშვნელოვნად გავაფართოოთ მოსაზრებათა არე, მათ საფუძვლად მივიღოთ, ადგილის გარდა, ყველა ის მონაცემი, რომელიც ყოველ სახელმწიფოში საზოგადოდ საზღვრავს მის საშუალებებს და წესებს ომის წარმოებისათვის, ვარგისობა და არახელსაყრელობა გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობისა, ზოგად სამხედრო მოსაზრებათა მიმართებაში, აქედან კი გამოკვლევა გავრცელდება სახელმწიფოს თითქმის მთელ შედგენილობაზე და უკვე ზოგადი მიზნისაკენ მიგვიყვანს: სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განსაზღვრისაკენ სამხედრო მხრივ. ასეთი მიზანი მართლა შეიძლება მოგვცემს ცალკე და მეტად მნიშვნელოვან შესასწავლ საგანს, მაგრამ საკუთრივ ადგილობრივი მონაცემები, რომელნიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს ხელსაყრელ და არახელსაყრელ სტრატეგიულ პირობებს, მის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ამ გამოკვლევაში შევა როგორც ნაწილი დიდი მთელისა, და, მაშასადამე, ამ შემთხვევაში უკვე აღარ შეიძლება დავარქვათ შესწავლის მსგავს გვარეობას *სამხედრო გეოგრაფია*, უფრო წესიერი და მართებული იქნება ვუწოდოთ მას *სამხედრო სტატისტიკა* (გვ. 6—32).

გავარკვიოთ ცოტა უფრო დაწვრილებით როგორ დისციპლინად აქვს წარმოდგენილი მილუტინს სტატისტიკა საერთოდ და სამხედრო სტატისტიკა კერძოდ. მილუტინი ეხება სტატისტიკის ამოცანების საკითხს და ამბობს, რომ პირველ ხანებში სტატისტიკას მეტად განსაზღვრული მიზანი ჰქონდა დასახული: ხალხის და სახელმწიფოს მდგომარეობის უბრალო აღწერა. ასე ესმოდათ სტატისტიკის დანიშნულება მის მამათმთავართ — კონრინგს და ახენვალს, რომლებიც გერმანიაში პირველად შეუდგნენ ამ მეცნიერების გაშლას და სწავლებას. კონრინგმა (1660 წ.) პირველად დაიწყო მისი სწავლება, ხოლო ახენვალმა (1749 წ.) სახელი მისცა მას. თუმცა ამ გაგებით სტატისტიკა არსებობდა გაცილებით უფრო ადრეც: არა მარტო XVI და XVII საუკუნეებში,

როცა გაჩნდა ზოგიერთი თხზულება სხვადასხვა სახელმწიფოს მდგომარეობისა და წყობილების შესახებ — იტალიაში, გერმანიაში, ჰოლანდში, საფრანგეთში, არამედ ძველისძველ დროშიაც—ამგვარ მოძღვრებას მაშინ ერქვა res publica, notitia publica; ზოგი სტატისტიკის სახელს აწარმოებდა ლათინური სიტყვიდან status—მდგომარეობა, ზოგი კი გერმანული სიტყვიდან Staat—სახელმწიფო. ზოგის მიზანი იყო გაერკვია სახელმწიფოს წყობილება, სახელმწიფოს ღირსშესანიშნაობათა ერთობლიობა, სახელმწიფოს მდგომარეობა ან თვისება, ხალხის მატერიალური დოვლათი ან სახელმწიფოს ძალა და ძლიერება, ზოგისა ცივილიზაციაც კი, ზოგმა სტატისტიკის მიზანი გაავრცელა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ცხოვრებაზე, დაბოლოს ბუტემ მისცა ყველაზე უფრო ფართო განსაზღვრება ახენვალის მიერ შექმნილ მეცნიერებას: „სტატისტიკა არის სისტემატური გამოხატულება იმ მონაცემთა, რომელთა საშუალებით საფუძვლიანად გავიგებთ—რა ხარისხით აღწევს სახელმწიფო თავის მიზანს რომელიმე განსაზღვრულ მომენტში, რომელშიაც აწმყო დრო იგულისხმება“. სტატისტიკაზე სხვადასხვა შეხედულება, მილუტინის აზრით, ეხებოდა არა იმდენად საქმის არსებით მხარეს, რამდენადაც ფორმას: ახენვალის სკოლის ყველა მწერალი დღემდე სტატისტიკაში ხედავდნენ მხოლოდ მონაცემთა აღწერას ან გამოსახვას, სცვლიდნენ მხოლოდ ამ მონაცემთა არჩევანს, აფართოვებდნენ ან ავიწროებდნენ მათ ფარგალს. მხოლოდ უკანასკნელ ხანაში ადამიანის ცოდნათა ყველა დარგმა იწყო ფაქტიურ ცნობათა ვიწრო ჩარჩოებიდან გამოსვლა და სწრაფვა ფიზიკურ, ზნეობრივ და სამოქალაქო სამყაროს მოვლენათა პრაგმატულ (მიზეზ-შედეგობრივ—დ. დ.) გამოკვლევისაკენ. ზოგიერთი მწერალი (ლუდერი, გატერერი) ძლიერ დაესხა თავს უსულო ჩონჩხს, სახელად სტატისტიკას, და ცდილობდა სული ჩაედგა მისთვის. იმავე დროიდან ბევრმა შესანიშნავმა მწერალმა დაიწყო სამოქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის კრიტიკული გამოკვლევა; ყველა მონაცემი, რომელთა დაგროვება მოხერხდა აქამდე ხალხის სიმდიდრისა, მისი ფიზიკური და ზნეობრივი მდგომარეობის შესახებ, გახდა გულდასმითი ანალიზური დამუშავების საგანი, მიზეზთა და შედეგთა ასახსნელად სახალხო კეთილდღეობის განვითარების ანონების გამოსაყვანად. ზოგიერთი მწერალი სტატისტიკას მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული, უტილიტარული თვალსაზრისით უცქერის, როგორც დამხმარე საშუალებას მთავრობათა ადმინისტრაციულ მოსაზრებათათვის და განკარგულებათათვის. ზოგის

აზრით იგი პოლიტიკური არითმეტიკაა, მისი არსი მარტო ციფრებია, სტატისტიკა ზოგიერთებმა ალბათობის თეორიის დარგად აქციეს. ზოგმა (ნიმანმა), სამართლიანად სთვლიდა-რა, რომ მონაცემთა მარტოოდენ აღწერას შეუფერებელი იქნებოდა მეცნიერების სახელი დარქმეოდა, და ხედავდა-რა, რომ თითქმის ყველა წინა დროის მწერალს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა თავის სტატისტიკისათვის დაერთო კიდევ სტატისტიკის თეორია (როგორც იმ კანონთა ახსნა, რომელთა საფუძველზე სტატისტიკოსს უნდა შეესწავლა მონაცემთა ყოველი გვარეობა), მისცა თვით თეორიას სტატისტიკის სახელი, ხოლო სტატისტიკა გამოჰყო თეორიისაგან სახელმწიფოთმცოდნეობის (Staats-Kunde) სახელწოდებით. ზოგმა—მხოლოდ ერთი მომენტის შესახები ფაქტიური ცნობები, როგორც ცვალებადი მონაცემები, განზე გადასდო, მოინდომა სტატისტიკის ამაღლება თეორიული ანუ დოგმატიკური მეცნიერების დონემდე, რომელიც მოახდენდა განყენებულ ჰეშმარიტებათა ან ზოგად კანონთა გამოყვანას, რომელთა მიხედვით ყოველი სამოქალაქო საზოგადოება ყოველ დროს უნდა ვითარდებოდეს. ხოლო მოცემული დროის და ამა თუ იმ სახელმწიფოს ნამდვილი ფაქტების შესწავლა მთავრობათა და ადმინისტრაციათა პრაქტიკულ საქმედ ჩაიჩნიეს. მილუტინის განმარტებით ყველა პოლიტიკური მეცნიერების საერთო საგანია კაცობრიობა სამოქალაქო ცხოვრებაში, მაშასადამე, სახელმწიფო მისი რთული ორგანიზმის ყოველგვარ გამოვლინებაში. ეს გამოვლინებანი შეიძლება შევისწავლოთ სხვადასხვანაირად: როგორც მოვლენათა გვარეობის მიხედვით, ასევე მათი გამოკვლევის წესის ან მიზნის მიხედვით. ამის შედეგად თვით მეცნიერება დაიყოფა ბევრ ნაწილად და განყოფილებად, რაც შესწავლას გაგვიადვილებს. ეს დაყოფა ორგვარი უნდა იყოს: ერთი—დაფუძნებული პოლიტიკურ მეცნიერებათა გამოსაკვლევი საგნების კლასიფიკაციაზე, მეორე—დაფუძნებული გამოკვლევის მიზნებისა და წესების სხვადასხვაობაზე. კვლევა-ძიების მიზანი ორგვარია: მიზანი თეორიული ანუ დოგმატიკური, ზოგად კანონთა გამოსაყვანად, რომელთა მიხედვით ყოველი სახელმწიფო ან ხალხი ვითარდება ან უნდა ვითარდებოდეს თავისი მიზნების მისაღწევად; მიზანი მეორეგვარი—ამ განვითარების ნამდვილი გამოვლინება, ამით გავარკვევთ ამა თუ იმ სახელმწიფოში ან ხალხში სახელდობრ როგორ ხდებოდა ან ხდება ეს განვითარება. პირველი მიზანი ჰქმნის მეცნიერებათა რიგს—თეორიულს ანუ დოგმატიკურს, მეორე—ბადებს კაცობრიობის

სამოქალაქო ცხოვრების შესწავლის ორ წესს: ან თანმიმდევრულ, ქრონოლოგიურ განვითარებაში—ისტორიული შესწავლა, ან მის გამოვლინებაში ერთ მოცემულ მომენტში—სტატისტიკური შესწავლა. ამგვარად, სახელმწიფოს სტატისტიკური შესწავლა, ერთის მხრივ, მოიცავს პოლიტიკური სხეულის რთული ორგანიზმის ყველა ნაირგვაროვან მოვლენას, მეორე მხრივ, მისი ფარგალი განსაზღვრება შესწავლის თვით მიზნით, რომელიც მდგომარეობს არა ზოგად კანონთა გამოყვანაში, რომელთა მიხედვით ყოველი სახელმწიფო და ყოველთვის უნდა ვითარდებოდეს, არამედ მოცემული სახელმწიფოს ნამდვილი განვითარების ჩვენებაში მხოლოდ ერთ მოცემულ მომენტში (უფრო სშირად თანამედროვე ეპოქაში). ამგვარად, სტატისტიკა შუალა ადგილს დაიკავებს ორი სკოლის უკიდურესობას შორის, რომლებიც მას ორ ერთი მეორის სრულიად საწინააღმდეგო მნიშვნელობას აძლევენ: იგი არ დაეშვება მონაცემთა ან მოვლენათა უბრალო აღწერის დონემდე, რადგან მან ანალიზურად უნდა გამოიკვლიოს ისინი, გარკვეული მიზნით. მეორე მხრივ, იგი არ გადადის თეორიულ მეცნიერებათა რიგში, პოლიტიკურ მეცნიერებათა სხვა დარგებს დაუთმობს ზოგადი კანონების გამოყვანას. ეს არ შეუშლის მას ხელს იყოს ფრიად სასარგებლო, გვემსახუროს თეორიული დასკვნების გამოყვანისათვის ემპირიულ საწყისად და ამავე დროს გვიჩვენოს ძლევანელოს პრაქტიკულ გამოყენებათა სფეროშიაც. შესწავლის სხვადასხვა გვარეობა ერთი მეორისაგან მკვეთრად არ გამოიყოფა, პირიქით, შეუძლებელიცაა გვერდი ავუქციოთ მათ შერწყმას. მეტსაც ვიტყვით—შესწავლის სამივე წესის (თეორია, ისტორია, სტატისტიკა) ურთიერთ დახმარება აუცილებელია. თეორია, გამოყვანილი გონების მხოლოდ განყენებული საწყისებიდან (á priori), ხშირად მეოცეობს, თუ მას არა აქვს ემპირიული, ცდისეული საყრდენი, თუ განყენებული დასკვნები არ მოწმდება ყოველ ნაბიჯზე ისტორიისა და სტატისტიკის ფაქტებით. მეორე მხრივ, არც ისტორიული და სტატისტიკური შესწავლაა სახელმწიფოსი შესაძლებელი, მტკიცე თეორიული საფუძვლის გარეშე, დოგმატიკურ მეცნიერებათა ხელმძღვანელი აზრის გარეშე. ეს ცოტაა: სტატისტიკოსს არ შეუძლია და არც უნდა იზღუდავდეს თავს ფაქტებით, რომელნიც მხოლოდ ერთ მომენტს ეხება; იგი ვერავითარ დასკვნას ვერ გამოიმუშავებს მოვლენათა ერთმანეთთან დაპირისპირების გარეშე მათს თანმიმდევრულ კავშირში. ბოლოს, კაცობრიობის სამოქალაქო ცხოვრების მოვლენათა ყოველი გვარეობა შეიძლება გამოკვლეულ იქნას ერთობლიობაში—ისტორიულ განვი-

თარებაშიაც, თანადროულ ნამდვილ გამოვლინებაშიაც (ანუ რო-
მელიმე მოცემულ მომენტშიაც) და ზოგადი კანონების ხაზითაც
ე. ი. თეორიულადაც. სწორედ ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ
სტატისტიკის ყოველ ნაწილს აქვს მისი შესაბამისი თეორიის ნა-
წილიც. ამით სტატისტიკის შინაარსს და საგანს ეძლევა ძლიერ
ფართო გასაქანი მიუხედავად ამისა, რომ მისი მიზანი და კვლევის
წესი ისაზღვრება. სტატისტიკა თავისი გამოკვლევებით უნდა მოი-
ცავდეს სახელმწიფოს ყველა ნაირგვაროვან მიზანს და წესს, მათს
ნამდვილ გამოვლინებაში, მოცემულ მომენტში. მხოლოდ მაშინ შეი-
ძლება მიიღოს სტატისტიკურმა შესწავლამ სისავსე და მთლიანობა
თეორიულ მეცნიერებათა მსგავსად. მაგრამ სახელმწიფოს მექანიზმი
დღეს ისე რთულია, მისი ძალების გამოვლინება ისე მრავალგვარია,
რომ სტატისტიკა გადაიქცეოდა ვეებერთელა და მრავალგვაროვან
დისციპლინად, და თუნდაც ერთი სახელმწიფოს ყოველმხრივი შეს-
წავლა ისევე ძნელი იქნებოდა, როგორც ყველა თეორიული მეცნიე-
რების ერთ მთელად გაერთიანება. სტატისტიკა უნდა დაიყოს იმ-
დენივე დარგად, რამდენადაც თეორია—მისი ყოველი ნაწილი ცალკე
სპეციალობას უნდა შეადგენდეს. მაგრამ ცალმხრივი რომ არ შეიქ-
ნეს იგი, უნდა შეეხოს სახელმწიფოს ცხოვრების ყველა მხარეს,
ყველა მიზანს და საშუალებას. ამისათვის სამზადისია საჭირო, ყო-
ველი ნაწილი ცალკე უნდა დამუშავდეს. პოლიტიკურ მეცნიერებათა
თეორიული ნაწილი წინ ვერ წავიდოდა, რომ არ დაყოფილიყო
ცალკე მეცნიერებებად და თითოეული მათგანი ცალკე სპეციალის-
ტის შესწავლის საგნად არ ქცეულიყო. ჯერ უნდა გაკეთდეს ეს,
მერმე მოხდება ამ ნაწილების დაახლოება და ერთ მთელად გაერ-
თიანება.

ასე განმარტავს მილუტინი სტატისტიკის საგანს, მის მიზანსა
და ამოცანებს, მის ადგილს სხვა მეცნიერებათა შორის და მისი
განვითარების მომავალს. სამხედრო სტატისტიკის შესახებ კი მი-
ლუტინი შემდეგს ამბობს: სტატისტიკას მუდამ რჩებოდა განზე
სახელმწიფოს ს ა მ ხ ე დ რ ო ძ ა ლ ა. ეს სპეციალისტებმა უნდა გა-
აკეთონ. ცივილიზაციის წარმატება და ომების შეწყვეტის მოლო-
დინი, სამუდამო მშვიდობიანობა—ჰიპოთეზური ოცნებაა. პოლიტი-
კურ მეცნიერებათა საგანი არ შეიძლება იყოს უტოპია, ისინი გა-
მოცდილებას უნდა დაეყარონ. ჩვენ უნდა შევეხოთ ადამიანთა მო-
დგმას იმ სახით, როგორიცაა იგი დღეს, და არა, როგორც შეიძ-
ლება ან უნდა იყოს იგი. მით უფრო სტატისტიკაში, რომელიც სა-
ზოგადოებათა საოჯახო ცხოვრების ნ ა მ დ ვ ი ლ გამოვლინებებს

გვაცნობს, ეს საზოგადოებანი უნდა იყოს განხილული ისე, როგორიც არიან დღეს, და არა ისე, როგორიც გვსურდა გვენახა ისინი. პოლიტიკურ მეცნიერებებში სახელმწიფოს სამხედრო ძალას საკმაოდ საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს. Si vis pacem, para bellum (ვისაც მშვიდობიანობა სურს, იგი ემზადოს ომისათვის—დ. დ.). სტატისტიკის სწორედ ამ ნაწილს შეგვიძლია დავარქვათ სამხედრო სტატისტიკა, რომლის მიზანიც უნდა იყოს სახელმწიფოების ძალთა და საშუალებათა გამოკვლევა სამხედრო მხრივ მოცემულ მომენტისათვის. წინათაც ასე ესმოდათ სამხედრო სტატისტიკის ამოცანები, მაგრამ არსებითად მას ვიწრო Ანიშვნელობას აძლევდნენ, რადგან სამხედრო ძალაში გულისხმობდნენ მხოლოდ საკუთრივ შეიარაღებულ ძალებს; ამიტომაც იფარგლებოდნენ ჯარების აღრიცხვით და მათი წყობილების აღწერით, მაშინ როდესაც ეს საგანი სამხედრო სტატისტიკის მხოლოდ ნაწილს უნდა შეადგენდეს, სწორედ ისე, როგორც მარტო ერთი ჩამოთვლა ფაბრიკებისა და ქარხნებისა ვერ მოგვცემს სახელმწიფოს სამეურნეო სტატისტიკას. სამხედრო სტატისტიკა ზოგადი სტატისტიკის მხოლოდ ნაწილია ან სახეობა, ამიტომ იგი პოლიტიკურ მეცნიერებათა რიგს ეკუთვნის; მაგრამ ამავე დროს იგი უნდა ემყარებოდეს აუცილებლობის გამო სამხედრო ხელოვნების მითითებებსა და მოთხოვნილებებს, მაშასადამე, იგი თავის კვლევაში სტრატეგიის თეორიით და სამხედრო ადმინისტრაციის თეორიით უნდა ხელმძღვანელობდეს, სწორედ ისე, როგორც პოლიტიკური ეკონომიით და ფინანსების თეორიით ხელმძღვანელობს სამეურნეო და საფინანსო სტატისტიკა. სამხედრო ხელოვნების თეორია თავის უმაღლეს ნაწილებში მჭიდროდ უკავშირდება და თითქმის ერწყმის კიდეც პოლიტიკურ მეცნიერებათა დისციპლინებს, რადგან თვითონ ომი სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამიტომ სამხედრო სტატისტიკა შეიძლება იმდენადვე მივაკუთვნოთ პოლიტიკური შესწავლის საგნებს, რამდენადაც სამხედრო ცოდნათა წრეს (იხ. ციტირ. ნაშრომი, გვ. 40—55).

ასეთია მილუტინის შეხედულებანი სამხედრო სტატისტიკაზე. ამ საკითხს ასე დაწვრილებით იმიტომ გავეცანით, რომ მილუტინმა, როგორც ვთქვით, სამხედრო გეოგრაფია ამ სამხედრო სტატისტიკაში ჩააქსოვა, როგორც მისი ერთ-ერთი ნაწილი. მაგრამ სამხედრო გეოგრაფია სამხედრო სტატისტიკაში მოექცა თავისებური გაგებითა და მნიშვნელობით: სამხედრო გეოგრაფია მეცნიერება არაა,

ფიქრობს მილუტინი, იგი მხოლოდ ერთიმეორესთან დაუკავშირებელ, გაანალიზებას მოკლებულ ცნობებს წარმოადგენს. ეს ცნობები, როგორც მასალა, შედის სამხედრო სტატისტიკაში, რომელიც უკვე მეცნიერებაა, რადგან ის საგნებსა და მოვლენებს იკვლევს, აანალიზებს, თავის აზრს ზოგად იდეად და დასკვნად აქცევს. ამგვარად, მილუტინის სამხედრო სტატისტიკა უბრალო სახელის შეცვლა როდია სამხედრო გეოგრაფიისა, არამედ განსაკუთრებულ სამეცნიერო დარგს წარმოადგენს, რომელიც სამხედრო გეოგრაფიის ცნობებს თავისი მიზნებისათვის იყენებს.

რა ადგილი ეთმობა გეოგრაფიულ მონაცემებს მილუტინის სამხედრო სტატისტიკაში? მილუტინის სამხედრო სტატისტიკაში გეოგრაფიული მონაცემები წარმოდგენილია „როგორც ნაწილი დიდი მთელისა". ეს იმით აიხსნება, რომ მილუტინს სამხედრო ძალა და სამხედრო საშუალებანი გაცილებით უფრო ფართო გაგებით ესმის, ვიდრე მის წინამორბედთ. მისი გაგებით სამხედრო ძალა მარტო ჯარი როდია, ან თუნდაც მარტო შეიარაღებული ნაწილი ხალხისა, არამედ ყველა საშუალება და ღონისძიება საზოგადოდ ერთობლიობაში, რაც აუცილებელია სახელმწიფოში თავდაცვითი თუ შეტევითი ომის საწარმოებლად (გვ. 52). მილუტინის სამხედრო სტატისტიკა არ იფარგლება ჯარების აღრიცხვით და მათი წყობილების აღწერით, ეს საგანი მისი სტატისტიკის მხოლოდ ნაწილს შეადგენს. ის ამბობს: „სამხედრო ძალა მოიცავს საერთოდ ყველა საშუალებას, რაც კი სახელმწიფოს გააჩნია თავისი საგარეო უშიშროების უზრუნველსაყოფად ან თავისი პოლიტიკური მიზნების იარაღის ძალით მისაღწევად; აქედან სამხედრო სტატისტიკაც მოიცავს სახელმწიფოს თითქმის მთელ შედგენილობას, განიხილავს-რა მასში ყველა ელემენტს სამხედრო თვალსაზრისით, თავდაცვითი თუ შეტევითი ომის წარმოების საშუალებათა მიმართებაში. ამგვარად, სამხედრო სტატისტიკაში აუცილებლად უნდა შედიოდეს გეოგრაფიული მონაცემებიც იმ ხარისხით, რამდენადაც ამ მონაცემთა გამოკვლევა აუცილებლად საჭიროა სახელმწიფოს სტრატეგიული შედგომარეობის გამოსარკვევად მეზობლების მიმართ, მისი თავდაცვისა და შეტევის საშუალებათა გასათვალისწინებლად. სამხედრო სტატისტიკის მსგავსი განსაზღვრებისაგან მისი დამოკიდებულება სამხედრო გეოგრაფიასთან თავისთავად ირკვევა; ვინაიდან ეს უკანასკნელი ხდება მასალად პირველისათვის; სამხედრო სტატისტიკა კი, კრებს-რა მონაცემებს სამხედრო გეოგრაფიიდან, აწარმოებს ამ მონაცემთა გამოკვლევას განსაზღვრული მიზნით და სხვა მონაცემებ-

თან კავშირში. სწორედ ასეთივე ურთიერთობაა სტატისტიკასა და გეოგრაფიას შორის საერთოდ" —დაასკვნის მილუტინი (გვ. 54—55).

სამხედრო სტატისტიკის ასე განმარტება, როგორც მას მილუტინი იძლევა, ავტორის უნებლიეთ ხელს უშლის მისივე ცდას, მიმართულს იქითკენ, რომ სამხედრო სტატისტიკამ სამხედრო გეოგრაფიის ადგილი დაიკავოს. თუ კი სამხედრო სტატისტიკაში აუცილებლად უნდა შედიოდეს გეოგრაფიული მონაცემები სახელმწიფოს სტრატეგიული მდგომარეობის გამოსარკვევად, მისი თავდაცვისა და შეტევის საშუალებათა გასათვალისწინებლად, თუ კი სამხედრო გეოგრაფია მასალას აწვდის სამხედრო სტატისტიკას, სამხედრო სტატისტიკა კრებს მონაცემებს სამხედრო გეოგრაფიიდან, მაშინ საკმარისია შევთანხმდეთ, რომ ამ მონაცემთა გამოკვლევის უფლებაც სამხედრო გეოგრაფიას ექნეს, და სამხედრო გეოგრაფია სამხედრო ცოდნის სრულუფლებიან დარგად, სამხედრო მეცნიერებად დარჩება. არ უნდა შეგვზღუდოს გეოგრაფიის სახელის ეტიმოლოგიურმა მნიშვნელობამ (მით უფრო, როცა ეს მნიშვნელობა შეიძლება გაგებულ იქნას ვიწროდ და ფართოდაც, ცნობილია, რომ ერატოსთენემ ჩვენს მეცნიერებას სახელი „გეოგრაფიკა" უფრო მსაზველობითი-გრაფიკული გაგებით უწოდა, მაგრამ შემდგომ ჩვენი გაგება სახელი გეოგრაფიისა გადახალისდა), არ უნდა შეგვზღუდოს აგრეთვე გეოგრაფიის განვითარების დონემ უძველეს ეტაპზე, როცა გეოგრაფია საგანთა და მოვლენათა აღნუსხვას და აღწერას აწარმოებდა მხოლოდ. ფაქტების დაგროვება არა მარტო გეოგრაფიის, არამედ ყველა სხვა დისციპლინისათვისაც დამახასიათებელი ეტაპი იყო ცოდნის ამ დარგთა ჩასახვის პერიოდში, ფაქტების გაანალიზება, მეცნიერული კვლევა, ზოგად იდეათა და დასკვნათა გამოყვანა კი შემდეგ დაიწყო. გეოგრაფიასაც ასე მოუხდა. ჯერ კიდევ მილუტინის დროსაც, მისივე თქმით, უძირითადესი საწყისებიც კი არ იყო სამხედრო გეოგრაფიისათვის განმტკიცებული, თითქმის ყოველი ავტორი უარყოფდა ყველაფერ ძველს და ცდილობდა შეექმნა რაიმე ახალი, მეცნიერებათა თვით სახელწოდებასა და მათ მნიშვნელობაშიაც ვერ ახერხებდნენ შეთანხმების მიღწევას და სამხედრო გეოგრაფიას ყოველი ავტორი თავისებურად საზღვრავდა (გვ. 5). ამ პირობებში არაბუნებრივად არ მიგვაჩნია, რომ თვით მილუტინიც ცდილიყო შეექმნა რაიმე ახალი. მაგრამ მილუტინის მიერ შექმნილი ახალი დარგი, მისი სამხედრო სტატისტიკა, ავტორის სურვილის წინააღმდეგ, ისევ ძველი, ნაცადი გზით, სამხედრო გეოგრაფიის სახელით წარიმართა. მილუტინის მიერ სამხედრო სტატისტი-

კისათვის გამიზნებული პროგრამული მოსაზრებანი მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ისევ სამხედრო გეოგრაფიას განუკუთვნა. ამიტომაც, ჩვენც, სრულიად სამართლიანად, მილუტინს სამხედრო გეოგრაფიის ფუძემდებლად ვთვლით რუსეთში.

მაშ, ასე: მილუტინი ომის თეატრის ან მთელ სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართებაში კრიტიკულად გამომკვლევ სამეცნიერო დარგად სამხედრო სტატისტიკას სთვლის, სამხედრო გეოგრაფიას კი აკისრებს გეოგრაფიულ მონაცემთა უბრალო აღმნუსხველი და აღმწერი ცოდნის დარგის როლს. თუ კი ის შეიძლებოდა, რომ სამხედრო სტატისტიკას სამხედრო გეოგრაფიის მასალა გადასცემოდა საკვლევად, ისიც უნდა ყოფილიყო შესაძლებელი, რომ მომხდარიყო პირიქით, გაძლიერებულიყო, გაღრმავებულიყო სამხედრო გეოგრაფია მასზე სამხედრო-სტატისტიკური ხასიათის მასალის გადაცემით; მაგრამ, არა, ეს მილუტინისათვის მიუღებელია, რადგან ჯერ ერთი —გეოგრაფიის თვით სახელწოდების ეტიმოლოგიური მნიშვნელობა მას ამის უფლებას არ აძლევს, ცოდნის ისეთ დარგს, რომელიც აღნუსხვა-აღწერას ისახავს მიზნად, კვლევას ვერ აკისრებს, მეორე— ბუნებრივი ფაქტორების შემსწავლელ გეოგრაფიას არიდებს ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების შესწავლას. ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, რათ აუქცია გვერდი მილუტინმა სამხედრო გეოგრაფიას, როგორც სახელმწიფოს სამხედრო მდგომარეობის შემსწავლელ დისციპლინას, და რათ მისცა სამხედრო სტატისტიკას უპირატესობა სახელმწიფოს სამხედრო ძალთა და საშუალებათა შესწავლის საქმეში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თავის საერთო მსჯელობაში მილუტინი გზადაგზა ზოგიერთ ისეთ მოსაზრებასაც გამოთქვამს, რომელიც ჩვენთვის მისაღებია, მაგრამ, რამდენადაც ეს მოსაზრებანი მთლიანად მიმართულია სამხედრო გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დარგის, უგულებელყოფისაკენ და მისი სამხედრო სტატისტიკით შეცვლის ცდისაკენ, ამდენად ესენიც ნაკლებად დამაჯერებელ საბუთებს წარმოადგენენ მილუტინის საერთო შეხედულებათა სისწორისათვის.

მაგალითად, ჩვენც უდავოდ მიგვაჩნია, რომ თუ ჩვენი მიზანი იქნება არა მარტოოდენ ფაქტიური ცნობების შეძენა, არამედ ომის თეატრის ან მთელ სახელმწიფოთა კრიტიკულად გამოკვლევა, სტრატეგიულ მიმართებაში, მაშინ აუცილებელია მნიშვნელოვნად გავაფართოვოთ მოსაზრებათა არე, მათ საფუძვლად მივიღოთ, ადგილის გარდა, ყველა ის მონაცემი, რომელიც ყოველ სახელმწიფოში სა-

ზოგადოდ საზღვრავს მის საშუალებებს და წესებს ომის წარმოებისათვის, ვარგისობა და არახელსაყრელობა გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობისა, ზოგად სამხედრო მოსაზრებათა მიმართებაში, აქედან კი გამოკვლევა გავრცელდება სახელმწიფოს თითქმის მთელ შედგენილობაზე და უკვე ზოგადი მიზნისაკენ მიგვიყვანს: სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების განსაზღვრისაკენ სამხედრო მხრივ. ისიც მისაღებია, რომ ომის თეატრის სტრატეგიული გამოკვლევის დროს შეუძლებელია შემოვიფარგლოთ მარტოოდენ გეოგრაფიული მონაცემებით და უგულებელვყოთ ყველა სხვა მოსაზრებანი, როგორც, მაგალითად, პოლიტიკური, ზნეობრივი და სხვ. და სხვ. ცალმხრივი იქნება ის სტრატეგიული თეორიები, რომლებიც დაემყარება მარტოოდენ ერთი გვარეობის მოსაზრებებს. კიდევ უფრო მისაღებია მილუტინის შეხედულება ხალხის ცხოვრებისა და ბუნების პირობების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომ მარტოოდენ ქვეყნის ადგილობრივი თვისებები არ აპირობებენ ხალხთა და სახელმწიფოთა ცხოვრებას. საკუთარი სწორი შეხედულებისაა მილუტინი აგრეთვე მეცნიერების შესახებ საერთოდ, როცა ამბობს, რომ მარტოოდენ მონაცემთა აღრიცხვა, რაგინდ სისტემატური წესით დალაგდეს ისინი, ჯერ კიდევ ვერ შესძლებს მეცნიერების შექმნას, მეცნიერებას ჰქმნის არა მარტო ერთი აღწერა მონაცემთა ან მოვლენათა, არამედ ის ლოგიკური ანალიზი, რომლითაც ეს კერძო მონაცემები ან მოვლენები შეირწყმებიან იდეათა ერთ. მოხდენილ მთლიანობად. მეცნიერება ვერ დაკმაყოფილდება მარტოოდენ ფაქტიური ცნობებით, იგი მოითხოვს ყოველი საგნის კრიტიკულ გამოკვლევას, სხვადასხვა მონაცემის ერთმანეთთან დაპირისპირებას და მათზე მსჯელობას ზოგად იდეათა და დასკვნათა გამოსაყვანად. ნაწილობრივ ისიც მართალია, რომ არაა საჭირო და თითქმის შეუძლებელიცაა აიწეროს ადგილის ყოველი წვრილმანი მოვლენა მათი განხილვით სამხედრო თვალსაზრისით, რადგან ყველა შესაძლო შემთხვევის წინასწარ გათვალისწინება ვერ ხერხდება. მაგრამ ეს და ზოგიერთი სხვა მართალი აზრი მაინც, ვამეორებთ, დამაჯერებელს ვერ ხდის მილუტინის ძირითად არასწორ კონცეპციას გეოგრაფიის და კერძოდ სამხედრო გეოგრაფიის არსისა და კომპეტენციის ფარგლების შესახებ.

დაუმორჩილა-რა სამხედრო გეოგრაფია სამხედრო სტატისტიკას, მილუტინმა სახელმწიფოს სამხედრო ძალთა და საშუალებათა შესწავლაში დომინირებული ადგილი მიაკუთვნა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო წყობილება, დადგენილებანი, ფინანსები,

სამხედრო სისტემა, შეიარაღებული ძალები და ა. შ., გეოგრაფიული საგნები და მოვლენები კი თითქმის სრულიად მიჩქმალა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, მათ მხოლოდ იმდენად შეეხო, რამდენადაც ქვეყნის სტრატეგიული მდგომარეობის გამოსარკვევად გამოადგებოდა. ამან თავი იჩინა არა იმდენად პროგრამაში, რომელიც მილუტინმა შექმნა სამხედრო სტატისტიკისათვის და რომელსაც გავეცნობით წინამდებარე ნაშრომის მეხუთე თავში, სადაც სამხედრო გეოგრაფიის თემატიკას განვიხილავთ, რამდენადაც ამ პროგრამის მიხედვით ავტორის მიერ შედგენილ თხზულებაში—„პირველი ცდანი, სამხედრო სტატისტიკისა“ (იხ. „Первые опыты военной статистики“, წიგნი I, რომელშიაც მეთოდოლოგიური ხასიათის სტატიის გარდა სამხედრო გეოგრაფიისა და სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ, რომელიც ნაშრომს შესავალის სახით აქვს წინ წამძღვარებული, მოთავსებულია „გერმანიის კავშირის პოლიტიკური და სამხედრო სისტემის საფუძვლები“, აგრეთვე წიგნი II „პრუსიის სამეფოს სამხედრო სტატისტიკა“; პირველი წიგნი გამოცემულია 1847 წელს, ხოლო მეორე წიგნი—1848 წელს). მილუტინს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული სხვა სამხედრო ავტორთა ცდა—მოეცათ თავის თხზულებებში გეოგრაფიული მონაცემები არა ქვეყნის გეოგრაფიული დახასიათებისათვის, არამედ თავისი საკუთარი იდეების განსამარტავად ან რაიმე სტრატეგიულ დასკვნათა გამოსაყვანად. მან იცოდა, რომ სპეციალურ სამხედრო-გეოგრაფიულ თხზულებათა გარდა, ან ქვეყნის სამხედრო აღწერისა და ომის თეატრის სტრატეგიული განხილვის შემცველ ნაშრომთა გარდა, რომლებშიაც ზოგადი სტრატეგიული მსჯელობა კი არაა, არამედ კერძო, ცალკეული შენიშვნები სხვადასხვა გეოგრაფიულ საგანზე, ბევრგან გვხვდება აგრეთვე „ომის თეატრების აღწერა მათი სტრატეგიული თვისებების გამოკვლევით. თითქმის ყველა მწერალი, რომელთაც გადმოცემული აქვთ რომელიმე ლაშქრობის ან ომის ისტორია, იწყებდნენ იმ ადგილის მიმოხილვით, სადაც სამხედრო მოქმედებანი სწარმოებდა, ზოგჯერ კი მსჯელობდნენ გეოგრაფიულ, სტატისტიკურ და პოლიტიკურ მონაცემებზე, ომის ზოგადი გეგმის მოხაზვისა და მათ მიერ აღწერილი ამბების მიმართებაში. მსგავსი ნაწყვეტები გვხვდება გენერალ ჟომინის, კლაუზევიცის, ბუტურლინისა და სხვათა და სხვათა თხზულებებში. ცხადია, ყველგან მსჯელობა ეხება მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ ეპოქას, რომელზედაც ავტორი მოგვითხრობს, ეს მსჯელობა ემყარება საქმის თანადროულ მდგომარეობას და სხვადასხვა მოსაზრებას, რომელნიც გეოგრაფიულ მონა-

ცემთა წრეს არ ეკუთვნიან. დასასრულ ბევრ თხზულებაში გვხვდება ცალკეული აზრები ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტისა და ხაზის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ, რაც ხმარდება ავტორთა იდეების განმარტებას, ან რაიმე სტრატეგიული დასკვნების გამოყვანას" (იხ. დასახელებული წიგნი I, გვ. 29). ამის მცოდნე ავტორისაგან შეიძლებოდა მოლოდინი გვქონოდა, რომ იგი მაინც გამოასწორებდა შემჩნეულ ნაკლს და ქვეყნის სამხედრო-გეოგრაფიული დახასიათების დროს თვალსაჩინო ადგილს დაუთმობდა გეოგრაფიულ მიმოხილვებს. მაგრამ მილუტინი ამის მაგალითს არ გვაძლევს. მისი კრძალვა და რიდი, გამოთქმული ნაშრომის შესავალში, რომ „აღნიშნული მოსაზრებანი სამხედრო გეოგრაფიისა და სამხედრო სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ დაგვრჩენია მხოლოდ გავშალოთ და დავადასტუროთ თვით საქმეზე შესრულებით: რაგინდ ძნელი იყოს ეს წამოწყება, რაგინდ მცირე იმედს იძლეოდეს იგი წარმატებისათვის, მაინც წარმოვადგენთ მკითხველთა სამსჯავროს წინაშე ზოგიერთს ჩვენს ცდასაო" (გვ. 69),—მთლად უსაფუძვლოც არ შეიქნა: ნაშრომის ერთ ნაწილში, სადაც, ჩვენის აზრით, გეოგრაფია სრულად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, ის თითქმის არც კი იგრძნობა და ტივტივებს ავტორის საერთო პოლიტიკური მსჯელობის მორევში. ამას ისიც დაგვიმოწმებს, რომ 33-გვერდიანი მიმოხილვა, რომელშიაც მოცემულია ქვეყანა (ტერიტორია), ქვეყნის ტოპოგრაფიული ხასიათი, სამიმოსვლო გზები, ჰავა, ნიადაგები, მეურნეობა, მოსახლეობა, ამ საკითხებს შორის მოცულობის მხრივ ისეა განაწილებული, რომ უმეტესი დრო და ადგილი სოციალ-ეკონომიურ საკითხებს ეთმობა. სახელდობრ, ქვეყნის მდებარეობა, ფართობი, სანაპირო ზღვები, მცხოვრებთა რაოდენობა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი შედგენილობა მოცემულია 12 ბწკარში; ქვეყნის ზედაპირი დახასიათებულია 2 გვერდზე, მდინარეები 10 ბწკარში და ავტორი თითქოს ისწრაფვის გაეცალოს ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებს და გადავიდეს სამიმოსვლო გზებზე, რასაც 7 გვერდზე მეტს უთმობს; შემდეგ ეხება ჰავასა და ნიადაგებს, როგორც სამხედრო საშუალებებს, ამ დიდ საკითხებს უთმობს სამიოდე ბწკარს; მეურნეობა განხილულია ორიოდე გვერდზე, მთამადნეული 10 ბწკარში, ხოლო მოსახლეობა კი გაშლილია 17 გვერდზე, ე. ი. მას უჭირავს მიმოხილვაში ნახევარზე მეტი ადგილი. დანარჩენ თავებს, როგორიცაა გერმანიის კავშირის პოლიტიკური სისტემა, საერთო სამხედრო სისტემა, შეიარაღებულ ძალთა მდგომარეობა, ეთმობა წიგნში 113 გვერდი. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ

თვით ის მცირეოდენი გეოგრაფიული ცნობები, რაც მილუტინს გერმანიის სამხედრო მდგომარეობის დასახასიათებლად აქვს მომარჯვებული, მათს უბრალო დასახელებას უფრო წარმოადგენს, ვიდრე სამხედრო თვალსაზრისით განხილვას და შეფასებას. ამისათვის საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ნიმუში: „ქვეყანა (ტერიტორია), რომელიც გერმანიას უპირავს, მეტად ნაირგვაროვანი თვისების მქონეა. ადგილის ხასიათი იცვლება მონაცვლეობით გადასვლით მაღალი, ალპური მთებიდან ტალღებრივ და დასასრულ სრულიად დაბალი სიბრტყის ადგილზე. სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი გადაკვეთილია დაახლოებით 500 ვერსის მანძილზე ალპის მთავარი ქედით, რომლის მწვერვალები ჰქმნიან მუდმივი თოვლის უწყვეტ ზოლს, ხოლო ფერდობები, კონტრფორსები და გვერდითი ქედები, გადასერილნი ღრმა ხეობებით და ქვაბურებით, ვრცელდებიან განით 200 ვერსამდე და ფარავენ ტიროლის, ზალცბურგის, შტირიისა და ილირიის თითქმის მთელ ფართობს (ე. ი. ავსტრიის ყველა სამხრეთულ სამფლობელოებს გერმანიის კავშირის ფარგლებში). გერმანიის მთელი შუა ნაწილი, ისევე როგორც სამხრეთ-დასავლეთიც—დაფარულია მეორეხარისხოვანი მთებით, რომლებიც მეტნაწილად ტყიანია, მაგრამ დამრეცია და თანდათან ერწყმის დასახლებულ და დამუშავებულ, ტალღებრივ ადგილს“ (გვ. 82). ამას მოსდევს მთების დასახელება, რითაც თავდება ზედაპირის დახასიათება. მდინარეებიც ასევეა წარმოდგენილი: „მდინარეთა და ნაკადულთა ურიცხვი რაოდენობა უხვად რწყავს გერმანიის ყველა ნაწილს. მათგან 60-მდე სანაოსნოდაა გამოსადეგი; მაგრამ თვით გერმანიის ფარგლებში ზღვაში აქვთ შესართავი მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან მდინარეს—ოდერს, ელბას, ვეზერს, ჩრდილო ემსს. უმნიშვნელოვანესნი კი—რაინი და დუნაი შესართავებით სხვას ეკუთვნიან, ერთი—ჰოლანდს და მეორე – რუსეთს. ადრიატიკის ზღვას გერმანიის ფარგლებში არც ერთი მნიშვნელოვანი მდინარე არ ერთვის.—ალპები, რომლებიც აქ ზღვის ნაპირს უახლოვდებიან, თითქოს ეღობებიან გერმანიისაკენ მისასვლელებს“ (გვ. 84). ამის მეტი აქ არაფერია ნათქვამი მდინარეების შესახებ. ასევე ორიოდე სიტყვითაა ნახსენები ჰავა და ნიადაგები: „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძირითადი მონაცემი (ელემენტი), რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სამხედრო საშუალებებს—არის მისი წარმოებითობის ბუნებრივი პირობები, ე. ი. ჰავა, ნიადაგის ნაყოფიერება და მისი დამუშავების უნარიანობა. შემდეგ თვითონ ხარისხი მიწის დამუშავებისა და ყველა მის საწარმოო ძალთა სარფიანი გამოყენებისა (ფიზიკური კულტურა)—დამოკიდებულია

ქვეყნის დასახლებულობაზე, მცხოვრებთა შრომისმოყვარეობაზე და მის სარეწაო საქმიანობაზე. გერმანიაში ჰავა და ნიადაგი საერთოდ ხელშემწყობია ფიზიკური კულტურისათვის,—ხოლო მის იმ ნაწილებში, სადაც ბუნება უფრო მწირია, მას სძლევს გერმანული შრომისმოყვარეობა“ (გვ. 92). აი, ესაა და ეს, ქვეყნის ჰავასა და ნიადაგებზე მეტი არაფერია ნათქვამი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ცნობას რაინის შესახებ, რაც მოცემულია წიგნის ბოლოს საერთო დასკვნებში გერმანიის სტრატეგიული მდგომარეობის საკითხის გარკვევასთან დაკავშირებით, მილუტინის გეოგრაფიული ცნობები მისი ნაშრომის პირველ წიგნში მხოლოდ აქ მოყვანილი მაგალითებით იფარგლება.

ამგვარად, მილუტინის სამხედრო სტატისტიკაში სამხედრო-გეოგრაფიული მონაცემები ჯეროვანი მოცულობით და ხარისხით არ არის წარმოდგენილი. თუ მილუტინის გასამართლებლად ამ შემთხვევაში იმას ვიტყოდით, რომ მან აკი სამხედრო სტატისტიკა ამჯობინა სამხედრო გეოგრაფიას და აქედან გამომდინარე გეოგრაფიულ გარემოს, ცხადია, შედარებით ნაკლებ ყურადღებასაც მიაქცევდა სახელმწიფოს სამხედრო მხრივ შესწავლის საქმეშიო, ასეთი მსჯელობაც არ იქნებოდა სწორი. გეოგრაფიული პირობების გაცნობა მილუტინმა თავის სამხედრო სტატისტიკასაც ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაუსახა და, რაკი დაუსახა, კიდეც მართებულად უნდა განეხორციელებინა ეს მიზანი. არ შეიძლება არ ითქვას, რომ ეს ხდება მაშინ, როდესაც სამხედრო სპეციალისტები—არა მარტო გეოგრაფები, არამედ ისტორიკოსებიც და ომის თეორიის შემოქმედნიც, გეოგრაფიულ ფაქტორებს ჯეროვან ყურადღებას აქცევენ. კლაუზევიცს, როგორც ვიცით, თავის ფილოსოფიურ ნაშრომში „ომის შესახებ“ სპეციალური და საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი გეოგრაფიული მოვლენების შეფასებისათვის სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით. მოვიგონოთ მისი ნაშრომის მეექვსე ნაწილი—თავდაცვა და ამ ნაწილის მე-15, 16 და 17 თავები: თავდაცვა მთებში (362—380 გვ.), მე-18 და 19 თავები: მდინარეების დაცვა (380—396 გვ.), მე-20 თავი: ა) ჭაობების დაცვა (396—397 გვ.), ბ) შეტბორვა (398—401 გვ.) და 21-ე თავი: ტყეების დაცვა (401—402 გვ.), რომ არა ვთქვათ რა დანარჩენ ნაწილებსა და თავებზე, სადაც ავტორი გვითვალისწინებს გეოგრაფიულ მონაცემთა როლს საომარ ბრძოლებში. ეხება-რა სხვადასხვა გარემოებას, რომელიც ყოველთვის თან ახლავს საბრძოლო საშუალებათა მომარჯვებას ბრძოლის წარმოების დროს, და რომლებიც მეტ-ნაკლებად გავლე-

ნას ახდენენ ბრძოლაზე, კლაუზევიცი ასახელებს სამს, ესენია: ადგილის პირობები (ფართო გაგებით ქვეყანა და მოსახლეობა), დრო (დღეღამე თუ წელიწადის დრონი) და ამინდი (მაგალითად, ნისლი, მეტადრე ამინდის უჩვეულო გამოვლინება—ძლიერი ყინვები და ა. შ.). ეს სამივე გარემოება, მისი აზრით, აუცილებლად საჭიროებს გათვალისწინებას როგორც ტაქტიკისათვის, ისე სტრატეგიისათვისაც. მილუტინს, რომელსაც წინ უსწრებდა კლაუზევიცი, შეეძლო ფართოდ გამოეყენებინა ამ დიდი მოაზროვნის მდიდარი მემკვიდრეობა სამხედრო გეოგრაფიისათვის, მაგრამ მან სამხედრო გეოგრაფიას დამოუკიდებლად სამხედრო სტატისტიკისაგან მეტად მცირე როლი მიუჩინა—გეოგრაფიულ მონაცემთა აღნუსხვა და აღწერა და არა მათი გაანალიზება და გამოკვლევა, და სამხედრო ხელოვნებაში, კერძოდ სტრატეგიაში, გეოგრაფიული მონაცემები არა-საკმაო სიღრმითა და მოცულობით შეიტანა. ამ უკანასკნელ გარემოებას მილუტინი უთუოდ იმით გაამართლებდა, რომ ჯერ ერთი—გეოგრაფიულ მონაცემთა სტრატეგიული მნიშვნელობა, დადგენილი ერთი რომელიმე დროისათვის, არ შეიძლება ძალაში დარჩეს ყველა სხვა დროისათვის, და მეორე—ყოველგვარი სტრატეგიული მსჯელობა აუცილებლად ცალმხრივი იქნება, თუ იგი მარტოოდენ გეოგრაფიულ მონაცემებს დაემყარა (გვ. 30). ეს აზრი თავისთავად სწორია, მაგრამ იგი მილუტინის თეორიასა და მეტადრე პრაქტიკაში ისეთ უკიდურესობას აღწევს, რომ მას გეოგრაფიულ მონაცემთა მნიშვნელობის საგრძნობი შესუსტება მოსდევს. მართლაც, რატომ არ შეიძლება შევანელოთ მილუტინის უკიდურესი აზრი და ვთქვათ, რომ გეოგრაფიულ მონაცემთა სტრატეგიული მნიშვნელობა, დადგენილი ერთი რომელიმე დროისათვის, შეიძლება ძალაში დარჩეს სხვა დროისათვისაც, თუ ყოველთვის არა—ზოგჯერ მაინც, თუ ყველა ობიექტისათვის არა—ზოგიერთი მათგანისათვის მაინც, თუ ყოველმხრივ არა—ნაწილობრივ მაინც. ან კიდევ, როცა ვამბობთ, სტრატეგიული მსჯელობა ცალმხრივი იქნება, თუ იგი მარტოოდენ გეოგრაფიულ მონაცემებს დაემყარებაო, ეს თავისთავად სწორი აზრი რათ უნდა გამორიცხავდეს გეოგრაფიულ მონაცემებზე მსჯელობის მიზანშეწონილებას, როდესაც სხვა მონაცემებთან ერთად მათი გათვალისწინებაც ხდება საჭირო, ან ზოგჯერ აუცილებელიცაა მათი წინა პლანზე წამოწევა სხვა მონაცემებთან შედარებით. მილუტინმა აზრის უკიდურესობაში გადაყვანის შედეგად შეასუსტა ყურადღება გეოგრაფიული პირობებისადმი, მაშასადამე, სამხედრო გეოგრაფიისადმი, რაც არაფრით არ შეიძლება იქნას გამართლებული. გეო-

გრაფია ერთ-ერთ სამხედრო სამეცნიერო დარგად უნდა დარჩეს როგორც სახელმწიფოს ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შემსწავლელი დისციპლინა, და არა მარტოოდენ გზადაგზა ცნობების მიმწოდებელ დარგად, მასალად საბრძოლო მოქმედებათა კერძო ამოცანების გადასაწყვეტად.

ჩვენის აზრით, გეოგრაფიის მეცნიერულობის საკითხის გადაუჭრელობა, რომელიც ასე მწვავედ იდგა მილუტინის დროს, და ის გარემოება, რომ გეოგრაფიის მეცნიერულობა გარკვეულად იქვის ქვეშ იყო მაშინ დაყენებული, დაღს ასვამს მილუტინის მთელ მსჯელობას გეოგრაფიაზე და კერძოდ სამხედრო გეოგრაფიაზე. დღეს ეს საკითხი სავსებით გადაჭრილია ცოდნის ამ დარგის სასარგებლოდ. გეოგრაფია მეცნიერებაა, მას აქვს თავისი საკუთარი კვლევის ობიექტი—დედამიწის ზედაპირი საერთოდ და მისი ცალკეული ადგილები, ქვეყნები, ლანდშაფტები კერძოდ, აქვს აგრეთვე მას თავისი საკუთარი თვალსაზრისიც საგნებისა და მოვლენების განსახილველად. გეოგრაფია საგნებისა და მოვლენების არა მარტო აღწერას, არამედ ახსნა-განმარტებას და კრიტიკულ კვლევასაც აწარმოებს, მას გამოჰყავს მოვლენათა გაანალიზების საფუძველზე ზოგადი იდეები, ზოგადი დასკვნები, ასე ვთქვათ, კანონები. გეოგრაფია არაა მარტო ბუნებრივი ფაქტორების შემსწავლელი მეცნიერება, მას ადამიანის, საზოგადოების, სახელმწიფოს სოციალ-პოლიტიკურ სფეროშიაც აქვს საკვლევი საკითხები: გეოგრაფიულ გარემოსა და ადამიანის ურთიერთ დამოკიდებულება. ცხადია, ამ საკითხებს საბჭოთა გეოგრაფია ამუშავებს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძველზე, რის გამოც თავიდან აცილებულია საფრთხე ადამიანის და მისი ცხოვრების დაქვემდებარებისა ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოსადმი. რაც შეეხება გეოგრაფიის ერთ-ერთ სახეობას—სამხედრო გეოგრაფიას, იგი გეოგრაფიული მეცნიერების სახეობაა, მისი ერთ-ერთი დიდად მნიშვნელოვანი დარგი, რაც თვით მის სახელწოდებაშია მოცემული. სამხედრო გეოგრაფია შეისწავლის სახელმწიფოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ, ეკონომიურ-გეოგრაფიულ და პოლიტიკურ-გეოგრაფიულ საგნებსა და მოვლენებს, არა მარტო აღნუსხავს და აღწერს მათ, არამედ გამოიკვლევს კიდეც, როგორც ეს სამეცნიერო დისციპლინას შეეფერება. სამხედრო გეოგრაფია თავის შესასწავლ ობიექტებს სამხედრო თვალსაზრისით მიუდგება, მაგრამ, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი შემოიფარგლება მარტოოდენ ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემებით და უგულებელყოფს ეკონომიურ-გეოგრაფიულ და პოლიტიკურ-გეოგრაფიულ მო-

ნაცემებს, საერთოდ ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ფაქტორებს, სოციალურ ფაქტორებს. სამხედრო-გეოგრაფიული ცოდნა გამოყენებული იქნება ქვეყნის, სახელმწიფოს სტრატეგიული მდგომარეობის შესაფასებლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის გამო ჩვენი სტრატეგიული თეორიები მარტოოდენ ერთი გვარეობის მოსაზრებებს დაემყარებიან და, მაშასადამე, ცალმხრივად განვითარდებიან. სამხედრო-გეოგრაფიული საგნები და მოვლენები გამოყენებული იქნებიან ომის ცალკეული ბრძოლებისათვის ტაქტიკური მოსაზრებების გამოსამუშავებლად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადგილის სამხედრო-გეოგრაფიული მიმოხილვა დაიტვირთება ყოველგვარი წვრილმანით, დავაკისრებთ მას გაითვალისწინოს მოსალოდნელი ბრძოლის პროცესში ყველა შესაძლო შემთხვევა და დაიწყოს ერთი რომელიმე გარემოებისათვის ხელსაყრელი ან არახელსაყრელი შემთხვევის გაზოგადება, მისი გავრცელება ყოველგვარ სამხედრო მოქმედებაზე გარემოების მიუხედავად. ეს იმდენად ცხადი დებულებებია, რომ მათზე შეჩერება და დასაბუთებისათვის სიტყვის განგრძობა საჭიროდ არ მიგვაჩნია.

სამხედრო გეოგრაფია, რომელსაც ას წელიწადზე მეტია საფუძველი ჩაეყარა, სავსებით ჩამოყალიბდა და მომწიფდა საბჭოთა ხანაში.

საბჭოთა სამხედრო გეოგრაფია, ითვალისწინებს-რა საუკუნოვან წარსულ გამოცდილებას, რაც სამხედრო გეოგრაფიამ თავისი განვითარების გზაზე განვლო, ახლებურად წარმართავს თავის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას. ჩვენი შეხედულებით შეცდომა იქნებოდა მიგვეჩნია სამხედრო გეოგრაფია არა-პოლიტიკურ მეცნიერებად და მილუტინის მსგავსად მისი ფუნქციები სხვა ე. წ. პოლიტიკურ მეცნიერებათათვის გადაგვეცა. არა-პოლიტიკური არც ერთი მეცნიერება არ არის, მაშასადამე, არც გეოგრაფიაა, და კერძოდ მისი სახეობაც—სამხედრო გეოგრაფია, ამიტომ სამხედრო გეოგრაფია საბჭოთა უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც მისი კათედრები გვაქვს, უფლებამოსილია და ვალდებულიცაა არკვიოს ქვეყნის, სახელმწიფოს სამხედრო ძალები და საშუალებანი, როგორც ფიზიკური, ისე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების გათვალისწინებით.

IV

სამხედრო გეოგრაფია მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე

სამხედრო გეოგრაფიის მდგომარეობის განმტკიცება საბჭოთა ხანაში.— ა. სნესარევის სამხედრო-გეოგრაფიული კონცეპცია.—ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის როლი და ადგილი სამხედრო მოქმედებათა შეფასების საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში წითელი არმიის სამხედრო აკადემიებში ჯეროვანი ყურადღება მიექცა სამხედრო გეოგრაფიის სწავლებას. ამ პერიოდის სამხედრო გეოგრაფთა შორის განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ ა. სნესარევზე, რომელიც მილუტინის შემდეგ ერთ-ერთი უდიდესი მეთოდოლოგი არის სამხედრო გეოგრაფიის დარგში. ა. სნესარევის ნაშრომი, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს, გამოქვეყნებულია მოსკოვში სამხედრო აკადემიის მიერ 1924 წელს ლითოგრაფიული ნაბეჭდის სახით (იხ. Снесарев А.—„Введение в военную географию“, მ. 1924 წ.). სნესარევის ეს ნაშრომი წარმოადგენს ლექციებს, დაწერილს ავტორის მიერ თავისი მსმენელებისათვის სამხედრო აკადემიაში. ნაშრომი 414 გვერდიანია და შეიცავს ცხრა თავს. პირველ თავში მოცემულია გეოგრაფიის ისტორიული მიმოხილვა (1—29 გვ.), მეორე თავში—გეოგრაფიის მეთოდოლოგია (30—55 გვ.), მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავები ეხება სტატისტიკურ მეთოდს და სტატისტიკას საერთოდ (56—246 გვ.), მეშვიდე და მერვე თავებში გაშუქებულია სამხედრო გეოგრაფიის წარსული, მისი შინაარსი, კვლევის მეთოდები (246—348 გვ.), მეცხრე თავი მიძღვნილია სამხედრო გეოგრაფიის მეთოდოლოგიისადმი (348—414 გვ.).

ა. სნესარევი იშვიათ ერუდიციას ამჟღავნებს საერთოდ გეოგრაფიისა და კერძოდ სამხედრო გეოგრაფიის სფეროში. იგი,

როგორც მისი ნაშრომიდან ჩანს, ღრმად ჩაწვდომია გეოგრაფიის და მისი სახეობის—სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვის, მათი განვითარების და თანამედროვე მდგომარეობის საკითხებს. ასევე საფუძვლიანად გაცნობია სტატისტიკური მეთოდის და მეცნიერების—სტატისტიკის (სახელმწიფოთმცოდნეობის გაგებით) საკითხებსაც და ყოველივე ეს მოხერხებულად აქვს მომარჯვებული თავის სწორ შეხედულებათა დასასაბუთებლად, რომ: 1. სამხედრო გეოგრაფია ზოგადი გეოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი სახეობაა, რომელიც ამავე დროს მჭიდრო კავშირშია სამხედრო მეცნიერებასთან, 2. გეოგრაფია და კერძოდ სამხედრო გეოგრაფია თვითმყოფ სამეცნიერო დისციპლინებს წარმოადგენენ, 3. სტატისტიკური მეთოდის მომარჯვება ყველა სამეცნიერო დარგს და, მაშასადამე, გეოგრაფიასაც სჭირდება კვლევა-ძიების დროს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს სამეცნიერო დარგები სტატისტიკის სახელით უნდა მოინათლონ, 4. მილუტინის მიერ სამხედრო გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, უარყოფა და მის ადგილზე სამხედრო სტატისტიკის დაფუძნების ცდა მიუღებელია, 5. სამხედრო გეოგრაფია არ უნდა შემოიფარგლოს მარტოოდენ იმ ფაქტორთა განხილვით, რაც სტრატეგიის სფეროში შედის, და ამით არ უნდა იქცეს იგი სტრატეგიის ერთ-ერთ დარგად. განვიხილოთ ა. სნესარევის მოსაზრებანი რამდენადმე დაწვრილებით.

ეხება-რა გეოგრაფიული ფაქტორის მნიშვნელობას სამხედრო საქმეში, სნესარევი ამბობს: „ადამიანი ომს აწარმოებს დედამიწის ზედაპირზე, ჰაერში და მიწის ქვეშ, ამდენად გეოგრაფიული ფაქტორი ომის მუდმივი თანამგზავრია. წარმოუდგენელია ომი გეოგრაფიის გარეშე ისე, როგორც სივრცის გარეშე... თეატრის ან რაიონის ზოგადი ხასიათი, მისი რელიეფი, ჰავა, მდინარეთა თვისება და მათი მიმართულება, გზების ქსელი, ბუნების სიმდიდრე თუ სიღარიბე, სანიტარია—ყველა ეს ფაქტორი, როგორც მიზეზიანი და აბეზარი კონტროლიორები ან მსაჯულნი, ამღვრევენ, სცვლიან, უარყოფენ ან ადასტურებენ ოპერაციულ განზრახვას. ვაი იმ სარდალს, რომელიც გეოგრაფიის დარგში წინდაუხედავი ან უვიცი აღმოჩნდება... გეოგრაფიის გავლენა ომზე და საომარ მოქმედებაზე მარადიულია... სამხედრო მეცნიერებათა შორის, როგორც ყოველთვის იყო აღიარებული, სამხედრო გეოგრაფიას მუდამ ერთ-ერთი საპატიო ადგილთაგანი ეჭირა... ყველა სამხედრო მეცნიერება ეზიარა გეოგრაფიას, აიკვსო პირამდე მისი შინაარსით, როგორც ღრუბელი გაიჟღენთოს წყლით... უკანასკნელ დროში, ამას ხაზი უნდა

გაესვას, ტექნიკის დიდმა გავლენამ სამხედრო საქმეზე საბაბი მოგვცა გვეფიქრნა, რომ გეოგრაფია აღარაა ისე ყოველმხრივი, გადავიდა მეორე პლანზე, დასთმო თავისი მთავარი პოზიციები. ახლა აღარაა, ამბობენ ტექნიკის მოთაყვანენი, არც გაუვალი ადგილები, არც გაწყვეტა ან მოუხერხებლობა კავშირგაბმისა, აღარაა ზამთრის მკაცრი განკარგულებანი, აღარაა ჭაობები, აღარაა მდინარეები. მაგრამ იმისათვის, რომ ტექნიკის საშუალებით ებრძოლო არახელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებს—ადგილის მიუვალობას, სიერცის მისადგომობას ტყვიის დამშენი მტრისათვის, მაღალ მიწისქვეშა წყალს, ქარის ტაქტიკურად გამოუსადეგარ თავისებურებას და სხვ.—საჭიროა მათი შესწავლა, მათი ტაქტიკური (უფრო იშვიათად—სტრატეგიული) გავლენის ძალის აწონ-დაწონა, ე. ი. მათი გაგება და აღიარება. აქედან,—თუ ტექნიკას კი შეუძლია შეასუსტოს ზოგ შემთხვევაში გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საჭირო არ იყოს მათი შესწავლა და შეფასება... იმის თქმაც კი შეიძლება, რომ გეოგრაფია ჩვენს დროში კიდევ უფრო ფართოდ და მრავალმხრივ ახდენს გავლენას სამხედრო საქმეზე, ვიდრე წინათ. მას შემდეგ, რაც თვითმფრინავებმა ჰაერი გადასერეს, გაზებმა გამოიწვიეს გაძლიერებული ინტერესი ამინდისადმი, სანგრებმა, მეტადრე ღრმა თაეშესაფარებმა, და ნალმების ომმა ადამიანის ყურადღება მიაპყრო დედამიწის ქერქისაკენ, მისი შრეებისაკენ, მიწისქვეშა წყლისაკენ და, ბოლოს, უაღრესად შორს სროლამ ინტერესი გამოიწვია ატმოსფეროსადმი, მისი ფენებისადმი, მისი ჰაერით გავსილობის ხარისხისადმი,—გეოგრაფიული ფაქტორები შეიჭრნენ სამხედრო საქმეში უფრო მეტად მძლავრ და ფართო ნაკადად" (გვ. 1—4). ამის შემდეგ სნესარევი არკვევს საკითხს—რა ურთიერთობაშია სამხედრო გეოგრაფია ერთის მხრივ ზოგად გეოგრაფიასთან და მეორე მხრივ სამხედრო მეცნიერებასთან, და ამბობს: „ჩვენი მეცნიერება ზოგადი გეოგრაფიისა და სამხედრო მეცნიერების შესაყარ გზაბოძალზე დგას; პირველისაგან იგი ღებულობს შინაარსს მისი რთული ელემენტებით და კვლევის მეთოდებს, ხოლო მეორისაგან თემების განხილვის თვალსაზრისს და მათს პროგრამულ განაწილებას. მაგრამ ჩვენს დროში სამხედრო გეოგრაფიის კავშირი ზოგად გეოგრაფიასთან ყოველმხრივია და სრული. ოდესღაც ის ზოგადი გეოგრაფიისაგან ღებულობდა მხოლოდ მისთვის უსაჭიროეს თემებს, როგორიცაა გზები, ომის თეატრის რელიეფი, მოსახლეობის მასა, მაგრამ ახლა, როცა ომები ზოგადსახალხო და ზოგჯერ თითქმის ზოგადმსოფლიო ხასიათს ატა-

რებენ (1914—1918 წ.წ. ომი), სამხედრო გეოგრაფია ყველა სფეროში სესხულობს მასალას ზოგადი გეოგრაფიისაგან: გასცილდა-რა ტოპოგრაფიის ძველ ჩარჩოებს, ჩვენი მეცნიერება დაეუფლა ომის თეატრებს, შემდეგ ზურგს, მერმე მთელ მეომარ ქვეყანას, მიიღო თავის მფლობელობაში ხალხებისა და სახელმწიფოების ცხოვრების და საქმიანობის ყველა მხარე და თავისი ამოცანების გაფართოვების გზაზე შემდგარმა სამხედრო გეოგრაფიამ თავისი ნასესხები მასალა ისეთ ფარგლებამდე გაზარდა, რომ დღეს იგი თვისობრივადაც და ოდენობითაც ფარავს დედა-მეცნიერების შინაარსს. მაგრამ, რჩება-რა ზოგადი გეოგრაფიის წარმოებულად, სამხედრო გეოგრაფია მჭიდრო ორგანულ კავშირში იმყოფება სამხედრო მეცნიერებასთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგადი გეოგრაფიიდან მიღებულ მთელ მასალას მისი პირვანდელი განაწილებით და მეცნიერული განმარტებით იგი გადაანაწილებს, შეიცნობს და განმარტავს სამხედრო ანალიზის, სამხედრო ინტერესების თვალსაზრისით, ე. ი. საბოლოო აზრით, ომში კერძო და ზოგად გამარჯვებათა მიღწევის მხრივ" (გვ. 4—5). სნესარევისათვის სადავო საკითხად არ ითვლება გეოგრაფიის და მისი სახეობის—სამხედრო გეოგრაფიის მეცნიერულობა. ეს ასედაც უნდა იყოს. სნესარევი მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში სწერს ამ ნაშრომს, ეს კი ისეთი ხანაა, როცა გეოგრაფიის მეცნიერულობის საკითხი არც ერთი სერიოზული მოაზროვნისათვის პრობლემატური აღარ არის. საკმარისია გეოგრაფიის ზრდისა და განვითარების ყველა ეტაპს იცნობდეთ, რომ ამ საკითხში მართებულად გაერკვიოთ. სნესარევი სწორედ ერთი იმ მოაზროვნეთაგანია, რომელიც ზედმიწევნით კარგად იცნობს გეოგრაფიის ჩასახვის, ზრდისა და განვითარების ყველა ეტაპს, დაწყებული ბაბილონელთა დროიდან და დამთავრებული ჩვენი დროით. თავის მოკლე ისტორიულ მიმოხილვაში სნესარევი გვაცნობს ბაბილონელთა, ბერძენთა (ჰეროდოტე, არისტოტელე, ერატოსთენე, ალექსანდრე მაკედონელი, სტრაბონი, კლავდი პტოლემე) და რომაელთა (იულიუს კეისარი, სენეკა, ტაციტი, პლინიუს-უფროსი) დამსახურებას გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე, ეხება საშუალო საუკუნეების ხანას, არაბთა, ბიზანტიელთა, ვენეციელთა, ნორმანთა ღვაწლს გეოგრაფიის სფეროში, ახასიათებს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ეპოქას, მოხსენებული ჰყავს კოლუმბი, ვასკო-და-გამა, მაგელანი, ტასმანი, კუკი, კოპერნიკი, კეპლერი, გალილეი, სნელიუსი, ნიუტონი, განსაკუთრებით ამახვილებს ჩვენს ყურადღებას მეცნიერული გეოგრაფიის აღორძინების ხანაზე, დახასიათებული ჰყავს ვარენიუსი, ალექსანდრე ჰუმბოლდტი, კარლ რიტერი,

პეშელი, რიხტჰოფენი, არ სტოვებს უყურადღებოდ ახალი დროის გეოგრაფიულ აღმოჩენებს და გამოკვლევებს აფრიკაში, აზიაში, ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ გვინეაში, პოლარულ ქვეყნებში. ამ მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ სნესარევი არკვევს საკითხის მეთოდოლოგიურ მხარეს—გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, მისი არსი, შინაარსი, მეთოდები. აქ იგი ასახელებს და აანალიზებს გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, თორმეტნაირ განსაზღვრებას: 1—„გეოგრაფია მთელი (იმ დროისათვის) ცნობილი დედამიწის ხაზოვანი გამოსახულებაა“ (პტოლემე), 2—დედამიწის „აღწერაა“ ანუ „გამოსახვა“, ე. ი. „მეცნიერება რუკების შესახებ“ (ერასტოსთენე, ამავე განსაზღვრებას იზიარებდა მერკატორიც), 3—„გეოგრაფია არის მეცნიერება დედამიწის შესახებ“, 4—„გეოგრაფია არის მეცნიერება დედამიწის აწმყოს შესახებ, რასაც ახსნის მისი წარსულით, ხოლო გეოლოგია მეცნიერებაა დედამიწის წარსულის შესახებ, რასაც ახსნის მისი აწმყოთი“ (მაკინდერი), 5—„გეოგრაფია არის ისტორია სივრცეში, ხოლო ისტორია გეოგრაფიაა დროში“ (ჰერდერი, მას იმეორებს ელიზე რეკლიუც), 6—„გეოგრაფია არის დედამიწის არა აღწერა, არამედ გაგება, მცოდნეობა—დედამიწისმცოდნეობა“ (რიტერი), 7—„გეოგრაფია არ არის დედამიწის აღწერა ან დედამიწისმცოდნეობა, იგი არის მეცნიერება დედამიწის ზედაპირის შესახებ“ (რიხტჰოფენი), 8—„გეოგრაფია შეისწავლის დედამიწას მთლიანობაში, ურთიერთქმედებას დედამიწის ზედაპირსა და მის შინაგან ნაწილს შორის“ (გერლანდი), 9—„გეოგრაფია იკვლევს ურთიერთ დამოკიდებულებებს, რომლებიც არსებობენ ორგანულ და არაორგანულ სამყაროს შორის “ (დევისი), 10—„გეოგრაფია არის მეცნიერება დედამიწის, როგორც ადამიანის საცხოვრებელი ადგილის, შესახებ“ (იგივე დევისი), 11—„გეოგრაფია არის მეცნიერება დედამიწის, როგორც სიცოცხლის ადგილსამყოფელის, შესახებ“ (იგივე დევისი), 12—„გეოგრაფია შეისწავლის დედამიწის სფეროს მთლიანობაში“ (გეიკი და სხვ.). არც ერთ ამ შეხედულებას სნესარევი არ იზიარებს. „თქმა იმისა, რომ გეოგრაფია შეისწავლის მთელ დედამიწას, თანაც ყოველმხრივ, ეს იქნება მხოლოდ დადასტურება ზოგიერთის აზრისა, რომ გეოგრაფია არის არა მეცნიერება, არამედ დედამიწისა და მის ბინადართა შესახებ სხვადასხვა ერთიმეორესთან დაუკავშირებელი ცოდნის აგლომერატი“—ამბობს სნესარევი და იქვე დასძენს, რომ ამჟამად გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ყველაზე უფრო მართებულ განსაზღვრებად ითვლებაო ალფრედ ჰეტნერის მიერ მოცემული განსაზ-

ღერება (გულისხმობს ჰეტნერის ნაშრომს—„გეოგრაფიის არსისა და მეთოდების შესახებ“, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა), სახელდობრ: ემყარება-რა გეოგრაფიის რიტერულ განსაზღვრებას—გეოგრაფია არის „მეცნიერება სივრცეებისა და მათი საგნობრივი გავსილობის შესახებო“, ჰეტნერი ამბობს, რომ გეოგრაფია არის ქოროლოგიური მეცნიერება დედამიწის ზედაპირის შესახებ, მისი საგანია—ცალკეული ქვეყნების ნიშნები და თვისებანი; ჰეტნერის უფრო სრული განსაზღვრება ასეთია: „გეოგრაფია ანუ ზოგადი დედამიწისმცოდნეობა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დედამიწას, როგორც ერთიმეორესთან სივრცობლივ-მიზეზობრივად დაკავშირებულ მოვლენათა ერთობლიობას“. გეოგრაფის ნამდვილი საზოქმედო სარბიელი ქვეყანათმცოდნეობაა—სთქვა ჰეტნერმა და ამ შეხედულებას სნესარევი სავსებით იზიარებს. სნესარევს აქვე მოჰყავს ლ. ს. ბერგის შეხედულებანი გეოგრაფიაზე, რომ „გეოგრაფია არის მეცნიერება ლანდშაფტების შესახებ“. ჩვენს მიზანს არ შეადგენს გავარკვიოთ აქ სხვადასხვა გეოგრაფის და მათ შორის სნესარევის შეხედულებათა სისწორე გეოგრაფიის არსსა და პრინციპებზე, ჩვენთვის მხოლოდ ისაა საყურადღებო, რომ სნესარევი, ემყარება-რა მის თანამედროვე ცნობილ გეოგრაფთა (ჰეტნერის, ბერგის, ემანუილ დე მარტონის და სხვ.) აზრებს, უდავოდ სთვლის, რომ „გეოგრაფიას აქვს თავისი შესწავლის საგანი და თავისი მეთოდი“ და, მაშასადამე, გეოგრაფია თვითმყოფი მეცნიერებაა (5—40 გვ.).

საკითხის ასევე ისტორიული თანმიმდევრობით გათვალისწინებით სნესარევი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სამხედრო გეოგრაფიაც მეცნიერებაა. მისი ნაშრომის მე-7 და მე-8 თავები ეხება სამხედრო გეოგრაფიის წარსულს, მის შინაარსს, კვლევის მეთოდებს, ხოლო მე-9 თავი სამხედრო გეოგრაფიის მეთოდოლოგიურ მხარეს (გვ. 246—414). სნესარევი იგონებს ინგლისელი სამხედრო გეოგრაფის ფიტცჯერალდ-ლის სიტყვებს, ნათქვამს ზოგადი გეოგრაფიის შესახებ, რომ „გეოგრაფიას, როგორც მეცნიერებას, თავისებური ადგილი უჭირავს—იგი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ადრე დაწყებული და ყველაზე უფრო გვიან გაგებული მეცნიერებაა“, და დასძენს: იგივე შეიძლება ითქვას სამხედრო გეოგრაფიაზედაც.

სნესარევის აზრით სამხედრო გეოგრაფია ცოდნის უძველესი დარგია. კიდევ მეტი, მას სამხედრო გეოგრაფია გეოგრაფიის უძველეს ფორმად მიაჩნია. სამხედრო-გეოგრაფიული ცნობები აუცილებელ საარსებო მოთხოვნილებას წარმოადგენდა თემისა და სახელ-

მწიფოს შექმნის უკვე უპირველეს საფეხურებზე, საჭირო იყო როგორც თავისი საკუთარი ქვეყნის, ისე მეზობლების სამხედრო საშუალებათა და შესაძლებლობათა ცოდნა—ცოდნა ხალხისა, ქვეყნისა, საშუალებებისა, გზებისა. სამხედრო-გეოგრაფიულ ცნობებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ ძველი აღმოსავლური ხალხები—ჩინელები, ინდუსები, სპარსელები, ეგვიპტელები, ებრაელები. ხალხთა ნაირგვარობისა და სიჭრელის მიუხედავად მუდამ და დაჟინებით თავს იჩენდა ხოლმე სამხედრო გეოგრაფიის ძირითადი თემები—ტ ე რ ი ტ ო რ ი ა (განსაკუთრებით გზები), ხ ა ლ ხ ი (მასა, მისი თავისებურებანი, დამოკიდებულება ომთან) და ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ნ ი (შინაარსი და ოდენობა). სამხედრო-გეოგრაფიული თემები მარადიულია, ისინი ომის აუცილებელი თანამგზავრია, და, რადგან ადამიანი ომობს,—ხოლო ის დიდი ხანია რაც ომობს,—იგი ამავდროულად მუშაობს სამხედრო-გეოგრაფიული ფაქტორების გამოკვლევის დარგშიაც. მიუხედავად მისი ასეთი სიძველისა, სამხედრო გეოგრაფია ჩვენს უახლეს დროამდე ვერ იყო შეცნობილი როგორც განსაზღვრული მეცნიერება მისთვის მკაფიოდ მოზომილი შინაარსით. პირიქით, ჩვენს წინ ამ მეცნიერების ისტორიული ბედის ასეთი სურათია: ან სხვა მეცნიერებათა ზღვაშია იგი შეცურებული, ან ეს სხვა მეცნიერებანი მისგან მასალას სესხულობენ. „იმ შორეულ ხანაში შეუძლებელი იყო და პრაქტიკულადაც საჭიროებას არ წარმოადგენდა შექმნილიყო მეცნიერების გამოკვეთილი სახე. სამხედრო-გეოგრაფიული ცნობები იშვიათად თავსდებოდა ცალკეულ დამოუკიდებელ თხზულებებში, უფრო ხშირად ეს ცნობები შეჰქონდათ რელიგიოზური, პოლიტიკური, იურიდიული, ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსის წიგნებში. ამის გარდა, მთავრობის მიერ შეკრებილი ცნობები საიდუმლოდ ინახებოდა და კერძო პირთათვის სრულიადაც არ იყო მისაწვდომი. ბოლოს, სხვა მეცნიერებათა ინტერესები (პოლიტიკის, ეკონომიკის, ზოგადი გეოგრაფიის, ისტორიის) ისე იყო გადაწნული სამხედრო-გეოგრაფიულთან, რომ ვღებულობდით მეცნიერებათა კრებულს, რომლიდანაც ძნელი ხდებოდა სამხედრო გეოგრაფიის შინაარსის გამოკრისტალება“ (246—247 გვ.). სნესარევს მოჰყავს მდიდარი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ უწყობდნენ ხელს სხვადასხვა ქვეყნები და ხალხები სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვასა და განვითარებას, სახელდობრ: ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, ეგვიპტე, ებრაელები, საბერძნეთი, რომი, ბიზანტია, არაბები, შორეულ აღმოსავლეთში მოგზაური ევროპელები (პლანო კარპინი, რუბრუკვისი, მარკო პოლო); ასევე გაშუქებული აქვს სნესარევს სამხედრო გეოგრაფიის

მდგომარეობა საშუალო საუკუნეების დასავლურ ქვეყნებში, იტალიის სამხედრო-გეოგრაფიული შრომები, ვენეციის ელჩთა რელაციები, მარინო სანუტოს შრომა, დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა შემდეგი პერიოდი, სტატისტიკური შრომების ჩასახვა იტალიასა, საფრანგეთსა და ჰოლანდში, რაც სამხედრო-გეოგრაფიულ გამოკვლევათა პირველ გამოხატულებას წარმოადგენდა, სახელმწიფოთმცოდნეობა გერმანიაში (კონრინგი, ახენვალი); მოხსენებული ან განხილული არიან სნესარევის ნაშრომში სამხედრო გეოგრაფიის ხაზით ცნობილი შემდეგი თეორეტიკოსები: ბიუშინგი, შლიოცერი, ნიმანი, ლუდერი, ლოიდი, ერცჰერცოგი კარლი, ნაპოლეონი, ჟომინი, კლაუზევიცი, ბუტურლინი, ჰომეიერი, ადოლფი, ვენტურინი, როონი, ჰანცოგი, მაინეკე, მალხუსი, ანდრე, რუდტორფერი, ბენიკენი. ლავალე, პ. იაზიკოვი, დ. ა. მილუტინი (247—318 გვ.).

სამხედრო გეოგრაფიის ჩასახვის, მისი ზრდისა და განვითარების გზების გათვალისწინების შემდეგ სნესარევი დაასკვნის, რომ სამხედრო გეოგრაფია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, თავს იჩენს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან; ამის გარეგანი გამოხატულება ის იყო, რომ პირველად გამოჩნდა სცენაზე მისი სახელი—„სამხედრო გეოგრაფია" (ჰომეიერისა და ვენტურინის შრომების საბით). „მაგრამ ეს პირველი ნაბიჯები, ამბობს სნესარევი, მეტად გაუბედავი და მერყევი იყო და საჭირო შეიქნა თითქმის ნახევარი საუკუნე, რომ ჩვენი მეცნიერება, რუსი სამხედრო მოაზროვნის გენიის წყალობით, შემდგარიყო იმ ფართო და მტკიცე პლათფორმაზე, რომელზედაც მან ჩვენს დრომდე მოაღწია. სამხედრო გეოგრაფიის ეს შემოქმედი იყო დიმიტრი ალექსის-ძე მილუტინი" (გვ. 294). მილუტინის სამხედრო-გეოგრაფიული კონცეპცია, სნესარევის აზრით, ყველა მანამდე და მის შემდეგ არსებულ კონცეპციაზე მაღლა დგას: „დადგენა სამხედრო გეოგრაფიის ცნების, მოცულობისა და შინაარსის, როგორც ეს მოგვცა დ. ა. მილუტინმა, იმდენად მარჯვეა და ამომწურავი, რომ იგი გაბატონებულია მეცნიერებაში ჩვენს დრომდე. ეს კიდევ ცოტაა. შინაარსის ასეთ სიფართოვემდე და სიღრმემდე ვერ მივიდნენ არა მარტო ევროპის სამხედრო გეოგრაფები გასული საუკუნის პირველი მესამედისა—როონი, ჰანცოგი, მალხუსი, რუდტორფერი, ბენიკენი, ლავალე და უფრო მცირენი, რომელთაც ზემოთ შევეხეთ, არამედ ჩვენი დროისათვის უფრო მახლობელნიც. როგორც, მაგალითად, ნიოქსი, ლებლონდი მარგა, მალეტერი, ფიტცჯერალდ-ლი, მაი და სხვანი. ჩვენმა თანამედროვე ეპოქამ, განსაკუთრებით 1914—1918 წ.წ. მსოფლიო ომმა,

რასაკვირველია, მილუტინის მეცნიერებაში შეიტანა თავისი ცვლილებანი, განხრა, უფრო ტონალობა, მაგრამ იგი ვერ შეეხო პროგრამისა და შინაარსის არსებითს მხარეს. ამიტომ თანამედროვე სამხედრო გეოგრაფიის შინაარსის გადმოცემა შეიძლება შესრულებულ იქნას დამატებათა და შესწორებათა პროცესში მასზე, რაც 80 წლის წინათ (დღეს კი ითქმის 95 წლის წინათ—დ. დ.) ახლად და თითქმის მარტოდმარტოდ გააკეთა რუსმა სამხედრო მოაზროვნემ" (318—319 გვ.).

სნესარევისათვის სამხედრო გეოგრაფია უდავოდ თვითმყოფი მეცნიერებაა, რადგან სამხედრო გეოგრაფიას თავისი საკუთარი კვლევის მიზანი აქვს—სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების გამორკვევა სამხედრო მხრივ, მას საკუთარი თვალსაზრისი აქვს მისი შინაარსის საფუძვლად მიჩნეული სამი ძირითადი თემის—სახელმწიფოს ტერიტორიის, ძალებისა და საშუალებების განსახილველად და ეს თვალსაზრისია მათი (ტერიტორიის, ძალებისა და საშუალებების) სამხედრო მხრივ შეფასება. ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს შესწავლა გულისხმობს სახელმწიფოს ფიზიკური მდგომარეობის გაშუქებას—თანამედროვე ქვეყნის სამხედრო ძლიერების ნათელსაყოფად მისი საზღვრების, ფართობის, ზედაპირის, ჰავის, გზების და სხვათა განხილვას, აქვე დაისმება საკითხი სახელმწიფო წყობილებაზედაც. ძ ა ლ ე ბ ი ს შესწავლა ნიშნავს სახელმწიფოს ცოცხალი ძალების—მისი ხალხის განხილვას, აქ განიხილება ერთის მხრივ ხალხის მასა, როგორც შეიარაღებული ძალის პოტენციალი, რომელიც შეისწავლება რაოდენობის, ფიზიკურ და სულიერ თავისებურებათა და ისტორიულ ჩვევათა მხრივ, და მეორე მხრივ—სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, მათი რაოდენობის, თვისების, ორგანიზაციის, ტექნიკური მომზადების და სხვა მხრივ. ს ა შ უ ა ლ ე ბ ა თ ა შესწავლა ეხება იმ ბუნებრივ და ხელოვნურ მონაცემთა ჯამს, რომელნიც ომის საშუალებებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ომის კაპიტალებს შეადგენენ, მასში შედის ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი, რამდენადაც ისინი საჭიროა ომის საწარმოებლად, მრეწველობა, ფინანსები, ტექნიკა, რკინიგზები და მისთანანი. სნესარევს ხელს არ უშლის სამხედრო გეოგრაფიის მეცნიერულობის საკითხის გარკვევის დროს ის გარემოება, რომ სამხედრო გეოგრაფია მასალას ზოგადი გეოგრაფიიდან კრებს, არც ის, რომ სამხედრო გეოგრაფია მჭიდრო კავშირშია სამხედრო მეცნიერების ყველა დარგთან. სამხედრო გეოგრაფია, მიიღებს-რა მასალას ზოგადი გეოგრაფიიდან, თავისი თვალსაზრისით აშუქებს მათ. მისი კავშირი სამხედრო ისტორიასთან და სტრატეგიასთან არ-

სეპითი მნიშვნელობისაა. სამხედრო გეოგრაფიას შუა ადგილი უჭირავს ზოგად გეოგრაფიასა და სამხედრო მეცნიერებათა შორის.

სნესარევი არ იზიარებს იმ სამხედრო გეოგრაფთა აზრს, რომელნიც სამხედრო გეოგრაფიას ტოპოგრაფიული ჩარჩოებით ფარგლავდნენ (ჰომეიერი, ადოლფი, ვენტურინი, როონი), არც იმათ აზრს, ვინც სამხედრო გეოგრაფიას უცქეროდა, როგორც ზოგადი გეოგრაფიიდან ამოღებულ იმ ცნობათა კრებულს, რომელთაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ სამხედრო მოსაზრებებთან და რომელთა ცოდნა სამხედრო პირისათვის საჭიროა (ჰანცოგი, მაინეკე, მალხუსი, ანდრე, რუდტორფერი). ამ საკითხზე სნესარევი მილუტინის შეხედულებას იზიარებს, თუმცა არაყოველმხრივ. მაგალითად, ტოპოგრაფიული მასალის დიდ მნიშვნელობას სნესარევი არ უარყოფს. მხოლოდ მოითხოვს, რომ ტოპოგრაფია სამხედრო გეოგრაფიის ერთ-ერთი ელემენტი იყოს. ზოგადი გეოგრაფიიდან მასალის ამოკრებას სნესარევი აუცილებელ საჭიროებად სთვლის. ის ეთანხმება მილუტინს, რომ სამხედრო მეცნიერებად ვერ ჩაითვლება ცოდნის ისეთი დარგი, რომელიც სამხედრო ცნობათა უბრალო კრებულს შეადგენს; მაგრამ ის არ ეთანხმება მილუტინს, თითქოს სამხედრო გეოგრაფია, რომელიც კრებს მასალას ზოგადი გეოგრაფიიდან, უბრალო კრებულს წარმოადგენდეს. „რასაკვირველია, ამბობს სნესარევი, სამხედრო გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, თუ ისესხებს მასალას ზოგადი გეოგრაფიიდან, რასაც, უნდა ითქვას, სხვა მეცნიერებებიც შვრებიან, განმარტავს მას თავის საჭიროებათა თვალსაზრისით, გადაანაწილებს მასალას, წინ წამოსწევს სხვა მხარეებს, შეჰქმნის ახალ თემებს, გაატარებს სხვა სამხედრო მეცნიერებათა ამოცანებსა და მოთხოვნილებებს; ბოლოს, მას აქვს შემეცნების თავისი საყვარელი მეთოდები, რასაც ზოგადი გეოგრაფია თითქმის არ იყენებს, მაგალითად, ისტორიული“ (გვ. 300). სნესარევი დიდი ყურადღებით ეპყრობა იმ სამხედრო გეოგრაფთ (ბენიკენი, ლავალე, ჟომინი, იაზიკოვი), რომლებიც შეეცადნენ მიეცათ სამხედრო გეოგრაფიისათვის ნამდვილი თვითმყოფი მეცნიერების ხასიათი. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სნესარევი მათ მოსაზრებებსაც იზიარებდა სამხედრო გეოგრაფიის მეცნიერულობის მაჩვენებელ ნიშნებზე. სნესარევი არ იზიარებს იმ შეხედულებას, თითქოს სამხედრო გეოგრაფია მხოლოდ მაშინ ჩაითვლება თვითმყოფ, დამოუკიდებელ მეცნიერებად, როცა იგი შესძლებს გამონახოს გეოგრაფიულ გარემოში ისეთი საგნები და მოვლენები, რომელთაც მარადიული მნიშვნელობა აქვთ ომებისათვის (ლავალე).

ამგვარი „მნიშვნელოვანი“ და „მუდმივი“ პუნქტების ძიებისაკენ მისწრაფებაში, რომლებიც თითქოს გადამწყვეტ მიჯნებს წარმოადგენენ ყოველ ომში, სნესარევმა დაინახა უკიდურესობისაკენ გადახრა. ის იმოწმებს მილუტინს, რომ „სამხედრო მოქმედებათა მსვლელობა მარტოოდენ ადგილგარემოზე არ არის დამოკიდებული, რადგან ყოველ ომს სრულიად თავისებური გარემოებანი, მიზნები და მისწრაფებანი ახლავს, და ამიტომაც ყოველი ადგილობრივი საგნის მნიშვნელობა იცვლება სხვადასხვა ეპოქაში“. მაგრამ სნესარევი არც იმ უკიდურესობაში ვარდება, რომ ადგილობრივ პუნქტებს მათი სამხედრო მნიშვნელობის ცვალებადობის გამო სამხედრო გეოგრაფიამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს. ის ამბობს: „თუ არა პუნქტები, გეოგრაფიული რაიონები ხომ მაინც ზოგჯერ მძლავრ, თითქმის დესპოტურ გავლენას ახდენენ სამხედრო ოპერაციათა მსვლელობაზე, მათ განმეორებადობაზე და მათ ლოკალიზებაზე, და რომ ომების ისტორიაში გვხვდება პირდაპირ მიმზიდველი რაიონები, რომელთაც ეტანებიან სამხედრო ეპიზოდები და რომლებზედაც საბრძოლო ამბები მეორდებიან მიუხედავად დროისა და გარემოებისა“ (301—302 გვ.). სნესარევი არც იმ შეხედულებას იზიარებს, რომ სამხედრო გეოგრაფია უნდა იხილავდეს გეოგრაფიულ საგნებსა და მოვლენებს მარტოოდენ სტრატეგიული თვალსაზრისით და იგი სტრატეგიის ერთ-ერთ დარგს უნდა წარმოადგენდეს (ტომინი, იაზიკოვი). მაგალითად, იაზიკოვის აზრით სამხედრო გეოგრაფია არის დედამიწის ზედაპირის გამოკვლევა სტრატეგიული მხრივ თანამედროვე ეპოქაში და სამხედრო გეოგრაფიის თეორია არის გეოგრაფიული ელემენტის გამოკვლევა სტრატეგიულ მოსაზრებათათვის. სნესარევი სამხედრო გეოგრაფიის მეცნიერულობის საფუძვლად მიიჩნევს არა შის ამა თუ იმ ცალკეულ შესაძლებლობას სამხედრო საქმის მომსახურების დარგში, არამედ მას, რომ იგი—სამხედრო გეოგრაფია—სახელმწიფოს შემსწავლელ განსაზღვრულ დისციპლინას წარმოადგენს, რომელსაც აქვს თავისი კვლევის ობიექტი, თავისი კვლევის მიზანი და თვალსაზრისი. მას ყველაზე მართებულად მიაჩნია ბენიკენის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ „სამხედრო გეოგრაფიას მივყავართ სახელმწიფოთა და მათ მიერ დაკავებული მიწის ზედაპირის შეცნობისაკენ იმ მიზნით, რომ განისაზღვროს სახელმწიფოთა ფარდობითი ძალები და საშუალებანი ურთიერთშორის ომის წარმოებისათვის“. გამოთქმა—„სახელმწიფოთა ფარდობითი ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა ომის წარმოებისათვის“—სნესარევმა მიიჩნია სრულყოფილ ფორმულად, რომელიც მეტად მოხერხებულად გამოხატავს

სამხედრო გეოგრაფიის, როგორც ცალკე მეცნიერების, მიზანს. ეს ფორმულა, სნესარევის აზრით, საჭიროებდა მხოლოდ გაშლას და მისი შინაარსის ჩამოყალიბებას. ეს საქმე შეასრულა დ. ა. მილუტინმა. თანამედროვე სამხედრო გეოგრაფიის ჭეშმარიტ ფუძემდებლად სნესარევი სთვლის მილუტინს. მილუტინმა სახელმწიფოს ძალთა და საშუალებათა სამხედრო მხრივ შემსწავლელ სამეცნიერო დისციპლინას ფართო ამოცანა დაუსახა. ამ დისციპლინის შინაარსი მილუტინის აზრით არ უნდა იფარგლებოდეს ჩარჩოებით—„ადგილობრივ მონაცემთა კრიტიკული გამოკვლევით სტრატეგიული თვალსაზრისით“ და არ უნდა მისდევდეს იგი მიწის ზედაპირის შესახებ მხოლოდ ფაქტიურ მონაცემთა შეგროვებას, იგი უნდა შეიცავდეს ყველა იმ მონაცემს, რომლებიც ყოველ სახელმწიფოში განსაზღვრავენ მის საშუალებებს და წესებს ომის წარმოებისათვის, მისი გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობის ვარგისობას და არახელსაყრელობას ზოგად სამხედრო მოსაზრებათა მიმართებაში; აქედან კვლევა უნდა გავრცელდეს მთელ სახელმწიფოზე სრული მისი მოცულობით და ემსახურებოდეს ზოგად მიზანს: გამოარკვიოს სახელმწიფოს ძალა და ძლიერება სამხედრო მხრივ.

ჩვენ აღარ გავიმეორებთ აქ მილუტინის შეხედულებებს სახელმწიფოს ძალთა და საშუალებათა სამხედრო მხრივ შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინის შინაარსის, მოცულობისა და სისტემის შესახებ. ამ საკითხის გაშუქება ჩვენი წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენდა, რასაც თავისი ადგილი უკვე დავუთმეთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სნესარევმა საფუძვლიანად გააკრიტიკა მილუტინის მეთოდოლოგიური შეხედულებანი იმ ნაწილში, სადაც საკითხი ეხება სახელმწიფოს ძალთა და საშუალებათა სამხედრო მხრივ შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინისათვის სახელწოდების გამონახვას. როგორც ვიცით, მილუტინმა ასეთ სამეცნიერო დისციპლინას სამხედრო სტატისტიკა უწოდა და ამით დაარღვია მის დრომდე გამტკიცებული ტრადიცია—ამოიღო ხმარებიდან სახელი „სამხედრო გეოგრაფია“. სნესარევი ილაშქრებს მილუტინის და მის მიმდევართა წინააღმდეგ სამხედრო გეოგრაფიის სამხედრო სტატისტიკით შეცვლის საკითხში და მოითხოვს ამ შეუწყნარებელი შეცდომის გამოსწორებას. გარდა იმ უდავო მოსაზრებებისა, რომელნიც სნესარევს მომარჯვებული აქვს თავისი პოზიციის დასაცავად ამ საკითხში, მას მხედველობაში აქვს ის უთუოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაც, რომ სამხედრო გეოგრაფიის სახელით ეს დისციპლინა ჯერ

კიდევ მილუტინამდე ბევრად ადრე იყო ცნობილი, თვით რუსეთის სამხედრო აკადემიაშიაც მილუტინამდე 15 წლის არსებობის ისტორია ჰქონდა მას, და, რაც მთავარია, მილუტინის დროს და მის შემდეგაც მთელს ევროპაში სწორედ ამ სახელით იყო ცნობილი ცოდნის ეს დარგი. სნესარევის ღრმა რწმენით, მილუტინმა სახელმწიფოს ძალთა და საშუალებათა სამხედრო მხრივ შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა კარგად განსაზღვრა, მაგრამ მას სახელი ცუდად შეურჩია. სნესარევი ამას იმით ხსნის, რომ გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, ისტორიაში განცდათა წარუმართებლობამ და მომენტის შეუსაბამობამ, აგრეთვე მილუტინის მეტად მოძველებულმა და უკიდურესად ვიწრო შეხედულებამ გეოგრაფიაზე, საბედისწერო როლი შეასრულა ახალი მეცნიერებისათვის სახელის დადგენის საქმეში. ამ ახალი მეცნიერების შემოქმედი, როგორც ჩანს, არასაკმარისი გეოგრაფი იყო, განწყობით მაინც, და ამან თავი იჩინა ამ მეცნიერებისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, რაც მის ერთგვარ ქირდვამდე მიდიოდა. არასაკმარისი გეოგრაფობა ჩვენი აკადემიის სამხედრო გეოგრაფიის კათედრის ისტორიაში შემდეგშიაც გვიშლიდა ხელს. ამ კათედრის თითქმის არც ერთ პროფესორს არ ჰქონია სპეციალური მომზადება ზოგად გეოგრაფიაში და არ შეუქმნია თავის მოღვაწეობაში აკადემიამდე რაიმე შრომა წმინდა გეოგრაფიის დარგში" (გვ. 322). სნესარევი არა მარტო გეოგრაფიის შეუფასებლობას უსაყვედურებს მილუტინს. მისი აზრით მილუტინმა სტატისტიკის მნიშვნელობაც გაზვიადებულად წარმოიდგინა. მილუტინის სტატისტიკა, აღმოცენებული ახენვალის სკოლის შეხედულებებზე, რომლის სათავეს კონრინგისაკენ მივყავართ, უდღეური სამეცნიერო დარგი აღმოჩნდა. მილუტინმა ვერ გაითვალისწინა ამ მეცნიერების უდღეურობა. „ბოლოსდაბოლოს, ამბობს სნესარევი, ისწრაფოდა-რა, რაც უნდა მომხდარიყო, შეექმნა სამხედრო გეოგრაფიისაგან მეცნიერება და არჩევდა-რა ამ მეცნიერებისათვის სახელს გეოგრაფიასა და სტატისტიკას (ახენვალის სტატისტიკას) შორის, მილუტინი შეჩერდა მეორეზე და თავისი მეცნიერება მონათლა უსიცოცხლო მეცნიერების სახელით. გეოგრაფიის არასაკმარისი სიღრმით ცოდნამ, ერთის მხრივ, და მეტისმეტად ვარდისფერმა წინამძღვრებმა და იმედებმა სტატისტიკის მისამართით, ამ მეცნიერულ მარცხში მთავარი როლი შეასრულა" (გვ. 323). მაგრამ, თუ მილუტინის დროის სტატისტიკას არ ჰქონდა ღირებულება დაპატრონებოდა სამხედრო გეოგრაფიას, მით უღრმ. სნესარევის აზრით, თანამედროვე სტატისტიკაა ამის ღირებულებას მოკლებული.

რადგან თანამედროვე სტატისტიკა არ არის დამოუკიდებელი მეცნიერება, იგი მხოლოდ მასიურ მოვლენათა შესწავლის მეთოდს წარმოადგენს. სტატისტიკას არა აქვს თავისი საგანი, სტატისტიკას არა აქვს თავისი მასალა. სტატისტიკა მეთოდია, რომელიც მომსახურებას უწევს ნაირგვაროვან სამეცნიერო დარგებს და ახლო მომავალში' იგი ყველა მეცნიერების მიერ იქნება გამოყენებული. თანამედროვე გეოგრაფია წარმოადგენს თავისი მნიშვნელობით უაღრესად თავისებურ და მკაფიოდ გამოხატულ მეცნიერებას, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული შინაარსი და გარკვეული მეთოდები. სამხედრო გეოგრაფიაც განსაზღვრული მეცნიერებაა და მისი შეცვლა სტატისტიკით, რომელიც მეცნიერება კი არ არის, არამედ მხოლოდ მეთოდია, ეს იქნებოდა მეცნიერების დაუმსახურებელი ჩამოქვეითება მისი კვარცხლბეკიდან. თუ იმას ვიტყვით, რომ სტატისტიკური მეთოდი ფართოდაა გამოყენებული სამხედრო გეოგრაფიაში, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მეთოდი ერთადერთი მეთოდი როდია სამხედრო გეოგრაფიისათვის და გაუგებარია, რატომ მას უნდა მიეცეს უპირატესობა სხვა მეთოდების წინაშე, რომ არა ვთქვათ რა იმის შესახებ, რომ მეთოდი კი არ განსაზღვრავს მეცნიერების არსს, არამედ მისი მოცულობა და შინაარსი. მუდამ, საუკუნეთა დასაბამიდან, არსებობდა მხოლოდ სამხედრო გეოგრაფია და ასეთად უნდა დარჩეს იგი სამომავლოდაც (323—327 გვ.). სნესარევი სტატისტიკური მეთოდის, როგორც ასეთის, დახასიათებაზე დიდხანს აჩერებს ჩვენს ყურადღებას. მისი ნაშრომის მთელი მოცულობის თითქმის ნახევარი (190 გვერდი 414-დან) ამ საკითხს ეთმობა (უთუოდ ამ გარემოებამ ათქმევინა ა. სუდაკოვს საყვედური, რომ „სტატისტიკასთან გადამეტებულმა დაახლოებამ უარყოფითი შედეგები მოგვცა; ხშირად სამხედრო-გეოგრაფიულ კურსებში ვეებერთელა განყოფილებას ურთავდნენ თვით თეორიული სტატისტიკიდანაც კი, ასე აქვს, მაგალითად, ა. სნესარევსაო“, მაგრამ სნესარევის ეს ნაბიჯი სწორად არა აქვს გაგებული ა. სუდაკოვს. სნესარევის მიზანი სრულიადაც არ იყო ის, რომ სტატისტიკით დაეჩრდილა სამხედრო გეოგრაფიის კურსი). სტატისტიკისა და სტატისტიკური მეთოდის კარგად მცოდნე სნესარევმა სრული დამაჯერებლობით შესძლო თავის სწორ შეხედულებათა დასაბუთება სამხედრო გეოგრაფიაზე. სნესარევის შრომამ ხელი შეუწყო სამხედრო გეოგრაფიის, როგორც თვითმყოფი მეცნიერების, განმტკიცებას ჩვენში.

ა. სნესარევის შრომა ზოგიერთ მის ნაწილში, ცხადია, მიუღებელია საბჭოთა მკითხველისათვის. მარტო ის ერთი გარემოება, რომ სნესარევი გეოგრაფიაში ჰეტნერის ქოროლოგიური კონცეპციის მიმდევარია და ეკონომიურ გეოგრაფიაში იგი ისეთ „ავტორიტეტებს“ ემყარება, როგორიცაა, მაგალითად, ს. ვ. ბერნშტეინ-კოგანი, უკვე ყველაფრის მთქმელია. სნესარევი ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობის საკითხებში სრულიად უცხო, მარქსიზმ-ლენინიზმისათვის შეუწყნარებელ ფილოსოფიას ავითარებს. იგი ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს განმსაზღვრელ როლს ანიჭებს ადამიანის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ამ მხრივ სნესარევი მილუტინის დონემდე ვერ ასულა და მისგან ბევრადაა ჩამორჩენილი. სნესარევის აზრით, „ქვეყნის მდებარეობა სიგანედის ამა თუ იმ კოორდინატებს შორის განსაზღვრულ კლიმატურ სარტყელზე მიგვითითებს... კლიმატური პირობები შეიძლება სრულიად უვარგისი აღმოჩნდეს ცხოვრებისათვის, ადამიანთა შრომისათვის და კულტურის განვითარებისათვის... მსოფლიოს მართავს ზომიერი სარტყლის ხალხთა ჯგუფი, ხოლო ცივი და ცხელი რაიონების ხალხები ან ძლივსძლივობით არსებობენ, ან მონურად ემსახურებიან ზომიერ რაიონიდან გამოსულ მეუფეებს. ეს გეოგრაფიის შეურყეველი კანონია, და სიგანედის კოორდინატები მის საწყის მონახაზს იძლევიან. და ამ „უსამართლო“ კანონის შეუბრალებლობაში არ შეიძლება ბრალი დაედოს არც ევროპელთა ეგოიზმს, არც შავკანიანთა მოთენთილობას; ბუნება თავის მაგარ მარწუხებში იპერს ადამიანს და მას ან გამარჯვებულის გვირგვინით ამკობს, ან ,,ეენის მონის დაღს ასვამს“ (გვ. 357). გერმანიაში აღმოცენებული მავნე, ანტიმეცნიერული გეოპოლიტიკური მოძღვრება სნესარევს მეცნიერულ მიმდინარეობად აქვს მიჩნეული და მას კონცეპციის სიფართოვით თავის სამხედრო-გეოგრაფიულ აზროვნებასთან ანათესავებს (გვ. 273-ის სქოლიო). ამის ვარდა, თავის 414 გვერდიან ნაშრომში არსად სნესარევი არ იმარჯვებს მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებებს, საკითხთან დაკავშირებით დასახელებულ ლიტერატურაშიაც კი არ მიუთითებს [illegible], რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. თუმცა სნესარევის შრომა 1924 წელსაა გამოქვეყნებული, მაგრამ, როგორც თვითონვე აღნიშნავს, ეს შრომა ემყარება ძველ პლანებს, [illegible] 1914—1918 წლების მსოფლიო ომამდე. [illegible] კალური ცვლილებების შესატანად ავტორმა თავის [illegible] მისცა და არც უგრძნია თავი ამისათვის საკმაო [illegible] რევოლუციურად განწყობილად (გვ. 398). ამ [illegible]

ხედავად, საბჭოთა მკითხველი სნესარევის შრომას იყენებს მხოლოდ როგორც კრიტიკულად ასათვისებელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

სამხედრო გეოგრაფიის არსის განსაზღვრა შეიძლება ამით დავამთავროთ. გეოგრაფია საერთოდ და მისი სახეობა—სამხედრო გეოგრაფია კერძოდ დღეს საყოველთაოდ მიჩნეული არიან სამეცნიერო დისციპლინებად. სამხედრო გეოგრაფიის მიზნები და ამოცანები უკვე საკმაოდაა დაზუსტებული. სამხედრო გეოგრაფთა მთელი ყურადღება ახლა მიმართული უნდა იყოს ქვეყნების, სახელმწიფოების და ომის თეატრების საფუძვლიანი სამხედრო-გეოგრაფიული შესწავლისაკენ და ამით სამხედრო ცოდნის შევსება-გაღრმავებისაკენ. მაგრამ ეს მაინც არ იქნება საკმარისი, თუ სამხედრო გეოგრაფია იდეოლოგიურად არ დაიხვეწა, თუ მას არ ჩამოერეცხა ის დანალექი, რაც საკმაოდ სქელ ფენად ადევს ამ უძველეს მეცნიერებას ბურჟუაზიულ სამხედრო გეოგრაფთა მარქსისტული დიალექტიკური მატერიალისტური მსოფლმხედველობისადმი უგულებელმყოფელი დამოკიდებულების გამო. მოვიგონოთ თუნდაც სნესარევის ზემოაღნიშნული შეხედულება გეოგრაფიული ფაქტორების ყოვლის შემძლეობაზე და სოციალ-პოლიტიკური ფაქტორების დაჩრდილვა ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემებით, რასაც ამ ბოლო დრომდე აქვს გასავალი სამხედრო გეოგრაფთა გარკვეულ წრეებში. ზოგიერთი სამხედრო გეოგრაფი თავის ნარკვევში ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორს წინა პლანზე წამოსწევს, არას იტყვის სოციალ-პოლიტიკურ ფაქტორებზე და მკითხველს, შესაძლოა ავტორის სურვილის გარეშე, არასწორ შეხედულებას შეუმუშავებს სამხედრო მოვლენებზე. ავიღოთ, მაგალითისათვის, ა. სუდაკოვის სტატია—„რა არის სამხედრო გეოგრაფია“ (იხ. ჟურნ. „География в школе“ № 5, 1940 წ., გვ. 53—57, სტატია „Что такое военная география“). ავტორი მართალია, როცა ამბობს, რომ „საბჭოთა ქვეყანაში სამხედრო გეოგრაფიას, დამყარებულს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე, ყველა პირობა აქვს თავისი განვითარებისათვის სწორი გზით და მის წინაშე დასმულ პრაქტიკულ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის“. მაგრამ თავის სტატიაში თვითონვე თანმიმდევრულად ვერ ამჟღავნებს მარქსისტულ-ლენინურ მიდგომას სამხედრო-გეოგრაფიული საკითხების განხილვის დროს. აღნიშნულ სტატიაში ჯოხი გადაღუნულია ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორებისაკენ, გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყნის ბუნებრივი პირობები განსაზღვრავდეს სამხედრო ოპერაციების წარმატებას. სამხედრო მოქმედებათა თეა-

ტრის მიმოხილვის დროს თითქმის სრულიად დავიწყებულია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, სოციალური ფაქტორები. განსაკუთრებით ძლიერ იგრძნობა ეს წერილის იმ ნაწილში, სადაც ავტორი ეხება რუსეთ-თურქეთის სამხედრო მოქმედებათა თეატრის დახასიათებას პირველ იმპერიალისტურ ომში და სარიყამიშისა და არზრუმის 1914/15 და 1915/16 წლების ზამთრის სამხედრო ოპერაციებს.

მოვიყვანოთ ამის მაგალითები სუდაკოვის აღნიშნული სტატიდან.

თ ე ა ტ რ ი ს მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა ავტორს განმარტებული აქვს შემდეგნაირად: სამხედრო ოპერაციები სწარმოებდა ისეთ რაიონში, რომელიც მეტისმეტად იყო დაშორებული რუსული ჯარების მთავარი ფრონტებისაგან და თურქეთის „სასიცოცხლო ცენტრებისაგან". ამ რაიონს მეტსახელად „თურქულ შორეულ აღმოსავლეთს" უწოდებდნენ. ქვემეხების გადაზიდვა ქ. ანკარიდან, რომელიც მაშინ ფრონტთან უახლოეს სარკინიგზო სადგურს წარმოადგენდა, ცუდი ყამირი გზებით მთელ სამ თვეს მოითხოვდა. ამის შედეგი იყო ის გარემოება, რომ ოპერაციათა მსვლელობაში, მიუხედავად ზოგიერთი მომენტის კატასტროფულობისა ორივე მხარისათვის, სხვა ფრონტებიდან დახმარების გაწევა სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა.

თ ე ა ტ რ ი ს რ ე ლ ი ე ფ ი ავტორს ასე აქვს დახასიათებული: თეატრის რელიეფს უაღრესად საინტერესო ნიშნები ახასიათებს სამხედრო თვალსაზრისით. ქედების, მთიანეთის და ხეობების ქაოსში სამხედრო თვალი არჩევს პონტოს თავრის, სამი სომხეთის თავრის და მთავარი თავრის მიმართულებას და ხედავს მათ შორის მდებარე ხეობებში ჯარების მოძრაობისათვის ბუნებრივ გზებს (ჩრდილო ირანსა და ავღანისტანში კი, პირიქით, ქედები გზების განივად მიიმართებიან ამ ქვეყნებიდან სსრ კავშირისაკენ). მეტი ყურადღებითი შესწავლით გამოიყოფა მთავარი მათგანი: ყარსის პლატოდან და ერევნის ვაკიდან პასინისა და არზრუმის ხეობების გავლით ქ. ერზინჯანისაკენ, ქ. სივასისაკენ და ა. შ. ისტორიული მაგალითები (1828 წ., 1854/55 წ., 1877/78 წ., 1914/15 წ.) ადასტურებენ ამ მიმართულების უმეტეს მნიშვნელობას. ხეობათა ამ გრეხილის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს მდ. ჭოროხის გრძელი ხეობა, რომელიც სულ ვიწრო, ძნელად გასასვლელ კლდეკარებისაგან შედგება. ქვეყნის საერთო მაღალმთიანი ხასიათი ისე მკვეთრადაა გამოხატული, რომ აღნიშნულ ხეობებსაც კი აბსოლუტური სიმაღლე აქვთ 1,5—2 კმ,

ქედები კი ხშირად 3,5 კმ-საც აღემატებიან. რუსული ჯარებისათვის, რომლებიც ძირითადად დაბლობი ვაკეების მცხოვრებნი იყვნენ, თვით ყოფნაც კი ასეთ პირობებში დიდ უხერხულობას ჰქმნიდა. ბევრი რამ არის რელიეფში კერძო დამახასიათებელი თავისებურებაც, რომელიც სამხედრო ინტერესს იწვევს. მაგალითად, ზოგიერთ ქედს ბრტყელი თხემი აქვს, რაც ხელს უწყობს ჯარების მოძრაობას არტილერიითაც კი. ისინი ხეობებზე უფრო მოხერხებულია იმით, რომ იქ არ გვხვდება პატარა მდინარეები თავიანთი ეგზომ ნაკლებად საიმედო სამხედრო დროს ხიდებით. თავრების განივად მიიმართებიან აღმოსავლეთ მთიანეთის ქედები, მაგალითად, სოღანლუღისა და არსიანის ქედები და დასავლეთ მთიანეთის ქედები, მაგალითად, დევენ-ბოინუ, ყარა-ბაზარი და სივრი-დაღი. ესენი ჰკვეთენ ხეობათა ზემოაღნიშნულ მთავარ ხაზს და, თუმცა არადიდი ფარდობითი სიმაღლისანი არიან, მაინც ჰქმნიან დაბრკოლებებს, იწვევენ გზების გადაჭრას. ბუნებრივია, რომ სწორედ აქ წარმოიშვა ომის მსვლელობაში მთავარი ფრონტები და პოზიციების ხაზები. არანაკლები მნიშვნელობა მოიპოვა თურქთა კეპრიკეის პოზიციამაც პასინის ხეობის ცენტრალურ ვიწროებში ჩრდილო და შუა სომხეთის თავრებს შორის, რადგან მას მოწინავე მდებარეობა ჰქონდა არზრუმის სიმაგრის მიმართ. თეატრის მთაგორიანი ხასიათი მოითხოვდა აქ ან სპეციალური ჯარების, ე. წ. „ალპური ნაწილების" გამოყენებას, ან ჩვეულებრივის, მაგრამ კარგად მომარაგებულის საჭაპანო აღალებით და სამთო არტილერიით. ამ მხრივ ორივე მეომარი მხარე, და რუსები კი კამპანიის დასაწყისში მეტადრე, არც თუ ისე საკმარისად იყვნენ მომზადებული.

თ ე ა ტ რ ი ს მ დ ი ნ ა რ ე ე ბ ი, ავტორის დახასიათებით, სიდიდით უმნიშვნელონი არიან და ვიწროკალაპოტიანი (აქ არაა საანოსნოდ გამოსადეგი მდინარეები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭოროხზე კაიუკებით მიმოსვლას), მაგრამ ალაგალაგ დინების სისწრაფისა და ნაპირების ქარაფიანობის გამო ჯარების დამაშორიშორებელ სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენენ, რითაც დიდად ზრდიან ზოგიერთი ხიდის მნიშვნელობას. არზრუმის ოპერაციის გეგმაში რუსებს მიზნად ჰქონდათ დასახული, რომ თურქთა ზურგში მდინარე არეზზე გადებული კეპრიკეის ხიდი აეფეთქებინა კავალერიას, რომელიც ღამით ამ ხიდს გადალახავდა. მხოლოდ შემთხვევამ გადაარჩინა დაღუპვას თურქული არმიის ნახევარი (არ წაიყვანეს გაწყოლი და ამიტომ ვერ მიაგნეს ხიდს სიბნელეში). ათეულობით პატარა მდინარეებმა, რომლებიც მოედინებიან პონტოს თავრიდან

შავი ზღვისაკენ და ნაკლებად საინტერესონი არიან თურქეთის ზოგად გეოგრაფიაში, დიდი როლი შეასრულეს, როგორც მეტად მნიშვნელოვანმა მიჯნამ, რომელზედაც თურქები თავის პოზიციებს მართავდნენ რუსული ჯარების შეტევის დროს ქ. ტრაპიზონისაკენ.

თ ე ა ტ რ ი ს კ ლ ი მ ა ტ უ რ პ ი რ ო ბ ე ბ ს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორის აზრით. ხანგრძლივი ზამთარი ხასიათდება მკაცრი ყინვებით და უხვი თოვით—თოვლის სისქე უღელტეხილებზე 3 მეტრამდე აღწევს. რაიონში, რომელიც კოლხიდაზე უფრო სამხრეთითაა, სადაც თებერვალში ია ჰყვავის, ჯარებს აწვდიდნენ ნახევარქურქებს, ქეჩის ფეხსაცმელს (ვალენკს), თეთრ შენიღბულ ხალათებს და ბნელ სათვალესაც კი და ციცგის საწინააღმდეგო საშუალებას, როგორც არქტიკაში. ენვერ-ფაშას, რომელმაც სათანადო ყურადღება არ მიაქცია ამ კლიმატურ მონაცემებს, დაეზრო თავისი მე-9 და მე-10 კორპუსთა ჯარისკაცები ათეულ ათასობით ამ ჯარების გრძელი გარსშემოსავლელი ბოძრაობისას მთებში სარიყამიშის ოპერაციის დროს.

მ თ ე ბ ი ს უ ტ ყ ე ო ბ ა, ავტორის შენიშვნით, კიდევ უფრო ართულებს მკაცრი ზამთრის სიძნელეებს: ჯარები ვერსად ვერ მოაწიდებენ თავს მტანჯველ ქარებს და ძნელია იშოვო აქ ესოდენ აუცილებელი სათბობი (სრული წინააღმდეგობაა ფინეთის თეატრის მიმართ, სადაც აგრეთვე ცივა, მაგრამ შეშა და სადგომთათვის საშენი მასალა—აურაცხელია). ტყეებით შემოსილია მხოლოდ პონტოს თავრის დასავლეთი და ჩრდილო ფერდობები და სოღანლუღის ქედი. ტყის არსებობას ამ უკანასკნელზე განსაკუთრებული დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული ჯარების არზრუმის ოპერაციისათვის. 1916 წლის იანვარში ათასობით რუსთა ჯარისკაცი ყინვასა და ქარბუქში შეტევას აწარმოებდა მთების გაელით და თითოეულ მათგანს, გარდა წყვილი ჩანთისა ვაზნებით, ჰქონდა ზურგზე წყვილი შეშის ნაპობი, თანაც ამ შეშის ნაპობს ვაზნაზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა. ტყე სხვა მხრივაცაა საყურადღებო. მაგალითად, სოღანლუღის ტყეს სამხედრო გეოგრაფი რუკაზე განიხილავს არანაკლები ინტერესით, ვიდრე არარატის მთას, რომელიც საუკეთესო ორიენტირს (გზის გამგნებს) წარმოადგენს ავიაციისათვის 200 კილომეტრიანი რადიუსის ფარგლებში, ან ვანის ტბას.

ს ა მ ი მ ო ს ვ ლ ო გ ზ ე ბ ი, ავტორის აზრით, დიდ გავლენას ახდენს ჯარების დაჯგუფებაზე და მათ გადაყვან-გადმოყვანაზე ოპერაციების მსვლელობაში. ხეობათა მთავარი ზოლის მიმართულებით თბილისიდან მიიმართებოდა თეატრის საუკეთესო გზები: რკინიგზა

და ორმაგი განის სამხედრო გზატკეცილი, რომელიც მდ. ყარს-ჩაის ხეობით მიადგებოდა სარიყამიშს სოღანლუღის ქედის ჩრდილო ძირზე. შემდეგ პასინის ხეობით არზრუმამდე იყო 3 პარალელური ყამირი გზა, გამოსადეგი აღალთა მოძრაობისათვის. ამ გზებით მოძრაობდნენ რუსული კავკასიის არმიის მთავარი ძალები, ამავე გზებს ემყარებოდნენ მთავარი თურქული ძალები, რომლებიც არზრუმის გამაგრებულ რაიონს იცავდნენ. უფრო ცუდად იყო გზების საქმე მდ. მტკვრის სათავეებიდან არზრუმისაკენ. აქ დასავლეთ და აღმოსავლეთ მთიანეთის ქედებს შორის ხეობებში ჩრდილოეთიდან ქ. ოლთისისაკენ მიიმართებოდა მხოლოდ ერთი გზატკეცილი, შემდეგ კი, თვით არზრუმამდე, ერთი ცუდი ყამირი გზა იყო და საჩალვადრო ბილიკები. ამ მიმართულებით მოქმედებდნენ მეორეხარისხოვანი ნაწილები. მდ. ჭოროხის ხეობაში, რომელიც მოკლებული იყო ყოველგვარ საურმე გზას, თითქმის არ ყოფილა სერიოზული საბრძოლო მოქმედება, სანაპიროზე კი საბრძოლო მოქმედება შესაძლო გახდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაიწყო ახალი გზების მშენებლობა ბათომიდან. ხეობათა უგზოობით შუა და სამხრეთ სომხეთის თავრებს შორის აიხსნება ის, თუ რატომ არ უტევდნენ ამ მიმართულებით (ქ. ერევნიდან) რუსული ჯარები არზრუმს (ახლა აქ მიიმართება საუცხოო საავტომობილო გზა, რომელსაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, თეირანი-თავრიზი-ტრაპიზონი). 1914 წლის დეკემბერში ენვერ-ფაშამ დაიწყო თავისი განთქმული სარიყამიშის ოპერაცია, რომელსაც მიზნად ჰქონდა ელვის სისწრაფით მოესპო მთელი რუსული კავკასიის არმია და დაეპყრო ამიერ-კავკასია. ამ ოპერაციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ თურქებმა პასინის ხეობაში დასტოვეს თავისი ძალების ერთი მესამედი (მე-11 კორპუსი და კავალერია), ხოლო მთავარი ძალები (მე-9 და მე-10 კორპუსები) მთელი სამთო არტილერიით გაემართნენ ჩრდილო სომხეთის თავრის გაევლით ქ. ოლთისის რაიონის ხეობებში (მე-10 კორპუსი „ეშმაკის ხვრელში"—გიურჯი-ბოღაზში—არზრუმიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ), იმ ვარაუდით, რომ შემდეგ სოღანლუღის და არსიანის მთების ხელმეორედ გადალახვით აეღოთ სარიყამიში და რუსულ არმიას ზურგიდან დასხმოდნენ. მაგრამ ამ მარშრუტის უგზოობა თურქული ჯარებისათვის ისეთივე მტანჯველი აღმოჩნდა, როგორც ყინვა და თოვლი უღელტეხილებზე. შედეგი—დაიღუპა ორივე გარსშემომვლელი კორპუსი რუსული ჯარების დარტყმით, რომლებიც ადვილად გადაეწყვნენ მოხერხებულ ხეობაში. მაგრამ, თუ ენვერი გაიმარჯვებდა მის მიერ მოფიქრებულ ოპერაცი-

აში, რუსულ არმიასაც ემუქრებოდა სრული დაღუპვა და ისევ უმთავრესად საგზაო პირობების გამოისობით. ყარსის სიმაგრიდან მოწყვეტილი მთავარი რუსული ძალების ნახევარგარემოცვიდან გამოსასვლელად რჩებოდა მხოლოდ ერთი საურმე გზა სოლანლუღის ქედიდან ყაღიზმანის ხეობაში—მდ. არეზის კანიონი. მოწინააღმდეგის მოწოლით ასეთ პირობებში უკან დახევას აუცილებლად კატასტროფა მოყვებოდა. თეატრის გზების შესწავლა—განაგრძობს სუდაკოვი—კარგად აგვიხსნის მხარეების მთელ რიგ მეორეხარისხოვან საბრძოლო მოქმედებასაც სარიყამიშის ოპერაციის მსვლელობაში. ასე, მაგალითად, ამიერ-კავკასიაში შეტევაში მონაწილეობის მისაღებად თურქებმა დროულად გაგზავნეს კონსტანტინეპოლიდან არადიდი რაზმი. ხმელეთის გზით ეს რაზმი თეატრს მოაღწევდა მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, ამიტომ იგი ზღვით გამოგზავნეს, თუმცა საფრთხე მოელოდა—შეიძლებოდა იგი რუსულ ფლოტს მოესპო, და გადმოსხეს სოფელ ხოფის რაიონში მდ. ჭოროხის შესართავის ცოტა სამხრეთით. აქედან ეს რაზმი სხვა თურქული ჯარებისაგან იზოლირებულად გაემართა ქ. არტაანისაკენ და დაიკავა იგი. რუკა გვაჩვენებს, რომ აქ რაზმის სწრაფი მოძრაობისათვის არაცუდი საურმე გზა იყო იალამუს-ჩამის უღელტეხილზე გადავლით. არტაანის უკანვე დასაბრუნებლად თბილისიდან რუსულმა სარდლობამ დასძრა ჯარების რაზმი. მისი მარშრუტი ასეთი იყო: რკინიგზით ქ. ბორჯომამდე და შემდეგ გზატკეცილით ქ. ახალციხისა და ქ. ახალქალაქის გავლით. რუკა განმარტავს, რომ ორმაგი სიგრძის გარსშემოსავლელი გზა ახალციხიდან არტაანისაკენ ახალქალაქის გავლით სინამდვილეში უფრო მოკლე აღმოჩნდება, რადგან ეს—გზატკეცილია, ხოლო პირდაპირი გზა ხანგარის უღელტეხილის გავლით—მხოლოდ არასაიმედო ყამირი გზაა.

ა. სუდაკოვის ამგვარ მსჯელობას საბრძოლო მოქმედებათა თეატრების დასახასიათებლად ჩვენ წუნსა ვდებთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, როგორიცაა მდებარეობა, რელიეფი, ჰავა, მდინარეები, ტყე და მისთანანი, ანგარიშს არ ვუწევდეთ და მათს მნიშვნელობას ვამცირებდეთ, არამედ იმიტომ, რომ, როგორც ვხედავთ, აქ ოპერაციების მსვლელობა მარტოოდენ ბუნებრივი პირობების მიხედვითაა შეფასებული, რაც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ავტორი ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს განმსაზღვრელ როლს ანიჭებს. ამ შთაბეჭდილებას ოდნავადაც ვერ ანელებს ერთი პაწია აბზაცი, სადაც ნათქვამია, რომ თეატრის მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის თავისებურებას პატა-

რა როლი არ უთამაშნია ენვერის ავანტიურულ გეგმებში; მისი იმედი, რომ დაჩაგრული მუსულმანი ხალხები მტრულად იყვნენ განწყობილი მეფის რუსეთისადმი, საგრძნობლად გამართლებულა. არც მომდევნო აბზაცი შველის საქმეს, სადაც ლაპარაკია თეატრის სამეურნეო პირობებზე: ჩამორჩენილი, თხლად დასახლებული მხარის ეკონომიური რესურსების სიღარიბემ განსაზღვრა არმიების მომარაგება მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო საწყობების ხარჯზე, რომელთა შევსება ღრმა ზურგიდან ხდებოდა. მაგრამ მეჯოგეობის პროდუქციის სიჭარბეს ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა: რუსული ჯარები ბორკით მომარაგებაში უფრო იშკიათად განიცდიდნენ შეფერხებას, ვიდრე პურით მომარაგებაში. ეს ორიოდე მკლე ცნობა—ნაციონალური საკითხისა და ეკონომიური პირობების შესახებ ფარდას არ ხდის მეომარი მხარეების სოციალური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების და კერძოდ სამხედრო პოლიტიკის დედაარსს, რომელიც საზღვრავდა ომის მიზნებსა და ამოცანებს, ომის საშუალებათა და სამხედრო ძალთა მომზადების ხარისხს, მებრძოლთა და მათი სარდლობის კლასობრივ ინტერესებს, მეომარი მხარეების ეროვნებათა და ხალხთა ამ ომით დაინტერესების დონეს, მეზობელ ქვეყნების და სხვა სახელმწიფოთა დამოკიდებულებას ამ ომისადმი და ა. შ. მართალია, ყოველივე ამას დაწვრილებით ვერ დაეთმობა ადგილი სამხედრო გეოგრაფიაში, მაგრამ სამხედრო გეოგრაფიის გამოფიტვა სოციალ-პოლიტიკური ელემენტებისაგან შესაწყნარებელი არ არის.

კიდევ უფრო მკაფიოდ ჩანს სოციალური ფაქტორის უგულებელყოფის ცდა სამხედრო გეოგრაფიის არსის განსაზღვრაში ი. ტროიცკის სტატიაში—„სამხედრო გეოგრაფია“, რომელიც მოთავსებულია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (იხ. ტომი მე-15, გვ. 281—283). სტატიის ავტორს არასწორი შეხედულება აქვს სამხედრო გეოგრაფიის მეთოდოლოგიურ მხარეზე, როცა ამბობს, რომ „სამხედრო გეოგრაფია ზოგადი გეოგრაფიის სპეციალური დარგია, რომელიც შეისწავლის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს სივრცობლივ დამოკიდებულებებს, მის თვისებებს და მასთან დაკავშირებულ საწარმოო ძალებს, აგრეთვე სოციალურ ურთიერთობებს, ჩამოყალიბებულთ ამ უკანასკნელთა საფუძველზე, ყველა ამ ფაქტორის ომის, საომარი ოპერაციების და ბრძოლის მომზადებასა და წარმოებაზე გავლენის თვალსაზრისით... ჩვენი დროის სამხედრო გეოგრაფია შეიძლება განისაზღვროს როგორც ქოროლოგიური მეცნიერება“. ამგვარად, ტროიცკი სოციალურ ფაქტორს იხსენიებს, მა-

გრამ შეუფერებელ ადგილას და უმართებულოდ. არაა სწორი მისი აზრი, რომ სოციალური ურთიერთობანი თითქოს ჩამოყალიბებული იყოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს თვისებებთან დაკავშირებულ საწარმოო ძალთა საფუძველზე. ხოლო სამხედრო გეოგრაფიის ქოროლოგიურ მეცნიერებად გამოცხადება სტატიის ავტორში ამჟღავნებს აშკარად ჰეტნერის ანტიმეცნიერული გეოგრაფიული კონცეპციის მიმდევარს.

სამხედრო მოქმედებათა და მდგომარეობათა მარქსისტულ-ლენინური შეფასების კლასიკურ მაგალითებს წარმოადგენენ დ ი დ ი ს ტ ა ლ ი ნ ი ს სტატიები, რომლებშიაც სამხედრო მოქმედებათა მიღწეული ან მოსალოდნელი წარმატებანი ახსნილია ან გათვალისწინებულია არა იმდენად ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით, რამდენადაც სოციალური და პოლიტიკური მომენტების გაანალიზებით. მოვიგონოთ შემდეგი სტატიები — „სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში", „ანტანტის ახალი ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ", „უკრაინის კვანძი" (პირველი ორი სტატია მოთავსებულია წიგნში ლ ე ნ ი ნ ი და ს ტ ა ლ ი ნ ი — ნაწარმოებთა კრებული საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის, ტ. II, გვ. 274—278 და გვ. 279—283, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა, 1936 წ., ხოლო მესამე სტატია კრებულში: ს ტ ა ლ ი ნ ი — სტატიები და სიტყვები უკრაინაზე, გვ. 39—41, უკპ (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობა; სამივე ეს სტატია ერთად ცალკე ბროშურადაც გამოიცა ჩვენში, 1941 წელს). სტატიაში „სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში", პირველ თავში — „ანტანტის ჩაშლილი გეგმები" ნათქვამია: „1919 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მოფიქრებულ იქნა კოლჩაკ-დენიკინ-იუდენიჩის კომბინირებული ლაშქრობა. მთავარი დარტყმა უნდა მოეხდინა კოლჩაკს, რომელსაც დენიკინი იმედოვნებდა შეუერთდებოდა სარატოვში, რათა ერთად დაეწყოთ მოსკოვზე შეტევა აღმოსავლეთით. იუდენიჩს დაეკისრა დამხმარე დარტყმა პეტროგრადზე. ლაშქრობის მიზანი ფორმულირებულ იქნა გუჩკოვის მოხსენებაში დენიკინისადმი: „ერთი დარტყმით ჩავახრჩოთ ბოლშევიზმი მისთვის ძირითადი სასიცოცხლო ცენტრების — მოსკოვის და პეტროგრადის წართმევით". თვით ლაშქრობის გეგმა კი მოხაზულ იქნა დენიკინის წერილში კოლჩაკისადმი; ეს წერილი ხელში ჩაგვივარდა გრიშინ-ალმაზოვის შტაბთან ერთად 1919 წლის გაზაფხულზე. „მთავარი ისაა, რომ არ შევჩერდეთ ვოლგაზე, — სწერდა კოლჩაკს დენიკინი, — არამედ განვაგრძოთ დარტყმა ბოლშევიზმის გულისაკენ — მოსკოვისაკენ. იმედი მაქვს სარატოვში შეგხვდებით...

პოლონელები თავის საქმეს გააკეთებენ, ხოლო რაც შეეხება იუდენიჩს, იგი მზადაა და არ დააყოვნებს დაარტყას პეტროგრადს...“ ასე სწერდა დენიკინი გაზაფხულზე, როდესაც კოლჩაკის გაცხარებული შეტევა სწარმოებდა ვოლგაზე. მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა: კოლჩაკი უკუქცეულ იქნა ურალის გადაღმა; დენიკინი შეჩერებულ იქნა ხაზზე: მდინარე სეიმი—ლისკი—ბალაშოვი; იუდენიჩი განდევნილ იქნა იამბურგს იქით. საბჭოთა რუსეთი მთელი და უვნებელი დარჩა“. შემდეგ ს ტ ა ლ ი ნ ი ეხება 1919 წლის შემოდგომისათვის მოფიქრებულ შემმუსვრელი ლაშქრობის ახალ გეგმას და ამბობს: „მაგრამ ბედმა ინება, რომ ეს გეგმაც ჩაშლილიყო. დენიკინის ჯარები უკუქცეულია პოლტავა-კუპიანსკ-ჩერტკოვოს იქით; იუდენიჩი განადგურებულია და გადარეკილია ნარვას იქით. რაც შეეხება კოლჩაკს, ნოვო-ნიკოლაევსკთან სასტიკი დამარცხების შემდეგ მისი არმიისაგან მხოლოდ მოგონებაღა დარჩა. რუსეთი ახლაც მთელი და უვნებელი დარჩა“. სტატიის მეორე თავში—„კონტრრევოლუციის დამარცხების მიზეზთა შესახებ“, ს ტ ა ლ ი ნ ი კონტრრევოლუციის და, უპირველეს ყოვლისა, დენიკინის დამარცხებას ხსნის შემდეგი მიზეზებით, როგორიცაა: ა) კონტრრევოლუციის ჯარების ზურგის უმტკიცობა და ბ) კონტრრევოლუციის საგანაპირო მდგომარეობა, და აგრეთვე სხვა უახლოესი მიზეზებითაც, როგორიცა: 1) რეზერვებისა და შევსებათა საქმის გაუმჯობესება საბჭოთა სამხრეთის ფრონტზე, 2) მომარაგების საქმის გაუმჯობესება, 3) კომუნისტ-მუშების მოზღვავება ფრონტზე პიტერიდან, მოსკოვიდან, ტვერიდან, ივანოვო-ვოზნესენსკიდან, რომლებიც ჩვენს სამხრეთის პოლკებში შევიდნენ და სავსებით გარდაქმნეს ისინი, 4) მმართველობის აპარატთა მოწესრიგება, რაც წინათ სავსებით მოშლილი იყო მამონტოვის თავდასხმათა გამო, 5) სამხრეთის ფრონტის სარდლობის მიერ საფლანგო დარტყმათა ოსტატურად გამოყენება შეტევის დროს, 6) თვით შეტევის მეთოდურობა. კონტრრევოლუციის ჯარების ზურგის უმტკიცობის შესახებ ს ტ ა ლ ი ნ ი ამბობს: „ვერცერთი არმია ქვეყანაზე ვერ გაიმარჯვებს, თუ მას მტკიცე ზურგი არა აქვს, ხოლო დენიკინის (და აგრეთვე კოლჩაკის) ზურგი სავსებით მერყევია. კონტრრევოლუციური ჯარების ზურგის მერყეობის ეს ფაქტი აიხსნება ამ ჯარების შემქმნელი დენიკინ-კოლჩაკის მთავრობის სოციალური ხასიათით. დენიკინს და კოლჩაკს თან მოაქვთ არა მარტო მემამულისა და კაპიტალისტის უღელი, არამედ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის უღელიც, დენიკინ-კოლჩაკის გამარჯვება ეს არის რუსეთის დამოუკიდებლობის დაკარგვა, რუსეთის გადაქცევა ინგლის-საფრან-

გეთის ფულის ქისათა მეწველ ფურად. ამ აზრით დენიკინ—კოლ-ჩაკის მთავრობა ყველაზე ანტიხალხური, ყველაზე ანტინაციონა-ლური მთავრობაა. ამ აზრით საბჭოთა მთავრობა ერთად-ერთი ხალხური და ერთად-ერთი ნაციონალური მთავრობაა ამ სი-ტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ვინაიდან მას თან მოაქვს არა მარტო მშრომელთა განთავისუფლება კაპიტალისაგან, არა-მედ მთელი რუსეთის განთავისუფლებაც მსოფლიო იმპერიალი-ზმის უღლისაგან, რუსეთის გადაქცევა კოლონიიდან დამოუკი-დებელ თავისუფალ ქვეყნად. განა ცხადი არ არის, რომ დენიკინ-კოლჩაკის მთავრობა და მისი ჯარები ვერ დაიმსახურებენ ვერც პატივისცემას და ვერც მხარდაჭერას რუსი მოსახლეობის ფართო ფენების მხრივ? განა ცხადი არ არის, რომ დენიკინ-კოლჩაკის ჯა-რებში შეუძლებელია იყოს გამარჯვების ის მხურვალე სურვილი და ის აღფრთოვანება, ურომლებოდაც გამარჯვება საერთოდ შეუძლე-ბელია? დენიკინ-კოლჩაკის ზურგი ირღვევა, ძირს უთხრის რა ფრონ-ტის სიმაგრეს, იმიტომ, რომ დენიკინ-კოლჩაკის მთავრობა ეს არის რუსი ხალხის მონობის მთავრობა, მთავრობა, რომელიც მოსახლე-ობის ფართო ფენების მაქსიმალურ უნდობლობას იწვევს. საბჭოთა ჯარების ზურგი მტკიცდება და თავისი ძალებით კვებავს წითელ ფრონტს იმიტომ, რომ საბჭოთა მთავრობა ეს არის რუსი ხალხის გან-თავისუფლების მთავრობა, მთავრობა, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების მაქსიმალური ნდობით სარგებლობს". კონტრრევოლუციის საგანაპირო მდგომარეობის შესახებ ს ტ ა ლ ი ნ ი ამბობს: „ჯერ კიდევ ოქტომბრის გადატრიალების დასაწყისში გამოისახა ერთგვარი გეოგრაფიული გამიჯვნა რევოლუციასა და კონტრრევოლუციას შო-რის. სამოქალაქო ომის შემდგომი განვითარების მსვლელობაში რევოლუციის და კონტრრევოლუციის რაიონები საბოლოოდ გამო-ირკვა. შიდა რუსეთი მისი სამრეწველო და კულტურულ-პოლიტი-კური ცენტრებით—მოსკოვი და პეტროგრადი, ნაციონალური მხრივ ერთგვაროვანი მოსახლეობით, უმთავრესად რუსი მოსახლეობით,—რევოლუციის ბაზად გადაიქცა. რუსეთის განაპირა მხარეები კი, უმთავრესად სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები, სა-დაც არ არის მნიშვნელოვანი სამრეწველო და კულტურულ-პოლი-ტიკური ცენტრები, ნაციონალური მხრივ უაღრესად მრავალფერო-ვანი მოსახლეობით, რომელიც, ერთის მხრივ, შედგება პრივილე-გიური კოლონიზატორ-კაზაკებისაგან და, მეორე მხრივ, არასრულ-უფლებიანი თათრებისა, ბაშკირებისა, ყირგიზებისა (აღმოსავლეთში), უკრაინელებისა, ჩაჩნებისა, ინგუშებისა და სხვა მუსულმანი ხალხე-ბისაგან,—კონტრრევოლუციის ბაზად გადაიქცნენ. [illegible] არ არის იმის გაგება, რომ რუსეთის მებრძოლი ძალების ასეთ გეოგრაფიულ

განაწილებაში არაბუნებრივი არაფერია. მართლაც: სხვა ვინ უნდა იყოს საბჭოთა მთავრობის ბაზა, თუ არა პეტროგრად-მოსკოვის პროლეტარიატი? სხვა ვინ უნდა იყოს დენიკინურ-კოლჩაკური კონტრრევოლუციის სიმაგრე, თუ არა რუსული იმპერიალიზმის ძველისძველი იარაღი, პრივილეგიური და სამხედრო წოდებად ორგანიზებული კაზაკობა, რომელიც ძველთაგანვე ეწევა არარუს ხალხთა ექსპლოატაციას განაპირა მხარეებში? განა ცხადი არ არის, რომ არავითარი სხვა „გეოგრაფიული განაწილება“ არც შეიძლებოდა ყოფილიყო? მაგრამ ამ მდგომარეობას შედეგად ჰქონდა (და ახლაც აქვს) მთელი რიგი საბედისწერო გარდუვალი მინუსები კონტრრევოლუციისათვის და ამდენივე გარდუვალი პლუსები რევოლუციისათვის. გააფთრებული სამოქალაქო ომის ეპოქაში მომქმედ ჯარების წარმატებისათვის აბსოლუტურად აუცილებელია იმ ცოცხალ ადამიანთა გარემოს ერთიანობა, შეკავშირებულობა, რომლის ელემენტებით საზრდოობს და რომლის ძალებით თავი გააქვს ამ ჯარებს, მასთან ეს ერთიანობა შეიძლება იყოს ნაციონალური (განსაკუთრებით სამოქალაქო ომის დასაწყისში), ან კლასობრივი (განსაკუთრებით სამოქალაქო ომის განვითარების დროს). ასეთი ერთიანობის გარეშე წარმოუდგენელია ხანგრძლივი სამხედრო წარმატებანი. მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ რუსეთის განაპირა მხარეები (აღ. მოსავლეთი და სამხრეთი) დენიკინისა და კოლჩაკის ჯარებისათვის არ წარმოადგენენ და არც შეიძლება წარმოადგენდნენ არც ნაციონალური და არც კლასობრივი მხრივ ცოცხალი გარემოს ერთიანობის იმ მინიმუმსაც კი, ურომლისოდაც (როგორც ზემოთ ვამბობდი) სერიოზული გამარჯვება შეუძლებელია. მართლაც, რა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ერთიანობა შეიძლება იყოს, ერთის მხრივ, თათრებსა, ბაშკირებსა, ყირგიზებსა (აღმოსავლეთში), ყალმუხებსა, ჩაჩნებსა, ინგუშებსა, უკრაინელებსა (სამხრეთში) და, მეორე მხრივ, კოლჩაკ-დენიკინის ჭეშმარიტ რუსულ თვითმპყრობელურ მართვაგამგეობას შორის? ან კიდევ: რა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ერთიანობა შეიძლება იყოს, ერთის მხრივ, ურალის, ორენბურგის, დონის, ყუბანის პრივილეგიურ კაზაკობასა და განაპირა მხარეების ყველა დანარჩენ მოსახლეობას შორის, რუს „სხვაქალაქელთა“ გამოუკლებლივ, რომელთაც უხსოვარი დროიდან სჩაგრავდნენ და ექსპლოატაციას უწევდნენ მეზობელი კაზაკები? განა ცხადი არ არის, რომ ასეთი სხვადასხვაგვარი ელემენტებისაგან შემდგარი ჯარები აუცილებლად უნდა დაიშალოს საბჭოთა არმიების მხრივ პირველ სერიოზულ დარტყმისათანავე, რომ ყოველმა ასეთმა დარტყმამ აუცილებლად უნდა გა-

„აძლიეროს რუსეთის განაპირა მხარეების არაკაზაკ ელემენტების მისწრაფება საბჭოთა მთავრობისაკენ, რომელიც ძირიან-ფესვიანად უარყოფს დიდმპყრობელურ ზრახვებს და სიამოვნებით უმერს მხარს მათს ნაციონალურ მისწრაფებებს. განაპირა მხარეების დაპირისპირებით შიდა რუსეთი სულ სხვა სურათს იძლევა. ჯერ ერთი, ნაციონალური მხრივ ის ერთიანი და შეკავშირებულია, ვინაიდან მისი მოსახლეობის ცხრა მეათედი ველიკოროსებისაგან შედგება. მეორე, იმ ცოცხალი გარემოს კლასობრივი ერთიანობის მიღწევა, რომელიც საბჭოთა ჯარების ფრონტსა და უშუალო ზურგს კვეებავს, ადვილდება მასში გლეხებს შორის პოპულარული პეტროგრად-მოსკოვის პროლეტარიატის ყოფნით, რომელიც მჭიდროდ რაზმავს მას საბჭოთა მთავრობის გარშემო. სხვათა შორის სწორედ ამით აიხსნება საბჭოთა რუსეთის ზურგისა და ფრონტის ის გასაოცარი კონტაქტი, რომელიც არასოდეს არ ამშვენებდა კოლჩაკ-დენიკინის მთავრობას: საკმარისია საბჭოთა მთავრობამ გადასძახოს ფრონტისადმი დახმარების შესახებ, რომ რუსეთმა თვალის დახამხამებაში მოგვცეს ახალი პოლკების მთელი წყება. ამაშივე უნდა ვეძიოთ იმ გასაოცარი ძალისა და უმაგალითო მოქნილობის წყარო, რომელსაც ჩვეულებრივ საბჭოთა რუსეთი იჩენს კრიტიკულ წუთებში. აქვე უნდა ვეძიოთ იმ, ანტანტის განათლებულ შამანთათვის გაუგებარი, ფაქტის ახსნა, რომ „კონტრრევოლუციური ჯარები, აღწევენ რა გარკვეულ საზღვრებს (შიდა რუსეთის საზღვრებს!), გარდუვალად კატასტროფას განიცდიან“...

ეს საკმაოდ ვრცელი ამონაწერი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სტრატეგის დ ი დ ი სტ ა ლ ი ნ ი ს სტატიიდან ნათლად გვეუბნება, რომ სამხედრო მოქმედებათა მსვლელობა და შედეგები არ შეიძლება თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების ავკარგიანობით შეფასდეს, მთავარია სოციალური ფაქტორები. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს თავისი მნიშვნელობა არ ჰქონდეთ და მათ თავისი როლის შესრულება არ შეეძლოთ სამხედრო ოპერაციების დროს. მოვიგონოთ დ ი დ ი სტ ა ლ ი ნ ი ს აზრი ქვეყნის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების მნიშვნელობის შესახებ ამ მხრივ მისი ნაშრომიდან— „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“. აღნიშნავს-რა ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების გამაადვილებელ შინაგან ხელსაყრელ პირობებს, ერთ-ერთ ასეთ პირობად დ ი დ ი სტ ა ლ ი ნ ი სთვლის მას, რომ ოქტომბრის რევოლუციის „განკარგულებაში იყო ახალგაზრდა სახელმწიფოს უზარმაზარი სივრ-

ცეები, სადაც მას შეეძლო თავისუფალი მანევრირება, უკანდახევა, როდესაც ამას ვითარება მოითხოვდა, სულისმოთქმა, ძალების მოკრება და სხვ.", და „ოქტომბრის რევოლუციას კონტრრევოლუციასთან ბრძოლის დროს ¡შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ქვეყნის შიგნით არსებული სურსათის, სათბობისა და ნედლეულის რესურსები მისთვის საკმაო იქნებოდა" (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი—„ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოცემა, ქართული თარგმანი, გვ. 101).

ამგვარად, ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს—ტერიტორიას, ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს—სურსათის, სათბობი და ნედლეული რესურსების სიუხვეს თავისი გარკვეული მნიშვნელობა აქვთ სამხედრო საქმეში. ისინი, როგორც შესაძლებლობანი, და არა როგორც განმსაზღვრელი ფაქტორები, გავლენას ახდენენ საბრძოლო მოქმედების წარმატებასა და გამარჯვებაზე. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს დ ი დ ი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბრძნული აზრი ქვეყნის ყოველგვარ შესაძლებლობათა გამოვლინებისა და ამოქმედების აუცილებლობის შესახებ ქვეყნის როგორც მშვიდობიანი მშენებლობისა, ისე საომარ მოქმედებათა ნაყოფიერად წარმოების უზრუნველსაყოფად: „სახელმწიფოთა ისტორიაში, ქვეყნების ისტორიაში, არმიების ისტორიაში ყოფილა შემთხვევები, როცა წარმატებისათვის, გამარჯვებისათვის ყველა შესაძლებლობა არსებობდა, მაგრამ ისინი, ეს შესაძლებლობანი, გამოუყენებელი რჩებოდა, რადგან ხელმძღვანელები ვერ ამჩნევდნენ ამ შესაძლებლობებს, ვერ იყენებდნენ მათ, და არმიები მარცხდებოდნენ" (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი — „ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოცემა, ქართული თარგმანი, გვ. 406). არავის ისე მტკიცედ არ მართებს ამ ჭეშმარიტების დახსომება, როგორც სამხედრო გეოგრაფს. საბჭოთა სამხედრო გეოგრაფმა ყოველმხრივ კარგად უნდა შეისწავლოს და გაგვაცნოს ქვეყნის (როგორც ჩვენი, ისე მოკავშირე თუ მოწინააღმდეგე მხარის) ყოველგვარი შესაძლებლობა, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი, საერთოდ ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომ-გეოგრაფიული პირობები. მაგრამ, ვიმეორებთ, ამავე სამხედრო გეოგრაფს მოეთხოვება ქვეყნის (როგორც ჩვენი, ისე მოკავშირე თუ მოწინააღმდეგე მხარის) სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების გათვალისწინებაც და ზუსტად გაანალიზება, ამის გარეშე ყველა მისი თეორიული და პრაქტიკული მოსაზრებანი უნიადაგო, უსაფუძვლო იქნება.

სამხედრო მოქმედებაში მიღწეულ წარმატებათა ახსნა მარტოოდენ ფიზიკურ-გეოგრაფიული მოვლენებით იმას ემსგავსებოდა, რომ ჩვენს დიად სამამულო ომში წითელი არმიის ბრწყინვალე გა-

მარჯვება მოსკოვის მისადგომებთან აგვეხსნა ზამთრის ციები ამინდებით. ცხადია, წითელი არმიის ძლევამოსილების წყაროდ ცარიელა ზამთრის მიჩნევა უაზრობაა. ეს ბუნებრივი, ფიზიკური ფაქტორი არარაობაა იმ დიდ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასთან შედარებით, რამაც უზრუნველყო წითელი არმიის წარმატებანი.

აი, რას ამბობს დ ი დ ი ს ტ ა ლ ი ნ ი სამამულო ომში მიღწეულ წარმატებათა შესახებ თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებაში წითელი არმიის არსებობის XXIV წლისთავთან დაკავშირებით:

„8 თვის წინათ ფაშისტური გერმანია მუხანათურად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, უხეშად და უტიფრად დაარღვია ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ. მტერს იმედი ჰქონდა, რომ პირველივე დარტყმის შემდეგ წითელი არმია განადგურდებოდა და წინააღმდეგობის უნარს დაჰკარგავდა. მაგრამ მტერი სასტიკად მოსტყუვდა ანგარიშში. მან ვერ გაითვალისწინა წითელი არმიის ძალები, ვერ გაითვალისწინა საბჭოთა ზურგის სიმტკიცე, ვერ გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებისყოფა გამარჯვებისა, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიის ევროპული ზურგის არასაიმედობა, ბოლოს, ვერ გაითვალისწინა ფაშისტური გერმანიისა და მისი არმიის შინაგანი სისუსტე. ომის პირველ თვეებში, გერმანელ ფაშისტთა თავდასხმის მოულოდნელობისა და უეცრობის გამო, წითელი არმია იძულებული აღმოჩნდა უკან დაეხია და საბჭოთა ტერიტორიის ნაწილი დაეტოვებინა. მაგრამ უკანდახევისას იგი ჰქანცავდა მტრის ძალებს და სასტიკად ურტყამდა მას. არც წითელი არმიის მებრძოლებს, არც ჩვენი ქვეყნის ხალხებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს უკან დახევა დროებითია, რომ მტერს შევაჩერებთ, ხოლო შემდეგ გავანადგურებთ კიდეც. ომის მსვლელობაში წითელ არმიას ემატებოდა ახალი სასიცოცხლო ძალები. ივსებოდა ადამიანებითა და ტექნიკით, დასახმარებლად მოსდიოდა ახალი სარეზერვო დივიზიები. და დადგა დრო, როდესაც წითელ არმიას საშუალება მიეცა შეტევაზე გადასულიყო უზარმაზარი ფრონტის მთავარ უბნებზე. მოკლე ხნის განმავლობაში წითელმა არმიამ ზედიზედ ჩასცა ლახვარი გერმანიის ფაშისტურ ჯარებს დონის როსტოვთან და ტიხვინთან, ყირიმში და მოსკოვთან. მოსკოვთან წარმოებულ გააფთრებულ ბრძოლებში მან დაამარცხა გერმანიის ფაშისტური ჯარები, რომლებიც გარშემორტყმით ემუქრებოდნენ საბჭოთა დედაქალაქს. წითელმა არმიამ უკუაგდო მტერი მოსკოვიდან და მას დასავლეთისაკენ მიერეკება. გერმანელი დამპყრობელებისაგან სავ-

სებით გათავისუფლებულია მოსკოვისა და ტულის ოლქები, მტრის მიერ დროებით დაკავებული სხვა ოლქების ათობით ქალაქები და ასობით სოფლები. ახლა გერმანელებს უკვე აღარა აქვთ ის სამხედრო უპირატესობა, რაც მათ ომის პირველ თვეებში ჰქონდათ მუხანათური და უეცარი თავდასხმის შედეგად. უეცრობისა და მოულოდნელობის მომენტი, როგორც გერმანიის ფაშისტური ჯარების რეზერვი, სავსებით ამოიწურა. ამით ლიკვიდირებულ იქნა ის უთანასწორობა ომის პირობებში, რაც გერმანიის ფაშისტთა თავდასხმის უეცრობით იყო შექმნილი. ახლა ომის ბედს გადასწყვეტს არა ისეთი მეორეხარისხოვანი მომენტი, როგორიცაა უეცრობის მომენტი, არამედ მუდმივ მოქმედი ფაქტორები: ზურგის სიმტკიცე, არმიის მორალური სულისკვეთება, დივიზიების რაოდენობა და ხარისხი, არმიის შეიარაღება, არმიის უფროსთა შემადგენლობის ორგანიზატორული ნიჭი... შორს არ არის ის დღე, როცა წითელი არმია თავისი მძლავრი დარტყმით უკუაგდებს გამხეცებულ მტრებს ლენინგრადისაგან, გასწმენდს მათგან ბელორუსიისა და უკრაინის, ლიტვისა და ლატვიის, ესტონეთისა და კარელიის ქალაქებსა და სოფლებს, გაათავისუფლებს საბჭოთა ყირიმს, და მთელ საბჭოთა მიწა-წყალზე კვლავ ძლევამოსილად იფრიალებს წითელი დროშები... აუცილებელია, რათა ფრონტზე ჯარის სულ ახალი და ახალი ნაწილები მიდიოდნენ გამხეცებულ მტერზე გამარჯვების გამოსაჭედად. აუცილებელია, რათა ჩვენი მრეწველობა, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობა, გაორკეცებული ენერგიით მუშაობდეს. აუცილებელია, რათა დღითი-დღე ფრონტი სულ უფრო და უფრო მეტ ტანკებს, თვითმფრინავებს, ქვემეხებს, ნაღმსატყორცნებს, ტყვიამფრქვევებს, შაშხანებს, ავტომატებს, საომარ მასალებს იღებდეს. ამაშია წითელი არმიის ძალისა და ძლიერების ერთ-ერთი ძირითადი წყარო. მაგრამ წითელი არმიის ძალა მარტო ამაში როდია. წითელი არმიის ძალა, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ეწევა არა დაპყრობითს, არა იმპერიალისტურ ომს, არამედ სამამულო, განმათავისუფლებელ, სამართლიან ომს. წითელი არმიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გაათავისუფლოს გერმანელი დამპყრობელებისაგან ჩვენი საბჭოთა ტერიტორია, გაათავისუფლოს გერმანელი დამპყრობელების უღლისაგან ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მოქალაქენი, რომლებიც ომამდე თავისუფალნი იყვნენ და ადამიანურად ცხოვრობდნენ, ხოლო ახლა დაჩაგრულნი არიან და იტანჯებიან ძარცვისა, აკლებისა და შიმშილისაგან, დასასრულ, გაათავისუფლოს ჩვენი ქალები იმ სირცხვილისა და შეურაცხყოფისაგან, რასაც მათ გერმანელი ფაშისტ-

მტარვალები აყენებენ. რა შეიძლება იყოს ასეთ ამოცანაზე უფრო კეთილშობილური და დიადი? არც ერთ გერმანელ ჯარისკაცს არ შეუძლია სთქვას, რომ იგი სამართლიან ომს ეწევა, ვინაიდან არ შეუძლია არ ხედავდეს, რომ მას აიძულებენ იომოს სხვა ხალხების გაძარცვისა და დაჩაგვრისათვის. გერმანელ ჯარისკაცს არა აქვს ომის დიადი და კეთილშობილური მიზანი, რომელიც შესძლებდა მის აღფრთოვანებას და რომლითაც მას შეეძლო ეამაყნა. და, პირიქით, წითელი არმიის ყოველ მებრძოლს შეუძლია სიამაყით სთქვას, რომ იგი ეწევა სამართლიან, განმათავისუფლებელ ომს, ომს თავისი საშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. წითელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღფრთოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის. ამაშია წითელი არმიის ძალა. ამაშივეა გერმანიის ფაშისტური არმიის სისუსტე... ბოლოს, წითელი არმიის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მას არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს რასობრივი სიძულვილი სხვა ხალხებისადმი, მათ შორის გერმანელი ხალხისადმიც, რომ იგი აღზრდილია ყველა ხალხისა და რასის თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით, სხვა ხალხების უფლებებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. „გერმანელთა რასობრივ თეორიას და რასობრივი სიძულვილის პრაქტიკას ის შედეგი მოჰყვა რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი ფაშისტური გერმანიის მტერი გახდა. სსრ კავშირში რასობრივი თანასწორუფლებიანობის თეორიას და სხვა ხალხების უფლებებისადმი პატივისცემის პრაქტიკას ის შედეგი მოჰყვა, რომ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხი საბჭოთა კავშირის მეგობარი გახდა. ამაშია წითელი არმიის ძალა. ამაშივეა გერმანიის ფაშისტური არმიის სისუსტე“ (იხ. „ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა, 1942 წლის 23 თებერვალი, № 55, ქ. მოსკოვი“, თბ. 1942 წ., გვ. 8—19).

შეადარეთ ეს ანალიზი იმ აზრს, რომელსაც ზემოთ შეეხეთ — თითქოს ციემა ზამთარმა განაპირობა წითელი არმიის წარმატებანი, და მიიღებთ აზრის ნაცვლად საბავშვო ზღაპარს თეთრწვერა თოვლის ბაბუისა და ყინულის ლოლუების უძლეველობის შესახებ.

ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორის არა-განმსაზღვრელი როლის შესახებ სამხედრო მოქმედებათა დარგში კიდევ უფრო მეტი სიცხადით მიგვითითებს **დ ი დ ი ს ტ ა ლ ი ნ ი** თავის მოხსენებაში, რომელიც მან გააკეთა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუ-

ციის XXV წლისთავთან დაკავშირებით მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და ქ. მოსკოვის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 1942 წლის 6 ნოემბრის საზეიმო სხდომაზე. ეხებარა 1941 წლის საომარი მოქმედების საკითხს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე და გამოჰყოფს-რა ამ საომარ მოქმედებაში ორ პერიოდს, დ ი დ ი ს ტ ა ლ ი ნ ი აღნიშნავს, რომ: „პირველი პერიოდი — ეს უპირატესად ზამთრის პერიოდია, როცა წითელმა არმიამ, მოიგერია რა გერმანელების იერიში მოსკოვზე, აიღო ინიციატივა თავის ხელში, გადავიდა შეტევაზე, გარეკა გერმანელთა ჯარები და 4 თვის განმავლობაში ზოგ ადგილას 400-ზე მეტი კილომეტრი გაიარა... საომარმა მოქმედებამ პირველი პერიოდის განმავლობაში, განსაკუთრებით კი წითელი არმიის წარმატებითმა მოქმედებამ როსტოვის, ტულის, კალუგის რაიონში, მოსკოვთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან—ორი ღირსშესანიშნავი ფაქტი გამოაელინა. მან დაგვანახა, ჯერ-ერთი, ის, რომ წითელი არმია და მისი საბრძოლო კადრები გაიზარდნენ სერიოზულ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს არა მარტო გაუმკლავდეს გერმანელ ფაშისტთა ჯარების შემოტევას, არამედ კიდეც დაამარცხოს ისინი აშკარა ბრძოლაში და უკან გარეკოს. მეორეც,—მან დაგვანახა, რომ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს მთელ მათს სიმტკიცესთან ერთად აქვთ ისეთი სერიოზული ორგანული ნაკლოვანებანი, რომლებსაც წითელი არმიისათვის ზოგ ხელსაყრელ პირობებში შეუძლიათ გამოიწვიონ გერმანელთა ჯარების დამარცხება. არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გერმანელთა ჯარები, რომლებმაც ტრიუმფალური მარშით გაიარეს მთელი ევროპა და ერთი დაკვრით შემუსრეს ფრანგთა ჯარები, რომლებიც პირველხარისხოვან ჯარებად ითვლებოდნენ, მარტო ჩვენს ქვეყანაში შეხვდნენ ნამდვილ საომარ წინააღმდეგობას, და არა მარტო წინააღმდეგობას, არამედ იძულებული გახდნენ წითელი არმიის დარტყმებით უკან დაეხიათ დაკავებული პოზიციებიდან 400-ზე მეტი კილომეტრით და უკანდახევის გზაზე მიეტოვებინათ ქვემეხების, მანქანების, საომარი მასალების კოლოსალური რაოდენობა. მხოლოდ ომის ზამთრის პირობებით არასგზით არ შეიძლება ამ ფაქტის ახსნა“ (იხ. ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXV წლისთავი“, თბ. 1942 წ., გვ. 8—9).

საბჭოთა სამხედრო გეოგრაფიას კარგად ესმის სამხედრო მოქმედებათა თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების მნიშვნელობა ომისათვის, მაგრამ არანაკლებ კარგად ესმის მეომარ მხარეთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სოციალ-პოლიტიკური ფაქტორების როლი სამხედრო ოპერაციათა წარმოების საქმეში. ამაშია მისი დიდი უპირატესობა ყველა სხვაგვარი სამხედრო გეოგრაფიების წინაშე.

V

სამხედრო გეოგრაფიის შედგენილობა და თემატიკა

სამხედრო ქვეყანათმცოდნეობა.—სამხედრო მოქმედებათა თეატრების გეოგრაფია.— დ. ა. მილუტინის პროგრამული მოსაზრებანი.— ი. ტროიცკის სტატიასთან დართული პროგრამის ნიმუში.—საბჭოთა სამხედრო გეოგრაფიის თემატიკა ერთ-ერთი უახლესი პროგრამის მიხედვით.

გეოგრაფიულ გარემოსადმი სამხედრო თვალსაზრისის თავისებურებათა გარკვევის დროს აღვნიშნეთ, რომ სამხედრო გეოგრაფიას ყოველი გეოგრაფიული ფაქტი და მოვლენა აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ეს სამხედრო ოპერაციებისათვის ხელშემწყობ ან ხელშემშლელ პირობას წარმოადგენს და რამდენადაც იგი თავდაცვითი თუ შეტევითი ომის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ძალას და საშუალებას შეიცავს. გეოგრაფიული ფაქტებისა და მოვლენების შესწავლა საერთოდ ორი მიმართულებით სწარმოებს: ა) კონკრეტული ტერიტორიის ფარგლებში და ბ) ზოგადად, ე. ი. ტერიტორიალურ მონაცემთა განზოგადებით. სამხედრო გეოგრაფიას, როგორც ვიცით, თითოეული ფაქტორის გათვალისწინება უხდება კონკრეტულ ვითარებაში, მოცემული ტერიტორიის ფარგლებში. და, რადგან მოცემულ ტერიტორიათა, ქვეყანათა შესწავლა მეცნიერული გეოგრაფიის იმ დარგის საქმეა, რომელსაც ქ ვ ე ყ ა ნ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა ეწოდება, გასაგებია, რომ სამხედრო გეოგრაფიასაც აქვს ასეთივე დარგი—ს ა მ ხ ე დ რ ო ქ ვ ე ყ ა ნ ა თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა. მეცნიერული გეოგრაფიის მეორე დიდი დარგი, რომელიც ცალკეულ ფაქტორებს ზოგადად განიხილავს და ცნობილია ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის სახელწოდებით, სამხედრო გეოგრაფიაში ცალკე დისციპლინად არ არის გამოყოფილი, იგი გამოხატულებას ჰპოვებს თვით სამხედრო ქვეყანათმცოდნეობაში.

სამხედრო ქვეყანათმცოდნეობა ქვეყანას, სახელმწიფოს შეისწავლის, როგორც მთლიან ერთეულს. მაგრამ სამხედრო გეოგრაფია გვერდს ვერ აუქცევს ცალკეულ ადგილგარემოთა და მცირეოდენი სივრცის მქონე უბნების შესწავლას. რა თქმა უნდა, აუცილებელია სამხედრო თვალსაზრისით იმ ადგილგარემოს შესწავლა, რომელიც სამხედრო მოქმედებათა სარბიელს ანუ თეატრს წარმოადგენს. სამხედრო მოქმედებათა თეატრი, როგორც ცნობილია, არის ცოტად თუ ბევრად გამოცალკევებული რაიონი, ზოლი ან ტერიტორია, რომელზედაც ომის დროს ვითარდება ორივე მხარის სამხედრო ოპერაციები. ის შეიცავს არმიების თავმოყრის ადგილებს, ოპერაციების ადგილებს და ზურგის არეს (საეტაპო რაიონს). ბევრი რამ, რაც შეიძლებოდა მეორეხარისხოვან ობიექტად მიჩნეულიყო ან სრულიადაც უგულებელეყოთ ქვეყნის, როგორც მთელი ერთეულის, მიმოხილვის დროს, ყურადღების ცენტრში დგება სამხედრო მოქმედებათა თეატრის გაცნობის დროს. აქ უბრალო წვრილმანსაც კი თავისი მნიშვნელობა და დანიშნულება ეძლევა, ზოგჯერ ამ წვრილმანმა საგანმა თუ მოვლენამ შესაძლოა გადამწყვეტი როლიც კი შეასრულოს სამხედრო ოპერაციაში. აღარას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ქვეყნის, როგორც მთელი ერთეულის, მიმოხილვის დროს შეუძლებელია ერთნაირი გულდასმით აღინუსხოს ყოველი მისი კუთხე-გარემოს ყოველი დეტალი. ამისათვის საჭიროა სამხედრო გეოგრაფიას ჰქონდეს ცალკე განყოფილება—სამხედრო მოქმედებათა თეატრების გეოგრაფია ან მოკლედ თეატრების გეოგრაფია. მართლაც, სამხედრო გეოგრაფიას ორი დიდი დარგი აქვს—სამხედრო ქვეყანათმცოდნეობა და თეატრების გეოგრაფია.

სამხედრო გეოგრაფიის ორ-დარგიანობა ამ სამეცნიერო დისციპლინის თანდაყოლილი თვისებაა, მისი მიზანშეწონილება უდავოდაა ცნობილი ყველა სამხედრო სპეციალისტის მიერ. მას მხარს უჭერენ სამხედრო გეოგრაფიის უახლესი წარმომადგენლებიც. „სამხედრო სასწავლებლებში—ამბობს ა. სუდაკოვი—სამხედრო გეოგრაფია სამხედრო დისციპლინათა რიცხვშია, მოქცეული და ძირითად დისციპლინათა მიმართ (როგორიცაა „სტრატეგია", „ოპერაციების ხელოვნება", „ტაქტიკა" და სხვ.) მიჩნეულია, როგორც დამხმარე, მათი მომსახურე საგანი ჯარების მოქმედების ადგილგარემოს ყოველმხრივ შესწავლის საქმეში. ამგვარად, სამხედრო გეოგრაფიის შესწავლის მთავარ ობიექტს „სამხედრო მოქმედებათა თეატრები" წარმოადგენს. მაგრამ თეატრების გამოკვლევის დროს შეუძლებელია მათი სრული მოწყვეტა იმ ქვეყნებისაგან, რომელთაც ისინი ეკუთვ-

ნიან: ქვეყნების მთლიანობაში შესწავლა, სამხედრო თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი საქმეა, და ამიტომ საერთო „ქვეყანათმცოდნეობა“ სამხედრო გეოგრაფიაში უნდა შედიოდეს, როგორც მისი ნაწილი და წინაც კი უნდა უსწრებდეს თეატრების გეოგრაფიას. სამხედრო მოქმედებათა თეატრების როლი და მნიშვნელობა დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ქვეყნების საერთო სამხედრო ძლიერებაზე (თავდაცვითი უნარიანობაზე), მათს მდებარეობაზე და მთელ რიგ ფიზიკურ-გეოგრაფიულ და სხვა პირობებზე. ჩვენს დროში, ისეთ შორსმოქმედ საომარ საშუალებათა განსაკუთრებულ ზრდასთან დაკავშირებით, როგორიცაა ავიაცია და წყალქვეშა ნავები, თეატრების სივრცობლივი ფარგლები ძლიერ ფართოვდება, ნაწილობრივ განუსაზღვრელიც კი ხდება; მათ შეიძლება მოიცვან მთელი ქვეყანა და ქვეყნების ჯგუფიც კი (პატარა ქვეყნებისა). ამის შესაბამისად ძლიერ ფართოვდება იმ რაიონების ფარგლები, რომელთა შესწავლა უნდა მოხდეს ოპერაციული და მეტადრე სტრატეგიული ინტერესით გამოწვეული დეტალებით. მაგრამ მაინც რჩება განსხვავებული, განსაკუთრებით ომის პირველ ხანაში, ხარისხი მნიშვნელობისა და ამდენად ხარისხი აუცილებელი დეტალებისა თვით შესწავლის ამოცანებში. სამხედრო გეოგრაფიის გაყოფა ორ დიდ ნაწილად—სამხედრო ქვეყანათმცოდნეობად (ანუ სახელმწიფოთა სამხედრო გეოგრაფიად) და თეატრების გეოგრაფიად—აუცილებელია და მას აქვს ადგილი ამ დისციპლინის არსებულ პროგრამებსა და კურსში... სამხედრო გეოგრაფია ორსავე თავის დარგში ეხება უმთავრესად კონკრეტულ რაიონებს, იქნება იგი მთელი ქვეყნები და თეატრები, საყურადღებონი სტრატეგიული მხრივ, თუ ტერიტორიის უმცირესი უბნები და ობიექტები, რომლებიც მხოლოდ ტაქტიკის თვალსაზრისით არიან საინტერესონი“ (იხ. სუდაკოვის ციტირებული სტატია, გვ. 53).

სამხედრო გეოგრაფიის შედგენილობის საკითხის გარკვევის შემდეგ საჭიროა გავეცნოთ მის თემატიკასაც დარგთა მიხედვით. მოვიგონოთ ამ მხრივ სამხედრო გეოგრაფიის ფუძემდებლის დ. ა. მილუტინის პროგრამული მოსაზრებანი (გამიზნებული ავტორის მიერ სამხედრო სტატისტიკისათვის, მაგრამ მიღებული ჩვენს მიერ სამხედრო გეოგრაფიისათვის). მილუტინს სახელმწიფოს დასახასიათებლად გამოყოფილი აქვს სამი ძირითადი ძალა ანუ ელემენტი: 1) ქვეყანა (ტერიტორია), 2) მოსახლეობა და 3) სახელმწიფო წყობილება და დადგენილებანი. სამხედრო-სტატისტიკური კვლევის დროს პირველი ყურადღება ექცევა დედამიწის ზედაპირის იმ თვისებებს, რომ-

ლებიც, მილუტინის აზრით, განსაზღვრავენ საერთოდ სახელმწიფოს საშუალებებს ომის წარმატებით წარმოებისათვის, ასევე მოსახლეობას, მის მატერიალურ და მორალურ მდგომარეობას, სახელმწიფო წყობილებას, ფინანსების მდგომარეობას. შინაარსის მხრივ ნარკვევი სახელმწიფოს შესახებ სამი განყოფილებისაგან უნდა შედგებოდეს: I—შ ე ს ა ვ ა ლ ი, რომელიც უნდა შეიცავდეს მთელ სახელმწიფოს საერთო მიმოხილვას სამხედრო მხრივ, ე. ი. მის საერთო ძირითად ძალთა ანუ ელემენტთა განხილვას სამხედრო თვალსაზრისით და იმ ზომით, რამდენადაც მათ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მთელ სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებაზე; II—შ ე ი ა რ ა ღ ებ უ ლ ძ ა ლ თ ა გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა, ხმელეთისა და საზღვაოსი, აგრეთვე მათი მოწყობის, მომარაგების, შენახვის და სამხედრო დროისათვის მომზადების გამოკვლევა; III—ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ი ს გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა ო მ ი ს თ ე ა ტ რ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ. მილუტინის აზრით, პ ი რ ვ ე ლ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ებ ა შ ი ჯერ უნდა იყოს მოცემული ზოგადი შეხედულებანი სახელმწიფოს პოლიტიკურ სვეტებზე, მის თანდათანით განვითარებაზე და ახლანდელ მდგომარეობაზე სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკურ სისტემაში, შემდეგ კი გარკვეულ იქნას საკითხი: შეეფერება თუ არა მის პოლიტიკურ მდგომარეობას ის ძირითადი ძალები, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოს სამხედრო საშუალებებს, სახელდობრ: ა) ქ ვ ე ყ ა ნ ა (ტ ე რ ი ტ ო რ ი ა), ე. ი. დედამიწის ზედაპირი, რომელიც სახელმწიფოს უკავია, უნდა იქნას განხილული ფართობის, მდებარეობის და საერთო ტოპოგრაფიული თვისებების მიხედვით: საზღვრების მოხაზულობა სამფლობელოთა მთლიან მასასთან და აგრეთვე ჰმეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებაში; ამას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი სამხედრო მოსაზრებით: ზოგი სახელმწიფო დიდ სივრცეზეა გადაჭიმული, ან გაფანტულია ცალკე ნაწილებად, ზოგი მომრგვალებულია და მთლიან მასას შეადგენს; ერთი თავისი მდებარეობით მხოლოდ კონტინენტური სახელმწიფოა, მეორე მხოლოდ საზღვაო; ერთი უფრო იძულებულია, რომ თავდაცვისათვის შედარებით მეტი ჯარი იყოლიოს, ვიდრე მეორე; ერთი მთავარ ყურადღებას აქცევს სახმელეთო ჯარებს, მეორე კი ფლოტს. ქვეყნის საერთო ტოპოგრაფიულ ხასიათსაც შეუძლია ზოგჯერ დიდი გავლენა იქონიოს სამხედრო მოქმედებაზე; ის გვაჩვენებს ზოგჯერ შეიარაღებულ ძალთა თვით წყობილებას და შედგენილობას: ერთ სახელმწიფოს მეტი ფეხოსანი, მსროლელი ჰყავს, მეორე აძლიერებს უმთავრესად კავალერიას და ა. შ. ნიადაგის ნაყოფიერება, ჰაეა და

ადგილის სხვა თვისებები განსაზღვრავენ სახელმწიფოს საკუთარ საშუალებებს არმიისა და ფლოტის მომარაგებისა და შენახვისათვის, გვაჩვენებენ ჯარების განლაგების სისტემას მშვიდობიანობის დროს და სხვ., დაბოლოს წყალსავალი და ხმელეთის გზები, ხელოვნური თუ ბუნებრივი, გავლენას ახდენენ საერთო სამხედრო-ადმინისტრაციულ მოსაზრებებზე, აადვილებენ ან აძნელებენ სამხედრო ან სასურსათო მარქაფის გადაზიდვას, თვით ჯარების მოძრაობას, როგორც მშვიდობიანობის დროს, ასევე სამხედრო მოქმედებათა დაწყების წინ: ამ თვალსაზრისით უნდა იქნას განხილული გზათა საერთო თვისებები სახელმწიფოში და მათ მიმართულებათა სისტემა. ბ) მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა: მისი რაოდენობა, განაწილება, მატერიალური კეთილდღეობის დონე, მორალური მდგომარეობა,—განსაზღვრავენ არა მარტო შეიარაღებულ ძალთა რიცხვს, არამედ მათ არსებითს თვისებებსაც, აგრეთვე გვაჩვენებს რა ზომით, ომის შემთხვევაში, შეუძლია მთავრობას იმედი იქონიოს ხალხის დახმარებისა და თვით ჯარების კეთილსაიმედობის. გ) ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა, დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ნ ი და ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი: მთავრობის დამოკიდებულება თავის ხალხთან, სახელმწიფოს დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოსთან, ეს მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენს სამხედრო სისტემაზე, ომის თვით მსვლელობაზე და სამხედრო-ადმინისტრაციულ ზომებზე, როგორც მშვიდობიან, ისე ომის დროს: ერთ სახელმწიფოში შეიძლება შედარებით მეტი ჯარი ვიყოლიოთ, ვიდრე მეორეში; ერთ მთავრობას უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, ვიდრე მეორეს—მიიღოს აუცილებელი ენერგიული ზომები; ერთის წყობილებაში ძლიერი ცენტრალიზაციაა, მეორისაში—სახელმწიფოს ნაწილებს შორის სუსტი კავშირია, ყოველივე ეს უშუალოდაა დაკავშირებული სამხედრო მოსაზრებებთან. მ ე ო რ ე გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა შ ი მოცემული უნდა იყოს სახელმწიფოს სამხედრო სისტემის გამოკვლევა, შეიარაღებულ ძალთა შედგენილობა და წყობილება: სამხედრო სისტემის ვარგისობა და არახელსაყრელობა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები; რამდენი და როგორი ჯარები ჰყავს სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს, რამდენი ჯარის გამოყვანა შეუძლია მას ნამდვილად მტრის წინააღმდეგ; სწრაფად შეუძლია თუ არა არმიას დადგეს საომარ ფეხზე; მზად აქვს თუ არა სახელმწიფოს ყველა დამხმარე და სამეურნეო საშუალებანი ჯარების შესანახად და ომის საწარმოებლად; ყურადღება უნდა მიექცეს ჯარების სამეურნეო და მატერიალურ მდგომარეობას, სამწყობრო და ზნეობრივ მდგომარეობას; შედარებულ იქნას იმ სახელმწიფოთა

ორმიების თვისებები და ნაკლოვანებანი, რომელთა შორის შეიძლება მოველოდეთ ომს; უნდა შეეეხოთ აგრეთვე სამხედრო ხელოვნების თეორიის მდგომარეობას და გაბატონებულ იდეებს სამხედრო მოქმედებათა შესახებ. მესამე განყოფილებაში გამოკვლეულ უნდა იქნას სტრატეგიული მხრივ სახელმწიფოს ის ნაწილები, რომლებიც ნამდვილად შეიძლება იქცეს ომის თეატრად (იხ. ციტირ. ნაშრომი, გვ. 56—61).

მილუტინის შეხედულებით ომის თეატრი უნდა იქნას განხილული შემდეგი გეგმით: 1) საერთო პირობები, რომელშიაც უნდა მოველოდეთ ომს ამათუიმ სახელმწიფოსთან, ამისათვის უნდა გადავავლოთ თვალი მეომარ სახელმწიფოთა ურთიერთ მდგომარეობას გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური დამოკიდებულების მხრივ; მხედველობაში იქნას მიღებული სხვა სახელმწიფოები, რომლებიც შეიძლება მოკავშირე ან ნეიტრალური გახდნენ; შემდეგ აღინიშნოს ომის თეატრის ფარგლები და მისი დაყოფა მოქმედებათა კერძო თეატრებად. 2) ამ შესავალის შემდეგ აუცილებელია სამხედრო-გეოგრაფიული მიმოხილვა მთელი იმ სივრცისა, რომელიც მოქცეულია ომის განსახილველ თეატრში, ე. ი. აღიწეროს იგი მთავარ, მკვეთრ დამახასიათებელ ხაზებში; არ უნდა შეეიჭრეთ წვილმან ცნობებში, რამდენადაც შეიძლება უნდა გამოვხატოთ ქვეყნების ფიზიონომია სამხედრო თვალსაზრისით, როონის იდეის მიხედვით, ე. ი. შევნიშნოთ ქვეყნის ის საერთო ნიშნები, რომლებიც საზღვრავენ მისი ხელსაყრელობის დონეს ჯარების მოძრაობისა და მოქმედებისათვის, მათი დაბანაკებისათვის, მომარაგებისათვის, შენახვისათვის და სხვ. და სხვ. ამ თვალსაზრისით უნდა გამოისახოს უმთავრესი თვისებები ადგილის, მდინარეების, მთების, სამიმოსვლო გზების, და ნაჩვენები იქნას უშესანიშნავესი პუნქტები, განსაკუთრებით ციხე-სიმაგრენი. 3) საერთო მიმოხილვის შემდეგ უკვე შეიძლება შევუდგეთ ომის თეატრის სტრატეგიულ განხილვას. გამოირკვეს: ერთი თუ მეორე მეომარ მხარისათვის უმნიშვნელოვანესი გეოგრაფიული საგნებისა და საერთოდ მთელი მხარის თვისებების ვარგისობა და არახელსაყრელობა. ბუნებრივი მიჯნები, როგორიცაა: მდინარეები, ქედები, ზღვის ნაპირები, პოლიტიკური საზღვრები, პოლიტიკური მხრივ მნიშვნელოვანი ან გამაგრების მხრივ ძლიერი პუნქტები, გზები, მათ შორის რკინიგზებიც, ომის თეატრის სხვადასხვა ნაწილის საერთო ფარდობითი მდებარეობა, მათი საშუალებანი ჯარების მომარაგებისა, შენახვისა და მოქმედებისათვის,—ყოველივე ამას შეიძლება ექნეს გამოსადეგი

ან არახელსაყრელი გავლენა მოქმედებებზე, გარკვეულ ვითარებაში, აძლიერებს ან ასუსტებს თავდაცვას, საზღვრავს სახელმწიფოს სუსტ ან ძლიერ პუნქტებს. ამ მონაცემთა მიხედვით შეიძლება დავსახოთ ყველაზე უფრო მოსალოდნელი მოქმედებათა საგნები, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ან გადამწყვეტი ოპერაციული ხაზები (მოქმედებათა გზები), ყველაზე უფრო გამოსადეგი ბაზისები, უმნიშვნელოვანესი თავდაცვითი ხაზები და ა. შ. ეს მოსაზრებები შეიძლება გამოგვადგეს ერთგვარად საერთო დასკვნების გამოსაყვანად ომის მთელი თეატრის ეარგისობისა და არახელსაყრელობის შესახებ და ადგილობრივ მონაცემთა გავლენის შესახებ ომის საერთო გეგმაზე; მაგრამ უცნაური იქნებოდა გვეფიქრნა, რომ შეიძლებოდა დაგვესახა მოქმედებათა მთელი მსვლელობა, ადგილები, სადაც უნდა შეხვდნენ არმიები ერთმანეთს და სადაც უნდა გაიხსნას აუცილებლად ომის კვანძი: ეს უკვე დამოკიდებულია შესრულების კერძო მომენტებზე და შემთხვევითს გარემოებაზე, რომელთა წინასწარ გათვალისწინება შეუძლებელია. მილუტინი შენიშნავს, რომ აუცილებელია დავეყრდნოთ სამხედრო ხელოვნების საღ საწყისებს, ცალმხრივობა ადგილის სტრატეგიულ შეფასებაში საზიანოა. არც ძველი გამოცდილებაა ამ მხრივ ყოველთვის გამოსადეგი, შეიძლება ყალბი დასკვნები გამოგვივიდეს (იხ. ციტირ. ნაშრომი, გვ. 62—67).

მილუტინის პროგრამულ მოსაზრებათა შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ავტორი გეოგრაფიულ საგნებსა და მოვლენებს მაინც შედარებით უფრო ნაკლებ ადგილს უთმობს, ვიდრე ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო წყობილება, დადგენილებანი, ფინანსები, სამხედრო სისტემა, შეიარაღებული ძალები, სახელმწიფოს სტრატეგიული მდგომარეობა და მისთანანი. ჩვენის აზრით, სამხედრო გეოგრაფიისათვის გეოგრაფიული გარემო, გეოგრაფიული საგნები და მოვლენები ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. ის არ უნდა იყოს მხოლოდ საბრძოლო ოპერაციებისათვის საჭირო დამატებითი ცნობები. სამხედრო გეოგრაფიას განსაზღვრული სამეცნიერო დარგის დანიშნულება და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს თავდაცვის საერთო საქმეში. ის უნდა იძლეოდეს მთლიან და ნათელ სურათს სახელმწიფოს ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ და ამის შემდეგ მისი ცალკეული ცნობები აგრეთვე უნდა იქნას გათვალისწინებული და გამოყენებული საბრძოლო ოპერაციების კერძო ამოცანების მართებულად გადასაწყვეტად, როცა ამას მოითხოვს ბრძოლის კონკრეტული ვითარება.

დასასრულ, მილუტინის პროგრამის ძირითადი ნაკლი ისიცაა, რომ აქ სრულიად უგულებელყოფილია კლასები და კლასობრივი ურთიერთობანი. მილუტინის ლიბერალური მსოფლმხედველობა, ცხადია, შორს იდგა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კონცეპციისაგან.

ამ მხრივ გაცილებით უფრო უპასუხებს ჩვენს ახალ მოთხოვნილებებს ი. ტროიცკის სტატიასთან დართული სამხედრო გეოგრაფიის პროგრამის ნიმუში. აქ წარმოდგენილია სამხედრო გეოგრაფიის ორივე დარგი, როგორც სამხედრო ქვეყანათმცოდნეობა ანუ სახელმწიფოების სამხედრო გეოგრაფია, ისე თეატრების ანუ სახელმწიფოს ცალკე რაიონების სამხედრო გეოგრაფია. აქ დავიწყებული არ არის ფიზიკურ-გეოგრაფიული საკითხების გვერდით სოციალ-პოლიტიკური საკითხები და ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა. პროგრამაში იგრძნობა საკმაოდ გარკვეული აზრი იმის შესახებ, რომ საერთო დასკვნა სახელმწიფოს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ შესაძლოა გამოყვანილ იქნას ქვეყნის როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური ფაქტორების გათვალისწინების საფუძველზე, თუმცა არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მაინც არა-საკმაო სიღრმითა და მოცულობითაა აქ წარმოდგენილი ფიზიკური გეოგრაფია. აი, თვით პროგრამაც. სახელმწიფოების სამხედრო გეოგრაფიის ამოცანაა, შეგვასწავლოს: 1) საგარეო პოლიტიკური ვითარება და მოსალოდნელი მოწინააღმდეგეების სამხედრო შესაძლებლობათა დახასიათება, როგორც ძირითადი კრიტერიუმი შემდგომი დასკვნისათვის. 2) სახელმწიფოს მდებარეობა ოკეანეების, მსოფლიო გზებისა და მოსალოდნელი მოწინააღმდეგეების მიმართ. ბლოკადის შესაძლებლობა. 3) ტერიტორიის სიდიდე და მისი სამეურნეო ათვისების დონე. სარკინიგზო ქსელი. ყამირი გზების ქსელის განვითარება. ავტოტრანსპორტის მდგომარეობა. დასკვნა ტერიტორიის შესახებ, რომელიც გამოსადეგია ომის მიზნებისათვის გამოსაყენებლად. 4) საზღვრების გავრცელება, ხასიათი და სასაზღვრო ზოლის თვისებები. საზღვრის ღია და დაფარული ადგილები. საზღვრის დაშორება ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებიდან და ამ ცენტრების უშიშროების ხარისხი. 5) მოსახლეობა, როგორც მუშახელისა და არმიის დაკომპლექტების წყარო. რაოდენობა, სიმჭიდროვე, ასაკობრივი შემადგენლობა, პროფესიული შემადგენლობა, კულტურული დონე (წერა-კითხვის გავრცელება, კვალიფიციური ჯგუფები მათი სამხედრო მიზნებისათვის გამოყენების თვალსაზრისით). სამხედრო ვალდებულ-

თა, სამხედრო მომზადებულთა და სამხედრო სამსახურისათვის გამოსადეგ პირთა მარქაფი. 6) სოციალური სტრუქტურა და კლასობრივი ურთიერთობანი სახელმწიფოში. ნაციონალური და კლასობრივი წინააღმდეგობანი. სოციალური ჯგუფების ობიექტური დაინტერესება ომში. ნაციონალური და კლასობრივი პოლიტიკა. 7) გაბატონებული კლასის ორგანიზაცია სახელმწიფოში, ორგანიზებულ კლასობრივ ძალთა თანაფარდობა. სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მეტად სუსტი რგოლი. დასკვნა ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაციის გამძლეობაზე ომის პირობებში. 8) სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. პურისა და ალაფის (ფურაჟის) ბალანსი და ქვეყნის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხი კვების პროდუქტებით. მეჯოგეობა და მეცხენეობა. საგარეო ბაზრებისაგან ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარისხი. საგარეო ბაზრებთან კავშირი ომის პირობებში. 9) საერთო და სამხედრო მრეწველობის ნედლეულისა და ენერგეტიკული ბაზები. ძირითადი რაიონების უშიშროება. სახელმწიფოს უზრუნველყოფა სათბობით და ნედლეულით ბლოკადის პირობებში. 10) დამუშავებითი მრეწველობის დარგები, დაკავშირებული ქვეყნის თავდაცვასთან და სამხედრო მრეწველობა. მათი ოდენობითი დახასიათება, დისლოკაცია (განლაგება) და განვითარების უახლოესი პერსპექტივები. სამრეწველო ცენტრების უშიშროების ხარისხი და ომის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის ხარისხი. 11) სახელმწიფოს ფინანსიური შესაძლებლობანი ომის დროს. 12) საერთო დასკვნები სახელმწიფოს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

ცალკეული რაიონების შესასწავლად პროგრამა უნდა ისახავდეს შემდეგი საკითხების გარკვევას: 1) რაიონების მდებარეობა იმ გზების მიმართ, რომელნაც მიმართავენ სახელმწიფოს სასიცოცხლო ცენტრებისაკენ. 2) ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები. ძირითადი მიჯნები, რომელთაც ოპერაციული მნიშვნელობა აქვთ. 3) ეკონომიური მდგომარეობა და ეკონომიური დამოუკიდებლობის დონე. 4) სარკინიგზო ქსელი და საქაჰანო გზების ქსელი. ჩვენი ძალების და მოწინააღმდეგის ძალების ოპერაციული თავმოყრისა და გაშლის პირობები. ოპერაციული ტევადობა. 5) სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობანი. 6) უმთავრესი ოპერაციული მიმართულებანი და მათი დახასიათება ჯარის გადაყვან-გადმოყვანის, მისი დაბანაკების, ადგილობრივი საშუალებებით უზრუნველყოფის და მოსახლეობაში პოლიტიკური მუშაობის პირობების თვალსაზრისით. 7) საერთო დასკვნა მოსალოდნელი და უფრო გამოსადეგი ამოცანების შესახებ,

რომლებიც შეიძლება დაისახონ მეომარმა მხარეებმა მოცემულ თეატრზე, და თეატრის მნიშვნელობის შესახებ სახელმწიფოს თაედაცვის საერთო სისტემაში.

ა. სუდაკოვის სამართლიანი შენიშვნით, ზოგადი ქვეყანათმცოდნეობის სფეროში სამხედრო გეოგრაფია ბევრად არ განსხვავდება ქვეყნების ფიზიკური და ეკონომიური გეოგრაფიისაგან. აქ მხოლოდ მკაფიოდაა გამოხატული სამხედრო თვალსაზრისი და ზოგიერთი თემა ამ თვალსაზრისით განხილულია განსაკუთრებული დაწვრილებით: საზღვრები, როგორც მიჯნა ჯარების თავმოყრისა ომის დასაწყის პერიოდში, ტერიტორია მისი კონფიგურაციის მხრივ, ღრმა ზურგის არსებობის მხრივ და ა. შ., მთიანი მხარეები, რომლებიც სერიოზულ დაბრკოლებებს ჰქმნიან, აგრეთვე მნიშვნელოვანი გასასვლელები მათკენ, ტყიანი და ჭაობიანი რაიონები (მაგალითად, აღმოსავლეთ პრუსიაში ტბა მაუერზეეს, ციცაბი მორენული ბორცვების და იოჰანისბურგის ტყის დაბრკოლებათა კომპლექსი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა 1914 წელს სამხედრო მოქმედებათა მსვლელობაზე, ან დუნაიზე გადასასვლელი ქ. სვიშტოვთან—ქ. სვიშტოვი, ან დამახინჯებული გამოთქმით სისტოვი, მოხერხებული პუნქტია ბულგარეთში დუნაიზე გადასასვლელად, რადგან მდინარის მარცხენა ნაპირი სვიშტოვის პირდაპირ ჭაობებისაგან თავისუფალია; ცნობილია რუსული ჯარების განთქმული გადასვლა აქ დუნაიზე 1877 წლის 15 ივნისს,—არა ნაკლებ ინტერესს იწვევს სამხედრო კვლევისათვის, ვიდრე ქვანახშირის აუზები, მეტალურგიული და საფეიქრო ცენტრები და მისთანანი), ჯარების მოქმედების კლიმატური პირობები, მოსახლეობა როგორც არმიების დაკომპლექტების წყარო, სამხედრო მრეწველობა, მთავარი სარკინიგზო და სხვა კომუნიკაციები (სამიმოსვლო გზა, რომელიც არმიის განლაგების რაიონს არმიის ბაზასთან აკავშირებს) და როკადები (გზები ფრონტის გასწვრივ ჯარების გადასაყვანად), შეიარაღებული ძალები, მეურნეობა ომისათვის რესურსების თვალსაზრისით და სხვ. უფრო ნათლადაა გამოხატული სამხედრო გეოგრაფიის სპეციფიკა მის მეორე განყოფილებაში—თეატრების გეოგრაფიაში. ამ განყოფილებაში გეოგრაფიულ გარემოს ყველა ელემენტის შესწავლა მეტისმეტად დაწვრილებით ხდება, რაც სავსებით განსახორციელებელია შესასწავლ რაიონთა რიცხვის განსაზღვრულობის გამო, და სამხედრო თვალსაზრისი იქ იმდენადაა გატარებული, რომ ეს გარემოება განიხილება უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად მასში მომქმედ სამხედრო ძალების პირობების, ამოცანებისა და მოთხოვნილებათა მხრივ. მდინარე, მაგალი-

თად, კერძო შემთხვევაში განიხილება, როგორც დაბრკოლება, თანაც თითოეული გვარეობის ჯარისათვის და წელიწადის სხვადასხვა დროისათვის ცალკეულად; აღინუსხება მდინარეზე გადასვლის აუცილებელი საშუალებანი სხვადასხვა ადგილას. მეურნეობის შესწავლის დროს დიდი ყურადღება ექცევა ჯარების ადგილობრივად მომარაგების საშუალებებს და სამხედრო ქონების რემონტის საშუალებებს; ტრანსპორტის შესწავლის დროს—ჯარების მიზიდვისა და თავმოყრის და სამანევროდ მათი გადაჯგუფების პირობებს. დაწვრილებით გამოიკვლევა ჯარების დაბანაკების პირობები და სანიტარულ-ვეტერინარული პირობები. განყოფილების სპეციფიკური სამხედრო ხასიათი გამოიხატება აგრეთვე ისეთი წმინდა სამხედრო თემების გამოჩენით მასში, როგორიცაა ჯარების მოქმედების მთავარი ობიექტები, „შესაძლო ოპერაციული მიმართულებანი“ და „სტრატეგიული მიმართულებანი“ სამხედრო ვითარების კონკრეტულ შემთხვევებში თეატრზე. ზოგად კურსში ასეთი წინასწარი საერთო ორიენტირება თითოეული თეატრისათვის აუცილებლადაა მოცემული, და ამას თავისი დიდი მნიშვნელობა აქვს, ყოველი წვრილმანის გათვალისწინება ზოგად კურსში არ ხერხდება და არცაა საჭირო, რადგან ეს გაკეთდება თავის დროზე და უფრო ზუსტადაც—პოლკის ან თუნდაც დივიზიის მოქმედების რაიონი შეიძლება შესწავლილ იქნას მათთვის საჭირო დაწვრილებით მხოლოდ სპეციალურ სამუშაოთა ჩატარებით შტაბებში ადგილგარემოს რეკოგნოსცირებით (ადგილის უშუალოდ გამორკვევით, გამარტივებული წესით, მაგრამ დეტალურად ავეგმვით).

სამხედრო გეოგრაფიის კურსში საპატიო ადგილი ეთმობა რუკის დაუფლების საქმეს. სამხედრო მოქმედებათა თეატრის გეოგრაფიული პირობებისა და მეტადრე მისი რუკის ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თეატრის სამხედრო ვითარებაში ძართებულად გასარკვევად. თეატრის რუკა რაც შეიძლება დიდ მასშტაბიანი უნდა იყოს და სპეციალური დანიშნულების, რომ ადგილის ყველა საჭირო დეტალის ჩვენების საშუალებას იძლეოდეს, რადგან გარემოს პირობების სრული გაგება მთელი რიგი დეტალების გარკვევის შემდეგ ხერხდება. სუდაკოვს საგულისხმო მაგალითი მოჰყავს, რომ არაზუსტი და არასრული რუკის გამოყენებამ თურქულ არმიას რამდენიმე კერძო მარცხი აგემა: თურქული არმიის შტაბების განკარგულებაში ყოფილა მხოლოდ ხუთვერსიანი მასშტაბის რუკები, ისიც ცთომილებიანი (მაგალითად, სარიყამიში ნაჩვენები ჰქონიათ არა თავის ადგილას, არამედ მისგან დასავლეთით, 8 კილომეტრის დაშორებით, ხოლო ერთ ქედზე არ ჰქონიათ აღნიშნული იქ არსებული ბრტყელი თხემი

—გამოსადეგი ჯარების მოძრაობისათვის არტილერიითაც კი), რუსები კი მომარაგებული ყოფილან საუცხოო ორვერსიანი რუკებით. არ კმარა, რომ რუკა კარგი იყოს. აუცილებელია იცოდეთ მასზე სწორი გაგნება, გამგნებთა (ორიენტირთა) მტკიცედ დახსომება. ამისათვის ადგენენ თეატრის დიდ ზოგად რუკას ან ცალკე რაიონების სქემატურ რუკებს. სამხედრო დანიშნულების რუკების შედგენისა და მათი გამოყენების საკითხებს უმუალოდ სამხედრო ტოპოგრაფია არკვევს, მაგრამ სამხედრო გეოგრაფიაც თავის მხრივ ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამხედრო-ტოპოგრაფიული ცოდნის განმტკიცებას, რადგან სამხედრო გეოგრაფიის კურსის დამუშავებას მუდამ თან ახლავს სათანადო რუკებზე მუშაობა.

სამხედრო გეოგრაფიის თემატიკის საკითხის გარკვევა დავამთავროთ ჩვენი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლებისათვის გამომუშავებული და ოფიციალურად მიღებული ერთ-ერთი უახლესი პროგრამის გაცნობით. ჩვენს ხელთაა სამხედრო გეოგრაფიის პროგრამა, შედგენილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი სამხედრო უმაღლესი სასწავლებლისათვის, გამოქვეყნებული 1940 წელს. აქ მოცემულია როგორც პროგრამის სქემა ცალკეული საკითხების ქრონომეტრაჟით სალექციო და პრაქტიკულ მეცადინეობათათვის, ისე თვით პროგრამის გაშლაც. პროგრამა შეიცავს სამ კარს. პირველი კარი ეხება სსრ კავშირის სამხედრო-გეოგრაფიულ მიმოხილვას, მეორე—კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო-გეოგრაფიულ მიმოხილვას, ხოლო მესამე—სამხედრო მოქმედებათა თეატრების დახასიათებას. სამივე კარს წინ უძღვის შესავალი, რომელიც გაარკვევს სამხედრო გეოგრაფიის საგანსა და ამოცანებს. გავეცნოთ ამ პროგრამას.

ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს სამხედრო-გეოგრაფიული მიმოხილვის დროს უმთავრესად გაშუქებულია შემდეგი საკითხები: სსრ კავშირის მდგომარეობა კაპიტალისტური გარემოცვის სისტემაში. სსრკ ტერიტორია, საერთო ფართობი. სსრკ ტერიტორიის განვრცობა მერიდიანისა და პარალელის მიმართულებით. სსრკ ტერიტორიის შედარება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან. სსრკ სახელმწიფო საზღვრები. სსრკ სახელმწიფო საზღვრების განვრცობა. საზღვაო და სახმელეთო საზღვრები, მათი დახასიათება. სსრ კავშირის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების დახასიათება. სსრ კავშირის მოსახლეობა. სსრ კავშირის სამხედრო-ეკონომიური ბაზა. სსრ კავშირის ენერგეტიკული რესურსები. სსრ კავშირის შავი და ფერადი მეტალურგია. სსრ კავშირის დამუშავებითი მრეწველობა. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის ზოგადი დახასიათება. სსრ კავშირის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

კაპიტალისტური სახელმწიფოების სამხედრო-გეოგრაფიული მიმოხილვის დროს შუქდება ძირითადად შემდეგი საკითხები: 1) მოცემულ სახელმწიფოს მდებარეობა, შედგენილობა, სიდიდე. მდებარეობის შეფასება სამხედრო თვალსაზრისით. საზღვრები. სანაპირო ხაზის დახასიათება. სახმელეთო საზღვრების შეფასება სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით. საცხედრო-საზღვაო ბაზები და ციხე-სიმაგრეები. ტერიტორიის სიდიდის სამხედრო შეფასება. ზედაპირის აგებულება. რელიეფის შეფასება ეკონომიური და სამხედრო თვალსაზრისით. მდინარეები, ტბები და არხები. მათი სამხედრო მნიშვნელობა. ჰავა, ნიადაგები და მცენარეულობა. 2) მოსახლეობა. მოსახლეობის რაოდენობა და სიმჭიდროვე. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა. მოსახლეობის პროფესიული შედგენილობა. კლასობრივი შედგენილობა. მოსახლეობის შეფასება, როგორც შეიარაღებულ ძალთა დაკომპლექტებისა და შრომითი რესურსების წყაროსი მშვიდობიანობისა და ომის დროს. სახელმწიფო წყობილება. 3) სამხედრო-ეკონომიური ბაზა. მეურნეობის სტრუქტურა. ენერგეტიკული და ნედლეული რესურსები. მეტალურგიული მრეწველობა, მისი სიმძლავრე და განლაგება. სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხი სამხედრო-სტრატეგიული ნედლეულის უმნიშვნელოვანეს სახეთა მიხედვით (ნავთობი, ფერადი ლითონები და სხვ.). დამუშავებითი მრეწველობა. მანქანათმშენებლობა და მოტორთამშენებლობა, საავიაციო და საავტომობილო მრეწველობა, გემთმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა. მსუბუქი მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა. მრეწველობის დასახელებულ დარგთა განვითარების დონე და მათი დისლოკაცია (უმნიშვნელოვანესი რაიონები და ცენტრები). სამხედრო საჭურველის წარმოების შესაძლებლობანი. სოფლის მეურნეობა, მისი თავისებურებანი და უმნიშვნელოვანესი დარგები. სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების ხარისხი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მხრივ. ტრანსპორტი. საზღვაო ტრანსპორტი. საზღვაო ფლოტის საერთო ტონაჟი, მისი ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობა. სავაჭრო ფლოტის სიმძლავრე. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ნაესადგურები. საზღვაო გზები. სარკინიგზო, სამდინარეო ტრანსპორტი, ავტოტრანსპორტი, ავიატრანსპორტი; მათი განვითარების დონე და თანამედროვე მდგომარეობა. კავშირგაბმულობის საშუალებანი. საგარეო ვაჭრობა. იმპორტისა და ექსპორტის შედგენილობა, სავაჭრო და საგადასახადო ბალანსი. ნედლეულისა და სურსათის მხრივ საგარეო ბაზრებზე დამოკიდებულება. 4) შეიარაღებული ძალები. უმაღლესი მმართველობა, დაკომპლექტება, რაოდენობა,

შედგენილობა, ორგანიზაცია, დისლოკაცია. მთავარი სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზები. საერთო დასკვნა ქვეყნის სამხედრო ძლიერების შესახებ, მისი მატერიალური და ადამიანთა რესურსების შესახებ.

პროგრამაში დასმულია საკითხები თითოეულ სახელმწიფოს ბუნებრივ, ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ თავისებურებებთან შეფარდებით, რასაც აქ არ შევეხებით.

სამხედრო მოქმედებათა თეატრების მიმოხილვისათვის პროგრამა ძირითადად შემდეგი საკითხების გაშუქებას სახავს: სამხედრო მოქმედებათა თეატრის შედგენილობა, მისი საზღვრები, ოპერაციულ-სტრატეგიული მნიშვნელობა, ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, პოლიტიკურ-ეკონომიური დახასიათება. თეატრის სამხედრო-საინჟენერო მზადყოფნა. თეატრის სამიმოსვლო გზები და ჯარების თავმოყრის პირობები. თავდაცვის პირობები. თეატრის კავშირგაბმის ხაზები და საშუალებანი. ადგილობრივ ძალთა და საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობანი. დაბანაკების პირობები. სამხედრო მოქმედებათა თეატრის დაყოფა ოპერაციულ მიმართულებათა მიხედვით. თითოეული ამ მიმართულების მიხედვით ჯარებისა და მათი მომსახურე ერთეულების თავმოყრის, თავდაცვის, შეტევის, დაფუძნებისა და გამოყენების პირობები. საერთო დასკვნები ჯარების და მათი მომსახურე ერთეულების გამოყენების შესახებ.

ამგვარად, საბჭოთა სამხედრო გეოგრაფიის თემატიკა უახლეს პროგრამებში მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკური, ეკონომიური და პოლიტიკური გეოგრაფიის თემატიკას და ყოველ მონაცემს იგი სამხედრო თვალსაზრისით აშუქებს. საბჭოთა სამხედრო გეოგრაფიის პროგრამა გეოგრაფიულია როგორც თავისი თემატიკით, ისე ცალკეული თემის განხილვის მიზანმიმართულებით, მაგრამ ამავე დროს იგი გეოგრაფიულ პირობებს სახავს არა განმსაზღვრელ ფაქტორად სახელმწიფოს პოლიტიკურ, კერძოდ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში, არამედ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელსაც დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის სამხედრო და საბრძოლო მდგომარეობაზე.

დასკვნა: ჩვენ გავარკვიეთ სამხედრო გეოგრაფიის არსი, მისი შედგენილობა და თემატიკა. გავითვალისწინეთ სამხედრო გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების, განვითარების მთავარი ეტაპები.

მკითხველის ყურადღება შევაჩერეთ საკითხის უახლეს მდგომარეობაზე. უკვე მკაფიოდ ისახება გზები ამ დიდად მნიშვნელოვანი სამხედრო სამეცნიერო დისციპლინის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოშიაც. მკვლევარის წინაშე ფართო სარბიელია გადაშლილი საქართველოს სახელოვანი სამხედრო წარსულის ასათვისებლად და ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი გეოგრაფიული პირობების შესაფასებლად სამხედრო თვალსაზრისით. მეორე მხრივ, წინამდებარე ნაშრომი ნათლად გვაჩვენებს—რა დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს გეოგრაფიულ მეცნიერებას საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრების ყველა სფეროში და კერძოდ ქვეყნის თავდაცვის საქმეში. სამამულო ომის პირობებში ყველა სამეცნიერო დარგი, და მათ შორის გეოგრაფიაც, ქვეყნის თავდაცვის უდიადეს მიზნებს ემსახურება. მეტსაც ვიტყვით: გეოგრაფია, მისი სპეციალური სახეობა—სამხედრო გეოგრაფია, იმ სამეცნიერო დარგთა პირველ რიგებში დგას, რომელნიც აიარაღებენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დამცველთ მტრის გასანადგურებლად და გზას უკაფავენ მათ ჭრწყინვალე გამარჯვებისაკენ.

ციტირებული და გამოყენებული ლიტერატურა.

1. Ленин—Собрание сочинений, მე-3 გამოც. ტ. VII, XVIII და XXX.
2. Ленинский сборник, მე-2 გამოცემა, ტ. XII.
3. ლენინი—რჩეული ნაწერები, ტ. II, ტ. III, თბ. 1933 წ.
4. ი. სტალინი—„სამხედრო მდგომარეობისათვის სამხრეთში", თბ. 1941 წ.
5. „ —„ლენინიზმის საკითხები", მე-11 გამოცემა.
6. ბრძანება თავდაცვის სახალხო კომისრისა, № 55, 1942 წ. 23 თებერვალი.
7. ი. ბ. სტალინი—„დიდი ოქტომბრის რევოლუციის XXV წლისთავი", თბ. 1942 წ.
8. Программа по военной географии, მ. 1940 წ.
9. И. Троицкий—„Военная география", სტატია БСЭ-ში, ტ. XV.
10. А. Судаков—„Что такое военная география", ჟურნ. „География в школе", № 5, 1940 წ.
11. В. Г. Клементьев—„Боевые действия горных войск", მ. 1940 წ.
12. Руководство для действий войск в горах, ნ. I, მ. 1941 წ.
13. Наставление по полевой службе штабов Красной Армии.
14. История СССР, ტ. II—Россия в XIX веке, პროფ. მ. ვ. ნეჩკინას რედაქციით, მ. 1940 წ.
15. Клаузевиц—„О войне", მე-2 გამოცემა, მ. 1934 წ.
16. С. Кузмин—„Война в мнениях передовых людей", ს.-პ. 1904 წ.
17. Г. Жомини—„Очерки военного искусства"—ტ. I, მ. 1939 წ.
18. „ „ „ ტ. II, მ. 1939 წ.
19. П. Языков—„Опыт теории военной географии", ნ. II. ს.-პ. 1838 წ.
20. Д. Милютин—„Первые опыты военной статистики", წიგნი I. ს.-პ. 1847 წ.
21. А. Снесарев—„Введение в военную географию", მ. 1924 წ.
22. П. Гейсман—„Краткий курс истории военного искусства—средние и новые века, VI—XVIII столетия", მე-2 გამოცემა, ს.-პ. 1907 წ.
23. Н. Дубровин—„История войны и владычества русских на Кавказе", ტ. I, ს.-პ. 1871 წ.
24. М. Литвинов—„Окраины России, военно-географические очерки, I—Кавказ", მე-2 გამოცემა, ს.-პ. 1884 წ.
25. Б. С. Эгадзе—„Летопись Грузии", თბ. 1913 წ.
26. Служивый—„Очерки покорения Кавказа", ს.-პ. 1901 წ.
27. Акты Кавк. Археографической Коммисии, ტ. X, თბ. 1885 წ.
28. П. Н.—Д. А. Милютин в 1861—1881 годах, სტატია ჟურნ-ში „Русская старина", ტ. 49, ს.-პ. 1886 წ.
29. პროფ. ა. ბ. ლიდოვი—დ. მილუტინი, სტატია ბრ.-ეფრ. ენციკლოპედიაში.
30. ნ. ბ. ყერვე—დ. მილუტინი, სტატია სამხედრო ენციკლოპედიაში, ტ. XV, ბ. 1914 წ.
31. დავით კლდიაშვილი—„მემუარები", თბ. 1932 წ.
32. გრიგოლ ორბელიანის წერილები, ტ. I. თბ. 1936 წ., ტ. II, თბ. 1937 წ.